ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქარიანი

1981

5

E 52/3
1981/3

67

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამაგმა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის განყოფილების ორგანო

გამოცემის 23-ე წელი

5

1981

სექტემბერი
ოქტომბერი

გათუმი

აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

რა მშვენიერი ბღვა გვაქვს, აჯარა,
რა მომავალი, ბვირფასი შედით...
ქალაქი—ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნის დაბეჭდილია

ჭაბუა ამირეჯიბი	3	კრონი (ახალი რომანის ერთი თავი)
ვაჟია ფარშანიძე	30	ლექსები
ალექსანდრე ჯაფარიძე	37	შალვა, ჩემო ხიხარულო... (მოთხრობა. გაგრძელება)
ლალი თოთაძე	60	ლექსები
დავით ნაცვალაძე	62	საქართველო გეორგიევსკის ტრაქტატის ეპოქაში (გაგრძელება)
ფაფა ხიხარულიძე	69	ლექსები
გუგული გაბისონია	71	„შენ ხომ ჩემი ცის ვარსკვლავი იყავ“...
რაულ მამალაძე	71	ხვეტიცხოველი (ლექსი)
ბიორბი შაინიძე	71	სხალთა (ლექსი)
ზია კომანიძე	75	ლენინის სახელობისა...
ცეცილ ჩიჯავაძე	78	,ხელის“ წიფება
ვახტანგ ახვლედიანი	86	ახალგაზრდული ხმები
	91	ძედუზა
	92	გასულ ორ თვეში

გარეკანის მე-2 გვერდზე — „აჭარელი მევენახეები“. მხატვარი ზოია ხიდასაშვილი.

გარეკანის მე-3 გვერდზე — „ხათუნა“. მხატვარი თამაზ ჯალაღანია.

ჟურნალი გააფორმა ავთანდილ ლომაძემ

ტექნიკური ხელმძღვანელი შუშანა დარჩია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაბუა ამირეჯიბი

ჯიგი

17140

ახალი რომანის ერთი თავი

უგზოზე მივდიოდი. წყვდიადი იყო. სარწყუნისის* ბოლოს და მირკნის** დამ-ლეგს გარიჟრაჟის წინ იცის ღამემ ასე ჩაკუმეტება. მალე უნდა გათენებულიყო. ღრუბელი გაიფანტებოდა, მზიან, კაშკაშა დღეს დაიჭერდა. ვიცოდი, მაგრამ მაინც იმ ღამეზე ვფიქრობდი, ხვალინდელ მზიანს რომ უნდა მოჰყოლოდა — ალბათ იმა-ტომ, რომ ბნელოდა და გზებსაც კარგა ხნის აცდენილი ვიყავი. ალღონლა მივ-ყვებოდი: ხევები ბარისკენ მირბიან, ბარში მდინარეები დიან, მდინარეებთან სოფ-ლები ან ნასოფლარებია და გზებიც.

თავხედნი და ურცხვნი შეიქნენ მონგოლები. საკუთარი ძლევამოსილების რწმენით არიან ეგეთნი. ირწმუნებდნენ, მაშ როგორ იქნებოდა — მთელი აზია მამულად და საძოვრად ისე დაიპყრეს, დამარცხებისა არა იცოდნენ რა. ჩვენც ხომ თავდაჯერებულნი ვიყავით, ქართველნი, ორი საუკუნე და მეტიც. უძლეველობით იყო... საღლაა თათართ უძლეველობა!.. მაგრამ ჯაბნობისაც არაფერი ეტყობათ ჯერ. ე-პე, რამდენი მარცხი უნდა იწვნიონ, სანამ ეჭვი და შიში შეუჯდებათ, მკლავი მოუსავდებათ და თვალის ჩინი უმტყუნებთ... არა, ახლანდელი შემართება მათი — გაჭირვებისა და დაუძლურებისა ჩანს. ურცხვობა და თავხედობა ამით თუ გაუმაგ-ფრდათ. სხვათა დასაშინებლად სჩადიან განზრახ და თავისთავსაც ეტრაბახებიან, შემდრკალ გულს იმაგრებენ — ყაჩაღთა ბრბოში იცის ასე ზოგ-ზოგმა... ფიცის გამტეხნი, მწამლველნი, მუხანათურად მმალველნი რომ არ ვიყავით, ამად გვცემდ-ნენ პატივს და ომში შემართებისათვის უფრო. ახლა თავად სწამლვენ, ღალატით კლვენ და ფიცის სიმტკიცისაც არა იციან რა — ესენი სპარსთაგან ისწავლეს.

უშიშრობისა არ იყო სანადიროდ წვევაზე თანხმობა ჩემი; განჭვრეტისა იყო და გულმაც მითხრა — სათრეველად, საამხანაგოდ ვუნდოდი, ავს არაფერს მიპირე-ბდნენ... ჩვენი ქალების მწყურვალნი არიან თათარნი ერთობ, მაგრამ იქ, ლოჭინზე მაინც რანაირი თვალები ჰქონდა იმ დიაცს — ნდობის მომგვრელი და საქციელიც ისეთი... თავად შეიწვია იმ ნაოხარ ეკლესიაში ჩარდოგ-ნოინი და სხვათაც ხომ თავად უსმო მერე.

ს ... ს ... ს ... ...

* თებერვალი.

** მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...სინათლე მოსალოდნელზე ადრე დავინახე — შორიახლოს ცეცხლის ალი ციმციმებდა. ნათელის დახახვას უფრო გვიან და სხვა მხარეს ვვარაუდობდი და სულ სხვაგან კი წავაწყდი! შორიდანვე გავარჩიე, ცეცხლს ვიღაც უჯდა, მივუახლოვდი, კუნძზე კაცი თვლემდა. თვალი მომტაცა: სხეულის იგურდივ ბურუსის ძარაოსავით რამ ერტყა, როგორც წმიდანებს ადგათ ხოლმე თავს სხივი შარავანდი, მაგრამ ამას ბურუსისა ერტყა, აკი ვთქვი. წყვდიადს გავხედე, იქნებ ჯანღი დგას-ბეთქი; არაფერი, ყინვისაგან წამოგდებული თხელი ბორაყი იყო, ძლივსა ჩანდა.

იქვე, გასწვრივ, ძალიან გრძელი, ერუ კედელი გასდევდა ქვითკირისა და კარგა მაღალიც. არც კუთხე უჩანდა სადმე იმ სიბნელეში, არც თავი და ბოლო. ერთადერთი კარი ჰქონდა დატანებული რკინისა, ცეცხლი იმ კართანვე ენთო.

ეს ნაგებობა თბილისის შემოგარენში არასოდეს მგულებია.

მიველ, კაცს თავზე წავადექი. დავხედე და იმ იგურდივ შემოვლებული ბურუსისა თუ შარავანდისა ნასახიც აღარსად იყო. ვიფიქრე, — მომეჩვენა-მეთქი. ისეთი გუმანი დამიდგა, რომ ამ კაცმა ფერდობზევე მომკრა თვალი, იქნებ, უფრო ადრეც, და კვლავინდებურად კი თვლემდა. კარგა ხანს ვიდექ. არ განძრეულა, მარტო სუნთქვა იგრძნობოდა მისი — ბეჭების დინჯ, გამოზომილ ძვრასა ვხედავდი. ფთილივით თმა ჰქონდა, ხორბლისფერი — ისეთი, ვითომ უფრო ხშირი არც როდისმე ჰქონია. იმ სიცივეში თავშიშველი იჯდა, ტანი ჩოხა-ახალუხისა და ფეხი წინდა-ქალამნის მეტი არაფერი ემოსა. იმდენად სიფრიფანა რამ იყო ის დამხვდური, რომ გამიკვირდა, — სიმჭვირვალის დანახვაც შეძლებულა-მეთქი.

— კაცი მოვედი... ამ წყვდიადში. ამომხედე მაინცა!

გვიან გამომელაპარაკა:

— კაცი მუდამ აგრე მოდის — წყვდიადში, გათენების პირს, სარწყუნისის მიწურულს, ხანდახან მირკნის დამდეგს... ის კაცი, მძლე! — მკაფიო, ხავერდოვანი ხმა ჰქონდა.

— ისევა სთვლემ? ამომხედე-მეთქი, გზა უნდა გკითხო.

შეძათვალიერა, კვლავინდებურად ჩაქინდრა თავი და მითხრა:

— მე სულა ვარ და სულა ვთვლემ. თქვენ ბობოქრობთ — კაცთა მოდგმა, სანამ ხართ და ფხიზლობთ. ჩამოჯექი, სითბოზე მეწვიე. უწინაც მწვევიხართ — ზოგი სითბოზე იყო, ზოგი სუსხზე. არ გეცოდინება.

ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, საჭურველი განზე გადავდე. ქვა იდო, ჩამოვჯექი, ხელისგულები შევითბე და, — აბა, რასა და როგორ მეტყვის მეთქი, ვკითხე:

— ვინა ხარ და რასა იქმ აქა?

— მკურნალი ვარ. ეს ქსენონია. — თავი ქვითკირის ბალავრისკენ გაატოკა.

— რომელ სენსა ჰკურნავ?

— ყველანაირსა და არც რომელს.

— ეგ — როგორ? — შევლიმე.

წამით თვალი თვალში გამიყარა და მითხრა:

— მოსახდენს ვახდენ!

— მოსახდენსა? — ჩავილაპარაკე უფრო იმისთვის, რომ აზრს ჩავწვდომოდა და დავძინე: — მაგისას ვერაფერს მიგიხვდი.

— ჰო, ვერ მიხვდებოდი.

ორივენი ვდუმდით. გული გამიწვრილდა და ვკითხე:

— რა გქვია, როგორ მოგმართო?

— კრონი მქვია.

— ეგ სახელი არსად გამიგონია.

— მარტო მე მქვია... აქა, თორემ სხვაგან, რა ვიცი, იქნებიან.

ვერ მოვისვენე. ფულურომ იცის, უეჭველად ხელს შეგაყოფინებს, მიზიდულობა აქვს. ეგ არის, ყელი თუ ვიწროა და ხელი ვერ შედის?!. შიშიც იცის ფულურომ, — მოზიანე არა იყოს რა შიგაო.

— ამ ყინვაში კარგი პატრონი ძაღლს არ გამოაგდებს... — სალაპარაკოდ რიდი ვთქვი, ისე ვთქვი.

— ეს ორი კვირაა, შუადამის მერე გამოვდივარ და ვზივარ.

— რას უზიხარ?

— აკი გითხარ, სარწყუნისის ბოლოა, ამ დროს მოდის ხოლმე ის კაცი.

დაბნდურმა გაიღიმა. ეს პირველი გაღიმება იყო, რაც მოველ.

— უყავლოა, ხან ორას წელიწადში ერთხელ მოდის, ხან ორსა და სამსა ამდენს იგვიანებს.

ჰოოო-მეთქი!.. სხვას რას ვიტყოდი.

— ბევრი გყავს?.. სნეული, — რკინიბ კარზე მივანიშნე.

— ბევრი. სულით გვემულთა ქსენონია.

— ამ ქრისტეს ტირილსა თუ სოცვა-ჟლეტაში ხელთათვის ვისლა მოუცლია, სახსარს ვინ იღებს?

— მიწა, მოსავალი, რასაც დატოვებენ თათარნი ჭირნახულისას, ამათი საზრდელიც ის არის.

— სულით გვემულთაგანაც ანგარებენ? — გულწრფელად აღმომხდა.

კრონმა ჩაიღიმა, აღარაფერი უთქვამს, მაგრამ მე არ მოვუსვენე:

— უწინაც მწვევიხართო, ზოგი სითბოზე იყო და ზოგი სუსხზეო — ეგ როგორლაა?

— იმათი გითხარ, მძლე კაცებისა.

— აკი, თავად მწვევიხარო?! — სიცილით მივუგე.

— უწინ სხვები იყვნენ. ახლა შენ მოხველ და მეწვიე კიდეც. — თავადაც გაიღიმა, კვლავ მოიღუშა, ჩიყურა, თავი ჩაქინდრა და დასძინა: — რაკი მოხველ, სანამ იცოცხლებ, კიდევაც მოხვალ. ი სუსხი და სიმძიმილი მოგიყვანს. ის სხვებიც ეგრე იყვნენ. იქნებ, მომავალ სიცოცხლეშიც მძლედ მოგავლინოს განგებამ — მაშინაც მომიხსნულებ ხოლმე. აგრეა.

ახირებული სახელი ერქვა, ახირებულებს უბნობდა. ძარღვები ამეშალა და უკეთესად ვკითხე:

— იცი კია, ვინა ვარ და საიდან მოვდივარ?!

— უფლისწული გიორგი ხარ, მეფე დიმიტრი თავდადებულისა და ბექა ჯაყელის ასულის — ნათელას ძე. მანდედან მოდიხარ. საქართველოს მეფედ კურთხევისთვის მოგიყვანეს თბილისს თათრებმა. ბოლოს სად გაგიყვანს განგება, ეგეც ვიცი. შენზე ადრე მოსულებისაც წინასწარ ვიცოდი ხოლმე ყოველივე. ვინც შენს შემდგომად მოვა — მძლე, იმათიც მეცოდინება, ყველაფრის მკურნალი ვარ-მეთქი.

სწორედ საკვირველი ვინმე იყო კრონი. იყო-მეთქი, ვამბობ, რადგან წარსულს ვიგონებ, თორემ ეგ კაცი საერთოდ არასოდეს ყოფილა, ან დასაბამითვე იყო, დღესაც არის და უკუნისამდე იქნება!.. სიტყვას მისას და ნათქვამის არსს მძაფრი, გულისშემგვრელი და გაუგებარი უფრო ეთქმოდა, მაგრამ ფიქრის აღმძვრელი და სასაუბროდ წამქეზებელიც იყო სწორედ ამიტომ... როგორ და საიდან უნდა სცოდნოდა ჩემი ვინაობა! სანადიროდ ვიყავ, ერთი აზნაურივით მეცვა. მე ისა ვკითხე, — ახლა, დღეს, საიდან მოვდივარ-მეთქი.

...რაღაც იყო ისეთი იმ დიაცის ჩაღიმებებსა და ჩრდილიანი წამწამების ხაჩხაჩში... არშიყი ქალები სჩადიან აგრე — ალერსიან თვალს გესვრის, გულისცემას ჩაგტაცებს, თვალიერებას დაუწყებ და იმასაც ეგ უნდა: იმისთვის შეიოგციცინა და შეიოგციცინა, რომ კარგა მნახოსო: იცის, ვნების მოშგვრელი გარეგნობა აქვს, თავს უეჭველად მოგაწყურებს... ეგ არის, უგერგილოდ სჩადიოდა. ამით მივსვდი, შეძავი არ უნდა ყოფილიყო. ხელოვნება აკლდა, უნამდვილობა დასთრევდა, მაგრამ ჩვენს მპყრობელთ იმდენი სიფაქიზე სადღა ჰქონდათ, მაგნაირები ეგრძნოთ. კინაღამ საჭურველით დაერივნენ ერთმანეთს. ისევ დიაცმა იმარჯვა, ჩარდოგს ანიშნა, — შენ წამოდი, შენ მინდიხარო. მიტრიალდა, იმ ნაოხარ ეკლესიისკენ გასწია. ჩარდოგს ასე ახდილი მიწვევის მოლოდინი ვით უნდა ჰქონოდა?!. იმის ბრჯვე პირისახეს სიხარულის ელდაღა აკლდა!.. ხმით რომ გამეცინა, ბელდე და იჩუ ისე ჩაბაფრინდნენ თვალებში, ვითომ მძიმე რამ დანაშაული ჩამედინოს. უარყოფილი მაბაკაცის მზერა იყო მათი მზერა და ისეთი, უდანაშაულოზეც რომ შეუძლია ეკავრის აძოყრა...

არა, რანაირად მიდიოდა დიაცი! წარმტაცი იყო, ეშმაკის კერძი, და მდედრი, ჭეშმარიტი მდედრი. მძლავრი სხეული ჰქონდა, მაგრამ მოხდენილი და სწარტი, თითქოს, პირდაპირ მიწიდან ამონახეთქი. ეგეთი დიაცი არც ფეხმძიმობაში დაგოხჯდება: ნაყოფისთვის მოიხხამს, მოიდოვლათებს, მომრგვალდება, მაგრამ მაინც ძაძვესიერ ფეხმძიმედ წარმომიდგება. პაპაჩემმა ბექამ ყრმობაში ფილოსოფიის მოძღვრად იყალთოელი ბერი მომიჩინა: იმ იოანემ ჩამაგონა, — დიაცის ყველა საქციელი მისი მომავალი შვილიერებიდან მოდისო. მას აქეთ დამჩემდა, ყველა დიაცი ფეხმძიმედ წარმომიდგება ხოლმე და ისიც, რომ ახალგაზრდა ქვრივის დახახვა მაფორიაქებს, დაუოკებელ ვნებასა მგვრის, ვითომ ცისქვეშეთს ვიღაც აკლია და მისი მოყვანა მხოლოდ მე მევალებოდეს...

ქალი ეკლესიაში შევიდა, მიიმალა. ჩარდოგმა ბრტყელ სახეზე ხელისგული ჩამოისვა, სუფრას დააცქერდა, გაირინდა. ახლა მხლებლებს დაუთათხანა, — ე მაგ მწვადებს ეშველება რამე თუ არაო! იმედი მისცეს, — მალე იქნებაო. კიდეც შეყოვნდა ჩარდოგ-ნოინი, მერე ალბათ გადაწყვიტა, — ნატრფიალევზე უკეთეს გემოს ჩავატან სორცსაო, და ეკლესიისკენ გასწია.

...— ეგენი ვინღა არიან? — მძლენი, — ვკითხე მკურნალს კარგა ხნის დუმილის შემდეგ.

— მძლენი? — კრონმა ეჭვით შემომხედა, ალბათ, იფიქრა, — რანაირად უთხრა, რომ ძიხვდესო, და განაგრძო: — ხანი, ვისი ნათქვამი სიმართლის იქით სხვა სიმართლე დევს, იმ სიმართლის წიაღში კიდევ სხვა და ყველა ერთად სიკეთეს მსახურებს. ძძლენი არიან ჩუბინი თვალება და გამჭრიახი გონების მქონენი, საჭირო საკეთებლის მიმგებნი და მხნედ მოქმედნი, ჟამთა სიჩალხის მბრძოლნი და ჭკუითა ძლევამოსილნი — მეფენი იქნებიან, მხედართმთავარნი, მერჯულენი თუ ერისკაცნი ვიეთნი — ვინაც ცხოვრების დიდი თუ მცირე ნაწილის წარსამართავ საქმეთა ხელდება იღო თავს და მართებულად ირგუნა განგებისაგან. მძლენი მდაბიოთაგან მოდიან უმრავლეს და კეთილშობილთაგანაც ზოგნი, მაგრამ ესენი უფრო არიან გამოჩინებულ ჟამთააღმწერელთაგან მოხსენიებისა გამო.

სევდამ დამრია ხელი, ყრმობითვე მქონდა შემოჩვეული სინანული, რომ სხვა ზოდიაქოს ქვეშ ვიყავ შობილი და დიდთა საქმეთა აღსრულება არ მეწერა.

კარგა ხნის შემდეგღა ვთქვი, თითქოს თავი მემართლებინოს:

— დრო და ვითარება თუ შეესწრო, ჯაბანიც მძლეა მაშინ!

— დრო მუდამ და ყველასთვის მუხთალია, ხოლო ვითარება — შეუსაბამო, —

ძოძიგო კრონმა, — ეამი კაკანათია, კაცი — მარად შინ გაბმული მფრინველი, მაგრამ ესე მარტივ კაცთათვის არის. მძლეთათვის: ისინი თავად ნადირობენ ველსა და ვიდარებაზე. მძლენი არიან და ამად მოინადირებენ კიდეც.

მის ნათქვამში რაღაც არ მომეწონა — ალბათ, სიმართლე. იქნებ, ქვეშეცნეულად იმ მძლე კაცებისა შემშურდა, მათი უპირატესობა მეთაკილა და გულფიცხად ძივაგებე:

— აწმყო წარსულ თაობათა ნაღვაწად ითქმის, მკურნალო. რა ყოფა მოგვინადირეს იმ კაცებმა?!. უცხო თესლის ულელი, დაბეჩავებული რწმენა და ზნეობა, ხორცისა და სულის მჭვარტლით მოფენილი მიწა?! ამაოდ დაშვრნენ ეგ შენი ძძლენი, ვერ აღგავეს ბოროტება!..

— მისმინე, უფლისწულო! — სიტყვა ჩამომართვა კრონმა, იყუჩა და ისევე თავჩაქინდრულმა, იმავე აუმღვრეველი და სავერდოვანი ხმითა თქვა: ბოროტება ძხოლობითად ვერ ითქმის, სიკეთესთან ერთად უნდა, და ადამიანიც სხვა არაფერია, ეგ არის. ბოროტება და სიკეთე ყველა კაცში ერთად ბუდობს, განუყოფელია. კაცი ერთარსებაა მაგ ორისა. ბოროტების აღგვა სიკეთის აღგვას ნიშნავს და კაცთა მოდგმისაც ამად.

— შენ ის გინდა თქვა, რომ ყოველ სიკეთეში ბოროტებაც არის პირუკუ?

მკურნალმა ისევ თავისი მითხრა:

— მამულისთვის წუხილი — სიკეთეა, მაგან გათქმევინა იმ კაცთა აუგი და ბოროტება გამოგივიდა; რადგან მძლე ხელუყოფელია! ახლა მე ეს გითხარ და ვიცი, უხერხულად შეიქენ, აღრევამ მოგიცვა; ეგ, ბოროტება და სიკეთე ბრძვიან შენში, მაგრამ ბოროტება მუშტივით შეკრულია მარად, ხოლო სიკეთე გათითოკაცებული და ამად ძალკნინი, სანამ თავადაც შეიკვროდეს, სატევრად და თორ-აბჯრად შენივთდებოდეს.

— აგრეა! — მემცნაურა და კვერი დავუკარი.

. . .

ძიდიოდა ჩარდოგ-ნოინი ნაოხარი საყდრისკენ და მერე როგორ ძიდიოდა!.. ბეჯითად, საგულდაგულოდ, უარყოფილთადმი ნიშნისგებით! ზურგსა და სიარულს თუ იმოდენი მჭევრმეტყველება შესწევდა!.. ნოინებს მივხედე — ბელდესა და იჩუს. რანაირ თვალებს მიაყოლებდნენ! ეგოდენ აყალყულს, შურითა და ბოღმით სავსეს ადრე არაფერს შევჩრივარ. ისარი არ დააწიონ-მეთქი ჩარდოგს, — ვიფიქრე და ახაზდად აზრი მეტაკა, რომ ეს კაცები ჩემი სინდისისა და ღირსების გათელვაში ეცილებოდნენ ერთმანეთს: ჩემი ერისა და რჯულის დიაცის სიძვისთვის ქიშპობდნენ. ყელში სისხლი მომაწვა, ზეზე წამოვიჭერ, რაღაცამ მიბიძგა, ჩარდოგს დავწეოდი, თავი წამეგდებინებინა, მაგრამ ნაშიშვლელი დაშნების პრიალი მოშხვდა თვალში და ისევ ნოინებს გადავხედე: იჩუ ქილიკად შემოშცქეროდა, — აბა, გაინძერიო! ბელდემ ნუკერებს მზადყოფნა ანიშნა, ზურგიდან შემოვლა დაძიპირა. ნუკერებმა ნანადირევს ხელი უშვეს, თვალის დახამხამებაში ოცდაათი ლარი დაიჭიმა, ოცდაათი ისარი შეიმართა. აფთარმა იცის, ლეშზე მიმდგარს ფაჩუნი რამ თუ მიესმა, ლუკმას დააგდებს, ღრჯოლებს დააშიშვლებს, კვეთებისთვის გამზადებული დგას... ჩემს მხლებლებს — კარნიფორელი აზნაურები იყვნენ, ორნი, — ნუკერთაგან რომელიღაცამ დაუსისინა. ორნივ მიწაზე დასხდნენ, თავები უმწეოდ ჩაქინდრეს. ამაების მნახველს აზრი მეწვია, — ეს დიაცი თავისი ნებით სჩადის, რასაცა სჩადის და, კიდეც ძალი მედვას, რად უნდა დავუშალო-მეთქი. ბოღმამ გაძიარა, გავიცინე, დავჯექ და ყველაფერი კვლავინდებურად რიგზე დადგა. დიაცისა

და ნოინების ავ საქმეს ჩემი უსიტყვო, ლაჩრული თანხმობა მიერთო. ახლა ჩვენ ერთნი ვიყავით, მუშტივით შეკრულნი.

ჩარდოგმა ამაყად მოიხედა, ნაოხარ ეკლესიაში შევიდა.

. . .

— ეგ ჩემი ნათქვამის პასუხი არ იყო, კრონო! — აშლილი გუნება ვერ დავიოკე, ცივად ვუთხარ. — მე ისა ვთქვი, — რანაირი ყოფა დაგვიტოვეს-მეთქი.

— ეს ყოფა ჯერ განგებისგან არის და მერმეთ სადაგთაგან.

— სადაგნი ვინღა არიან?

— მგინებელნი ყოველივესი; მხვეჭელნი ნივთთა და ნივთიერ სიხარულთა; მიმჩევნი მამულისა თვისისა მხოლოდღა წყაროდ საკუთარის ღღეკეთილობისა; ნუბინი თვალისა და გამჭრიახი გონების უქონელნი; საჭირო საკეთებლის ვერ მიმგებნი და ვითარების მორჩილნი. ერთი სიტყვით, დროის კაკანათში გაბმულნი — ძეფენი იქნებიან, მხედართმთავარნი, მერჯულენი თუ ერისკაცნი ვიეთნი, ვინაც ცხოვრების დიდი თუ მცირე ნაწილის წარსამართავ სადავეთა ხელდება უმართებულოდ ირგუნა განგებისაგან. ამათგან მოდის ავყოფა და ძნელბედობა, უფლისწულო!

— იმ კაცთაგანაც მოდის ზოგი რამ, ალბათ, მძლეთაგან — ვინაც განგებისგან მართებულად ირგუნა სადავენი, — შევექილიკე კრონს.

— მოდის! — დამიდასტურა მან. — შენი სიამაყე და დგომის ილაჯი მოდის ძათგან. ცარიელზე არ მოსულხარ, უმტკიცეს საძირკველზე იშვი შენ — კეთილნაგები ციხე-გოდოლებითა და ზეგარდმო ნიჭდასმული ერით გამაგრებული ქვეყანა და ღმერთთა სწორ მწიგნობართა და ხელოვანთაგან ქმნილი საუნჯეა ეგ საძირკველი; უმოწყალეს ცისა ქვეშე იშვი შენ — ცა იგი დასაბამიდან ნატიფ-ნახვეწი ზნეობა და ყოფის წესია, რომელი აღასრულე მხოლოდ და იქნები სრულქმნილი; ცა იგი ღმრთის, ერისა და მამულის ხატია, ძლიერი მით, რომ ურიცხვი ეთაყვანა მას შენამდე და გწამს ამიტომ; შენი მამულის, ხალხის სავალ ბილიკზე იშვი შენ — სამარტვილთა და ჯაბანთათვის დაუძლეველია იგი, მაგრამ ღირსეული, რადგან ახლავს სატანჯველიცა და სიხარულიც ძლევისა. იმ კაცთაგან გაქვს ყოველი, ამაყი ხარ, რომ გაქვს და სხვა რამ არცა ხარ! აწ და მარადის წყეულ არიან მარტივნი, რამეთუ წააგეს მონაგები მძლეთაგან. ეკრძალები წაგებისათვის წყევას შთამომავალთაგან და აქედან მოდის შენ ილაჯი დგომისა, არდანებებისა და უფრო კი იქიდან, რომ ურყევლად დგომა არის პირობა ქვეყნისა და კაცის ბედკეთილობისა.

კრონის ნაუბარი დედის რძესთან ერთად მქონდა შენაწოვი, მამაჩემ დიმიტრისაგან და პაპაჩემ ბექასგანაც მრავალჯერ მოსმენილი და, რამდენიცა მყავდა მოძღვარი, ყველასგან დაჟინებით და ზეპირად დანასწავლიც. ვიცოდი კი არა, რჯულივით მწამდა, ეჭვი თუ ყოყმანი არაოდეს გამკარებია და, ნეტავი, ამ კაცის სიმართლეს რალად ვეურჩებოდი!.. ეს გავიფიქრე, შეუპოვრობის ვნება მყისვე დამიცხრა, ნაღვლიანად ვისუმრე:

— ჭეშმარიტი ხარ, კრონო, მაგრამ იმ სულგანათლებულებს, სიამაყისა და დგომის ილაჯთან ერთად, მათებრ დიდთა საქმეთა აღსრულების უნარიც დაეტოვებინათ, რა იქნებოდა!

— ეგეც დაგიტოვეს, უფლისწულო. აკი გითხარ, ის კაცი ხარ-მეთქი.

გული ამიტოკდა, რადგან ამ ადამიანისა უკვე ყველაფერი მჯეროდა. ანაზდად სასოებამ მომიცვა, — ნუთუ ჩამომავალთაგან მარადისი კეთილხსენება მიწერია-

მეთქი, მაგრამ შეუჩვეველს ნუ მიაჩვევო — მეხამუშა, ოცნება უკუვაგდე და ისევ ხუჭრობას მივმართე:

— მძლეთაგანი ვყოფილვარ და ეგ არის!

— ჯერ არ ხარ. სავალი გიდევს, ხილვა და ფიქრი გელის.

— შე კაი კაცო, ე მაგ უკვდავებისა ან ჩუქება რა იყო, ან წართმევა რა საკადრისია! — სიცილით ვუსაყვედურე, მაგრამ ის სიცილი ყასიდი იყო, გული მართლა ძეტკინა და იმავ წამს წარბშეკვრითა ვკითხე: — საიდან იცი?!

— მკურნალი ვარ-მეთქი, — ჩაილაპარაკა კრონმა, — მოსახდენს ვახდენ. თქვენი მეგზურობა მე მაკისრია, გეზზე მე გაყენებთ ხოლმე.

— ხოლმეო!.. მაგდენი თუ შეგეძლო, საბოცდაათი წელიწადია თათარნი ლიხს აქეთა საქართველოში ცხენის ფლოქვითა ხვნენ და გადაშენებას სთესენ — ბარემ ერთიც დაგეყენებინა გეზზე, მძლე... — მკურნალმა ირიბად გადმომხედა, სიტყვა გაბიწყვიტა, მაგრამ თავს ძალა დავატანე, მაინც დავსძინე, — ელოდები, სანამ ბოლოს მოგვიღებენ?!

— თავისი ყავლი აქვს. — კრონმა იყუჩა და თქვა: — ჟამი და ვითარება უნდა დაემთხოს.

— რასა აქვს ყავლი? რას რა უნდა დაემთხოს?

— ყავლი ქვეყნისა და ერის განსაცდელს აქვს, ხოლო სხნას ჟამი და ვითარება უნდა დაემთხოს. აკი ვთქვი, წყვდიადში, გათენებისას, სარწყუნისის მიწურულს, სანდასან მირკნის დამდეგს მოდის ხოლმე ის კაცი.

— ასე მარად გამოუსყიდველი რა ცოდვები გვაწევს, კრონო, რომ ნადირთა მონობა გვემსჯავრა და ყავლიც უყავლო დაგვედო!

— ძალადობა ან მუხანათობა, გინდ აუცილებლობიდან გამომდინარე იყოს იგი — ბოროტებაა, ცოდვა არის და მისი გამოსყიდვა სახსართა შეწირვით, წმიდა ადგილებში მსხემობითა და პირმოთნე, ფარისეველებრი მონანიებით ვერ ეგების. ცოდვას სიცოცხლეშივე ზღავ — მარტო აცი ხარ თუ მთელი ერი და მთელი კაცობრიობა. მეტნაკლები ბოროტება ყველასა და ყველაფერშია, ყველა ცოდვილია ცისა ქვეშე, მათთან ქართველნიცა და ვზღავთ ამად მონობითა ვზღავთ. გონიერნი — თუ ცხოვრებისგან ნაგვეძნიც არიან ისინი — ადვილად მიაგნებენ ხოლმე, რომელი ბოროტი საქმისთვის უწიათ მსჯავრმა და უდრტვინველად ეწევიან პასუხისგების ჭაპანს.

— ზოგი კაცი რომ სიცოცხლეშივე მხოლოდ იღბლიანობითა და ძლევის სიხარულით ზღავს, ხოლო გარდაცვალების შემდეგ — დიდებითა და უკვდავებით, ის როგორღაა, მკურნალო?

— ვის გულისხმობ?

დავფიქრდი, რომელი ერთი მეთქვა.

— თუნდ, ჩემს წინაპარს — დავითს, აღმაშენებლად წოდებულს. უცოდველი იყო, ბოროტება არა ჩაუდენია რა?

— ჩაუდენია კიდეც და უუმძიმესი ტანჯვა-წამებითაცა ზღა, სულგანათებულმა.

— რისგან ეწამა? — ღიმილით მივუგე ნიშნი.

— სინანულისგან! დიდსულოვანთა ხვედრია: ოდეს ირწმუნებენ, რომ მათი მავანი საქციელი ბოროტება იყო — გინდ უნებლიე ან აუცილებელი საჭიროების გამო ჩადენილი — სინანული შეუჩნდებათ ხოლმე და მყოვარჟამ ითრგუნვის სული მათი. უუმძიმესი საზღაურით ზღვენ მძლენი — სინანულით! ხოლო მძლეთა წარმატებულობა წვლილვით განჭვრეტის, ჭეშმარიტთა მიზეზთა მიგნებისა და მართებული ქმედების უნარით აიხსნება, რაიც სინანულის ზეგარდმო ნიჭიდან მოდის და არა მხოლოდღა იღბლიანობიდან.

— სხვაფრივაც განმარტე, კრონო.

— ჩადენილის გამო სინანულით შეპყრობილი კაცი სხვა დანაშაულს ვერ მიმსგან ახალი სინანულით წამებას უფრთხის. მაშინ მომავალ საქმნელს რუდუნებით განჭვრეტს იგი, მართებულად აღასრულებს და ყოველი ნაქმნარი მისი საკაცობრიო სიკეთის შარავანდედით იქნება მოსილი.

— განგებას გამჭრიახი გონება თუ არ მიუცია მისთვის?

— სინანულის უნარი თანდაყოლილი გონიერებიდან მოდის და მერმეთ თვითვე ამახვილებს გონებას, დიდთა და კეთილთა საქმეთა აღსრულებად წარმართავს ძას. გონებაბრჯგუთათვის სინანული მიუწვდომელია და იღბლიანობაც, რამეთუ ძსოლოდ მაღალი ადამიანური ღირსებებით მადლფენილს ეთქმის იღბლიანი კაცი.

. . .

ჩარდოგი მალევე გამოვიდა ეკლესიიდან — ისე მალე, რომ ეჭვი შემეპარა, — ასე უცბად განა რა უნდა მოესწრო-მეთქი. ზანტად, უსალისოდ, წუთისოფლის სიმუსთლით გატანჯული კაცივით მოდიოდა. გზად წყაროსკენ გადაუხვია, წყურვილი ძოიკლა და სუფრისკენ გამოსწია. იჩუს თავი ისე ეჭირა, ვითომ არც წასვლა შეეძჩნიოს ჩარდოგისა და არც გამობრუნება. ბელდე ცმუტავდა, სახეზე გმობის ღიძილი უთამაშებდა, თვალს სან იჩუს მიაპყრობდა, სან მე — გუნების მოდასტურესა და თანამოაზრეს ეძებდა. ასე მგონია რომ დასცლოდა, ჩარდოგს უსათუოდ უსაყვედურებდა, — ეგ რა ჩაიდინე, რა საქციელი იყო. არ დასცალდა, ეკლესიიდან ქალის ხმა მოისმა:

— ახლა ეგ წამოვიდეს, ფიცარივით პირისახე რომ აქვს, შუათანა!

იჩუ ისევ ისე იჯდა, შეექცეოდა, ცნობისმოყვარეობა არაფრის გაუმჟღავნებია. ბელდე გაფაციცდა, პირღია შემომაჩერდა. — მითარგმნე, რა დაიძახაო. თქმას ვაპირებდი, მაგრამ ამასობაში ჩარდოგი სუფრას შემოუცუცქდა და თავრულად სიტყვა-სიტყვით გადმოსცა დიაცის დანაბარებიცა და ძახილით განმეორებულიც. ბელდეს არც დიაცის შეურაცხმყოფელი კილო მოსწვდომია, არცარა ფიცარი გაუგონია — სახე ანაზღად დაუმძიმდა, გაინაბა, თითქოს, მიაყურა რასმეო. მერე ხელები გადაიფშვნიტა, თითებს ტკაცა-ტკუცი გააღებინა, ზეზე აიგა და ეკლესიისკენ გასწია. სწორედ ისე მიდიოდა, როგორც ჩარდოგი — ბეჯითად, საგულდაგულოდ... გავიფიქრე, — ნეტა თუ ესაც ჩარდოგივით მოღუნულ-მოკაკული გამოტრიალდება-მეთქი.

— არ იცის... — ცალი ყბითა თქვა ჩარდოგმა.

იჩუმ წაუყრუა.

ვინმეს სომ უნდა აება ბუარი? ის იყო, საუბარში ჩარევა დავაპირე, რომ ჩარდოგმა თავადვე დასძინა:

— ...იმ დიაცმა, — თავი ნაოხარი საყდრისკენ წაიქნია. — ქალის საქმე არ იცის. მორივით იდო, გაშოტილი.

იჩუმ თავი აიღო, შესცინა და ჰკითხა:

— იდო?

— თევზივით უნდა ფართხალებდეს! — წარბშეკვრით მიუგო ჩარდოგმა.

— რამე გეჩუქებინა... წინდაწინ, — უთხრა იჩუმ და შვლის ნეკნებს აუტეხა კრაწაკრუწი.

— არ აიღო, — მიუგო ჩარდოგმა. — არ მინდაო.

— აგრე ბოგანო და, — არ მინდაო?! — გაუკვირდა იჩუს. — რაო?

— არ აიღო! — გაიმეორა ჩარდოგმა, — როცა გადაკრული არყისგან ღრევას ძორჩა, ხელი უბეში შეიყო, ქისა გამოიღო, გვაჩვენა და ისევ შეინახა.

ინუმ თავი გადაიქნია.

მე იმან ამიტაცა, — რატომ არ უნდა აელო-მეთქი. ქისაში იმდენი ეყარა, ერთ გადაბუგულ გლეხს ფეხზე დააყენებდა და თავზეც გადაუვიდოდა. ვნებისა და წყურვილის გამო სჩადიოდა? აოხრებული კი იყო ის ადგილები, მაგრამ არც იმ-დენად, რომ ერთ კოხტა დიაცს მამაკაცის პოვნა აგრე გასჭირვებოდა. ქირა ითა-კილა? საქვეყნოდ მეძავობა რომ არ ეთაკილებოდა!.. ერთი სიტყვით, ათასნაირად გავსინჯე ის საქმე, საიდან აღარ შემოვუარე და მაინც ვერაფერს მივწვდი. ცნო-ბისმოყვარეობამ ამაფორიაქა. დაბადებითვე სიკვდილამდე ეგეთი ვიყავ, ვერ მოვი-სვენებდი, სანამ იგავს ფესვს არ მივუგნებდი. ამის ფიქრში გართულს მომეჩვენა, რომ ის გოროთა მეწვია. წელიწადი იყო არ მენახა, იქნებ მეტიც. ვითომ თავს წამოიმადგა, ზურგიდან დამცქეროდა. გადავწვდი, მუგუზალს დავავლე ხელი... არა-ვინ ჩანდა, ან იქნებ, როგორც სჩვეოდა — განქარდა, გაქრა და აღარ იყო? მუგუ-ზალი ცეცხლშივე ჩავაბრუნე. გოროთა ჰქვია, ტანკენარია და მიმგზნები. შემოტ-ძასნული, ოქროით დაწინწკლული შავი კაბა აცვია, შავი ხელთათმანები აქვს, სვავის ნისკარტივით მოხრილ თითებს აფუთფუთებს, თავისი მიმზიდველი სხეუ-ლითა და ვნებიანი თვალებით კაცს საითღაც, რაღაცაზე ეძახის. ეს გოროთა ყრმო-ბითვე ამყვა, სამარის კარამდე მდია, ვერა და ვერ წამიტყუა. როცა სიზმარში მო-სულა, მუდამ ერთი და იგივე ხდებოდა: შევღიმებდი, ვეტაკებოდი, ნადირივითა ვბუბნავდი... ნეტარებაზე მიტანებულს მკლავებიდან როგორღაც დამისხლტებოდა, შორიახლოდან ნიშნისმოგებით გამიცინებდა და გაქრებოდა, არარაობად იქცეოდა ხოლმე, ვითომ არც როდისა ყოფილა. საკვირველია, ბავშვობიდანვე მეომრად ნაწ-ვართს, ნადგურისცემად აღმდგარი ათბევრობით* მამაკაცის ნამოქმედარი, ვინ იცის, რამდენგზის მინახავს, თავადაც მიკლავს, სიცოცხლე ფეხით მითელია და სიცოცხლის უარყოფის სიმბოლოდ დედაკაცი რამა და რატომ ამაკვიატა, ნეტავ!.. წუთისოფელი ისე გავლილ, სარწმუნოდ ვერ მივაგენი, როდის, რის გამო, ან რაის მომასწავებლად მეცხადებოდა გოროთა. არც როდის რამ დაუტოვებია, გარდა ჟინმოუკლაობის უსიამო განცდისა, ხორციელი ძალადობის გამო სინანულისა, ყოველგზისი აღთქმისა, რომ ვერღა მიმიგზნებდა და იმის გამო სინდისის ქენჯნი-სა, რომ იმ აღთქმებს ერთხელაც ვერ ვუერთგულე. სინანულს მიტოვებდა, სხვას არაფერს და ამისთვის მოდიოდა, იქნებ, მაგრამ ეს ის სინანული არ იყო, კრონმა რომ ილაპარაკა, სხვაგვარი რამ იყო.

. . .

— სინანულზე შენი ნაუბარი მართალი ჩანს, კრონო, — დავუდასტურე, როცა გოროთაზე ფიქრს მოვრჩი. — ერთი დაკვირვება მაქვს: არიან კაცნი, ვინაც სხვათა ღმერთს ირწმენენ, სხვა ხელმწიფის სამსახურში დგებიან, იქ მხედართუფროსო-ბით ან ნაზირ-ვეზირობით აღზევდებიან, ბრძენისა თუ გმირის სახელს მოიხვეჭენ და განცხრომით სუფევენ. ამათ მისაღწევი მიზან-საწადელი წინ, თითქოს, აღარც რამ უძევთ, მაგრამ მაინც ერთთავად წუხან და შფოთვენ, სამშობლოსკენ იყურე-ბიან და ბოლოს უმრავლესობა მაინც თავის მამულსა და რჯულს უბრუნდება. აქ ერისკაცობაში თუ მონაზვნობაში უღრმესი სევდის თანხლებით ლევენ წუთისო-ფელს იმისღა მსახოებელნი, რომ წინაპართა მიწასა და მამა-პაპის საძვალეში და-ეფლვიან. ასე მგონია, ის დამთრგუნველი სევდა არა მარტო დიდების გარდასვლის გამო შემოდგომილი კაეშანია, არამედ სინანულიც, რომ მხნეობა, გონების სიცინ-

* ბევრი — ათი ათასი (ათბევრობით — ათი ათასობით).

ცხლე და ყოველი ნიჭი თვისი, უცხო თესლისთვის წააგეს. ასაკითა და გამოცდილებით არის სინანული და არა განგებისგან თანდაყოლილი.

— უფლისწულო, სინანული მაგ კაცთა იმის მისვედრისგან არის, რომ მარტივ ადამიანებად იშვნენ, და არა იმ ბოროტებათა აღიარებისგან, რაიც მათ წარსულში ხებით თუ უნებლიეთ ჩაუდენიათ. ეგ კაცები — „დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვთ ხოცვა ნადირთა მცირეთა“ — და ჰგონებენ კი, რომ გოლიათებს ერკინებიან. ჭარბაგობასა თუ სიბერეს მიწეულთ. თუმც მცირე ნადირთან კინკლაობაში, მაგრამ მაინც უგროვდებათ იმდენი გამოცდილება და განსჯის უნარი, რომ დიდთა საქმეთა ყადრსა და მათი აღსრულების ბუნებას მისწვდნენ. ეგ არის, უნარი ქმნისა არც დაბადებით ჰქონიათ და მისრწნილებაში რაღა გაუჩენდა?! მათი ცხოვრება იმ კაცისას ჰგავს, ვინაც წუთისოფელი საფასეთა ხვეჭას გადააგდო, ჰგონებდა, რომ დიდ საქმეს მსახურებდა, უძირფესვობა, მარტოკაცობა ირჩია ამად, სიკვდილის პირას აღურაცხელი საჭურჭლე შერჩა ხელთ, მაგრამ ვერცა რა გლახაკთა და ბოგანოთათვის მისაცემად გაიმეტა, რადგან უანგაროდ გაცემის უნარი განგებისაგან ნაბოძები არ ჰქონია, და ვერც თავისთვის ირგო, რამეთუ დაჩაჩანაკებულს ხშელა პურის მეტი აღარა სჭირდებოდა რა. მარტივნი არიან ეგ კაცნი. მათი ხვედრი მხოლოდღა სინანულია და არა მისგან გამომდინარე სწორი საქციელი, ხოლო დაგროვებული გამოცდილება თუ საჭურჭლე გვამთა მათთაებრ მიწაში ჰპოვებს ხოლმე აბეზარ პატრონთაგან მოსვენებას. მაგ კაცთაგან ზოგის გმირობას რაიც შეეხება... თვით სიტყვა — გმირი, ის სიტყვა აღარ არის, რომელი პირველითგან იყო. გეცოდინება უთუოდ... ვით განგიმარტეს მოძღვართ პირველქმნილი და დღეისჟამიერი არსი მაგ სიტყვისა, უფლისწულო?

ვიცოდი. ღრამატიკოსი მყავდა. უაბენის მონასტრიდან, დროთა დინების გამო სიტყვათა არსისა და მნიშვნელობის ცვალებადობას საგანგებოდ მასწავლიდა. ყრმა ვიყავ, ის ჩხიბვა-მიგნება კარგი სათრეველი იყო. მესსიერებამ ნავარჯიშევიც ბოლომდე შეინარჩუნა და თვით ვარჯიშმა ჭია შემიჩინა — ამ საქმით მერეც ხშირად ვერთობოდი ხოლმე.

— მაგ სიტყვის ფესვი გმირვა, განგმირვის ქმნაა. ძლევითა და განგმირვით საბელმოხვეჭილ კაცს — მგმირს ეტყოდნენ. მერე ეგ მანი თქმისა სიძნელის გამო დაიხთქა, სიტყვამ ქმედების ნიშანი დაკარგა, გმირიღა დარჩა და დღეისჟამობით ბრძოლებსა და ომებში წარმატებულ კაცთა საწოდებელ სახელად იქცა. სწორად ვითხარ?

ძკურნალმა ცეცხლს უყურა, მუგუზლები მიასწორ-მოასწორა და მითხრა:

— სწორი იყო, მაგრამ წიაღში ჩაუწვდომელი. პირველითგან საკაცობრიო ბოროტების მბრძოლსა და დამთრგუნველს ეთქმოდა მგმირი, მიუხედავად იმისა, რჯულისმდებლობით იღვწოდა ამისთვის, მშვენიერებათა ქმნით, თუ მსხვერპლად მისვლით. მგმირი იმ კაცს ეწოდა, ვინაც ურჩხული განგმირა და ერი მოშთობისგან იხსნა. ზოგადი შემუსრა და არა კერძო, შედეგებს კი არ მისდგომია, პირველმიზეზს მიაგნო და საქმნელი აღასრულა.

— მაგისთანა კაცზე ჰაპაჩემი ბექა ასე იტყოდა ხოლმე, — ოქროს კვერცხი დადო!

— როგორ კაცზე იტყოდა ხოლმე? — მომეჩვენა, რომ გაიგო, როგორ კაცსაც გულისხმობდა ბექა, მაგრამ მიხვედრა მაინც შეამოწმა.

— პირველმიზეზის დამდგენზე.

კრონი დაფიქრდა და თქვა:

— მაგ კვერცხს ოქროსი მხოლოდ მაშინ ეთქმის, თუ დაძლევის საშუალებაც გამოიჩეკება იქიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .

ბელდე ეკლესიიდან გამოვიდა.

იჩუმ ათიოდ ნაბიჯზე მოახლოება დააცადა, ზეზე ადგა, ღელესკენ წავიდა. ბელდე შედგა, მიმავალს თვალი გააყოლა და როცა მისი განზრახვისა ვერაფერს ამხვდა, მიაძახა, — საით წახველ, დიაცი გელოდებაო! — იჩუს არ მოუხედია, ხელით ანიშნა, — არა მწადია, არ წავალო, და თავქვე დაეშვა.

ბელდე მოვიდა, სუფრას შემოუჯდა. სამთავე ვდუმდით. მე ისევ დიაცის საქციელზე ვფიქრობდი და ვერაფრით დამედგინა, რასა და რისთვის სჩადიოდა.

ნუკერებს მოვავლე თვალი. ამათ ფიქრისა საერთოდ არაფერი იცოდნენ, ერთხელ დადგენილი ადათებითა და უფროსთა ბრძანებებით ცხოვრობდნენ, სხვა არა ესაქმებოდათ რა, მაგრამ ამათაც კი რაღაც ფორიაქი შესდგომოდათ, ერთმანეთზე გაჯავრებულებივით სხვადასხვა მხარეს იყურებოდნენ.

იჩუ დაბრუნდა, შემოგვიერთდა, ჩარდოგს და მერე ბელდეს თითო გამკილავი თვალი აძგერა, სახეში ღვარძლიანად შესცინა. ნოინეშმა წაყრუება არჩია. ბელდემ ისევ უთხრა, — რატომ არ მიდიხარ, გელოდებაო.

— ჩემი წინაპარი თქვენი წინაპრის ნახმარ უნაგირზე შეჯდებოდა?! — თვალები დაუბრიალა იჩუმ ორთავეს და ბელდეს უთხრა: — პაპაშენმა ცხენი პაპაჩემის ჯოლბორდობაში იშოვნა, დაგავიწყდა? — იყუჩა, გონს მოსვლა დააცადა ბელდეს და უკვე სახეალეწილს, წამოსაფეთქებლად გამზადებულს, მშვიდად, მოძღვრის ღირსებით მიაგება: — ეგ — არაფერი, წასული საქმეა. მაგ კახპას რაღაც უდევს გულში. როცა მონას ან მტერს რაღაც უნდა და შენ კი არ გესმის, რა უნდა — უკულმა უნდა მოიქცე. ესაც დაგავიწყდათ, თუ ჩინგიზის წესები აღარ გეპრიანებათ?!

ავდექი, ეკლესიისკენ გავწიე. ნოინების გადალაპარაკება დამეწია. ყურადღება არ მიმიქცევია, შევედი.

საყდარს გუმბათი მორღვეული ჰქონდა. წვიმასა და ქარს მოხატულობა ბათქაშიანად ჩამოელო. ვიღაცებს ფილაქანიც კი ერთიანად ავყარაო და, ესაც არაფერი, აკლდამები აძოეფორიაქებინათ, ძვლები და თავის ქალები იყო მიმოფანტული. ეკვდერში გასასვლელი თაღი დავინახე. მივხვდი, დიაცი იქ უნდა ყოფილიყო. ძიეედი, კრეტსაბმელი ოდნავ გადავწიე, შევიხედე. კარგა ხანს ვიყურე, სანამ თვალი ბინდს მიეჩვეოდა და რასმე გავარჩევდი.

საწოლივით რამ ჰქონდა მოწყობილი. ზედ ნაბადი თუ შავი ქეჩა ეფინა და ძუთაქაც იდო. დიაცი ზურგით იჯდა, თმას ივარცხნიდა. აქეთა კუთხეში ნედლი შეშა ხრჩოლავდა, კვამლი სარკმლისკენ მიიპარებოდა. დავიხარე, ზღურბლს გადავცდი, ქალს თავზე წავადექი. ამოიხედა, შეკრთა, ზეზე წამოიჭრა და სასთუმალთან კედელს აეკრა. ერთი კიდევ შემომხედა, მუთაქის ქვეშიდან ვეება წალდი გამოაცურა, შემართა, კარგა ხანს მიყურა და ავი ჩურჩულით მითხრა:

— წადი, გამეცალე!.. დაიკარგე აქედან! — შეშლილის თვალები ჰქონდა.

იმდენად ჭეშმარიტი იყო მისი სიტყვაცა და წალდის მოღერებაც, რომ განცვიფრება ვერ მოვასწარი, გონება მყისვე სწორი საქციელის, გამოსავლის ძებნას ეცა და ვიაზრე, სიმშვიდის მეტი ვერაფერი გასჭრიდა. ტახტზე ჩამოვჯექი. დიაცს ძევხედე, ცოტა სევდიანი, დაფიქრებული თვალები ვაჩვენე. მერე გულხელი დავიკრიფე, ზურგით კედელს მივენდე. ერთხანს ცეცხლში ვიყურე. ისევ დიაცს ავხედე. კვლავინდებურად წალდშემართული იდგა და ვთქვი:

— ის, მესამე თათარი რატომ არ მოვიდა, იცი? — დავაცადე, იქნებ, საუბარში შემომყვეს-მეთქი. არ შემომყვა, ჯავრიან, ძძულვარე თვალებს მიბრიალებდა.

ძაშინლა დავძინე: — იმ ორს უთხრა, — ჩემი წინაპარი თქვენი წინაპრის ნახმარ უნაგირზე შეჯდებოდაო?!

დიაცი დაფიქრდა. ანაზდად სხვანაირმა შფოთმა გადაუძაგრა სახე. წალდი დაუშვა, ძალიან დაწვრილებით დამათვალიერა და საითაღაც წაიღო მზერა, ვერ გაიგებდი — საით.

კარგი, თითქოს, მივახვედრე, რომ სიძვისთვის არ ვიყავ მისული, მაგრამ ვერ იყო, იმთავითვე თათრები მამჯობინა და ახლა ასე მტკიცედ რომ უარმყო, ვითომ რაო, იმ ნოინებს აღარ ვჯობდი?! ჭაბუკი ვიყავ, წალდი დაშვებული იყო და შეურაცხყოფამ ამიტანა, წამოდუღებულზე, იქნებ, კიდევაც მეთქვა ან მექნა რაიმე, მაგრამ თავად დამასწრო — ისევ მომიღერა წალდი და დამკივლა:

— გასწი, გამეცალე!.. წადი, შენი გზა ნახე!

ისეთი პირგამეხებული იყო, არას დამიდევდა, მეცემოდა, პანღურის ცემით გაძაგდებდა და, კაცნი ვართ, იქნებ, მართლაც ეხმარა ის წალდი. ეგ არის, ამ აშლილი გუნების რომელიღაცა კუნჭულიდან ქალური ნაწყენობაც მოისმა და ამან ძრძცა იმედი. თვალი თვალში გავუყარე. ერთმანეთს ვუცქირეთ. არა და არ გამარიდა მზერა. მეც პირზე რაც მომადგა, ისა ვთქვი:

— ვინა ხარ?

დიაცი გაფაციცდა, დამაცქერდა, დამაცქერდა. ღიმილივით მანჭი რამ მოეფინა სახეზე და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ესა... ესა ჭკუის სასწავლებლად თუა მოსული აქა! — ძალიან აგდებულად შეშოძცინა, ისევ შეჰკრა წარბი და მითხრა: — ადე, წაეთრიე, მე თავად ვიცი ჩემი საქმისა!

ველარ მოვითმინე, წამოვიჭერ, მარჯვენა, ვითომ, ლოყაში სატკლეცად გავუქნიე. თვალები უნებლიეთ დახუჭა, მაგრამ წალდი მაინც შემართა, ჩამომიქნია კიდეც... მარცხენა ხელი მაჯაში ვუტაცე, გადავუგრიხე, ვატკინე. წალდმა ფილაქანზე დაიტანა რაცვანი. თმაში ხელი ვტაცე, დავწიე — დაიდრიკა. მაშინ წელზე ჭკლავი შემოვავლე, იღლიაში თავუკუღმა ამოვიჩარე... დავიბენი, — ეხლა რალა ძოვიძოქმედო-მეთქი!.. კოხტა თეძოები მომხვდა თვალში და გავაზე სილაქები დავცხე. გამეტებითა ვცემდი. ხმადაბლა კიოდა. ძერე კივილს მოეშვა. მე მაინცა ვცემდი და გულიანი სიცილი შემომესმა. გავინაბე, — ნეტა თუ მართლა იცინისძეთქი! მართლა იცინოდა. დავეხსენი. საწოლზე ჩამოჯდა, იმოდენი იცინა, რომ ჩაბჟირდა. მეც მივუჯექი. მაშინ სიცილს მორჩა, გაფაციცებული თვალი შემავლო, ისევ გაიღიმა და თავისთვის თქვა:

— ბალღობის მერე ეგრე აღარავის ვუცემივარ! — ჩაიცინა, მაგრამ სევდით სინანულით, ვითომ სასჯელი კი არა, თავისი თოჯინები გახსენებოდეს.

ვანაბული იჯდა, მუგუზლებს ჩასჩერებოდა. ცრემლი მოაწვა, ერთი მოწყდა კიდეც, ღაწვი ჩამოირბინა, კალთაში ჩაიკარგა.

— ბალღობის მერეცა გცემდნენ ხოლმე? — გუნების მოსაბრუნებლად გავეკუშრე.

— მცემდნენ. თუ გიყვარს და ფიქრი იცი — გცემენ. — თავჩაქინდრულმა ძითხრა და მომეჩვენა, რომ ხმა იმ აფორიაქებულ სამარეებიდან იყო.

— სიყვარული თუ არა გაქვს და არც ფიქრი იცი, მაშინ იმთავითვე თვით განგებისგან ხარ ნაცემ-ნაბეგვი. რომელი სჯობს? — მივუგე მე.

ქალმა გაკვირვებით შემომხედა — პირველად, რაც მოვედი, მას მერე და ისევ ჩაქინდრა თავი.

ისევ ვდუმდით.

გარედან შვლის სორცს მიძალებული ნუკერების ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა. ამ დიაცის მიმართ სიბრალულის ძეტი აღარა მქონდა რა, ნუგეშისცემა მეწადა, რით — არ ვიცოდი და ბოლოს ესა ვთქვი:

— ეგ ვერაფერი სადარდებელია. ქართველები ყველა ეგრე ვართ! რაც განგებამ მიწაზე ჩვენი მოსვლა ინება, მას აქეთ სულ გვცემენ... ხან ვინა და ხან როგორ.

ქართველი მამაკაცები სულით, გონებითა და სორცითაც დაუძლურებული ხართ და ამიტომ ჩვენცა გვგვემენ — დედაკაცებს. ამ მიწაზე სიცოცხლე ქალის ძვირნახულია და ერს თუ რამ ძლევამოსილება შემორჩა — ჩვენგან მოდის. თქვენ საკუთარი უმწეობის სამართლებლად მოიგონეთ, — მარად გვგვემენ და მარად ვართო, ხოლო მგვემელნი ერთხანს გვგვემენ და მხოლოდღა ერთხანს არსებობენო. საუკუნე სრულდება, თქვენი გამარჯვება აღარავის უნახავს. აგერ, იმ ნადირთა შსახურებაში ეჯიბრებით ერთმანეთს.

ველდა მეცა, ჩახშულ გონებაში ფიქრი დამიტრიალდა, — ეს ქალი მდაბიოთაგანი არ უნდა იყოს-მეთქი!

— ჩვენი გამარჯვებაც აღარავის უნახავს?! — უაზრობ, უნებლიეთ ვთქვი.

ხმა კარგა ხანს აღარ ამოგვიღია. დიაცმა შემომხედა... დიაცი-ძეთქი, ვამბობ და ახლაც მეუხერხულება ამ სიტყვისა. რაღაც უცნობი, იდუმალი ღირსებით მეძალებოდა ის ქალი... ვერც მანდილოსნად ვიტყოდი, წინარე საქციელისა გამო, თუმც კი, თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ის საქციელი თავის საკუთარ ლიბოზე იდგა, გამართლება თუ არა, რამენაირი ახსნა მაინც ექნებოდა... შემომხედა-მეთქი! შემომხედა და ანდამატის ძალით იგრძნო, რომ წარმოშობას მივუხვდი. ისიც ხომ იცოდა, მეც კეთილშობილთაგანი ვიყავ — ნოინების ამფსონი. თავი კვლავ დახარა. ფიქრს მიეცა. ის ფიქრი, ალბათ, იმისი იყო — ისევ მდაბიური სახიობა თუ აღარ დაემალა და სიტყვითა და საქციელით დაედასტურებინა ჩემი ეჭვი...

უცბად მომიბრუნდა და ცივად, ქალბატონებრ მითხრა:

— შენ იმის ცნობისწადილი გაქვს, ვინა ვარ?.. იმ საბოცდაერთი ქვაბლელის გვარისა და მოდგმისა ვარ, ერთად რომ მოაშთობინა ყაენმა. ახლა წადი.

მაშინ — უფლისწული, შემდგომში — სამარემდე გვირგვინოსანი, ბრძანების მოსმენას არც ნაჩვევი ვიყავ და ვერც ვინ შემომბედავდა, მაგრამ ამ ქალის ძიერ თავისი მოდგმის ხსენებაში, თვით თქმის კილოშიც იმოდენმა ნებამ და ძლიერებამ დაიყლერა, რომ მართლაც ზეზე წამოვარდნა და გაცლა დავაპირე, მაგრამ მუხლმა მიმტყუნა, ვერ ავდექი.

თავს მალე დავეუფლე — ელდის, განცვიფრების, სიხარულისა და შიშის მყისიერ ღაძლევისათვის ყრმობითვე საგანგებო ნაწვართობა მქონდა. ეგ არის, გონს ძოსულმაც ვერაფრით შევათავსე იმ ღირსეული საბოცდაერთი მამულიშვილის ძოუაძებრივი სიკვდილი და ერთი მათგანის ნაშიერის საქციელი აქ, ნაოხარ ეკლესიაში. დახოცილი ქვაბლელებისა ყველაფერი ვიცოდი, ამ ქალისა — არაფერი. იძიტომ შეველ, რომ გამოცანამ შემაწუხა, ხელცარიელი ვერ გამოვიდოდი და ასახლილ ვკითხე:

— ჯერეკობით, მსხვერპლთა და უპირველეს კი სპეტაკი ზნეობით აღზევდა და განლიდდა თქვენი გვარი. აქ?.. ეს! — ხელი ნოინებისკენ გავიქნიე, საწოლს დავხედე და დავსძინე: — მერე და... ეკლესიაში?!

— შენ რისთვისა ხარ მაგათთან? — მოულოდნელად მკითხა.

არ ავჩქარებულვარ, მოვიფიქრე და ისე მივუგე:

— ალბათ, იმისთვის, რომ ძალაუფლება ვიპყრა, მაგათი აღგვის გზებს მივაგხო, ღრო ვიხელთო, შევება და ვძლიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგ მიზანს ამოფარებულ მედროვეს უფრო ჰგავხარ. იქნებ, იმ იშვიათთა-ნიც იყო, ვინ მაგათთან მაგათივე მოსპობისთვის არის, მაგრამ მაინც ჩემხავით მრუში ხარ. ეგ არის, მე ჯერ ვეძებე, ვიპოვნე, პირადი ყველაფერი დავთმე, ყოველივე უარვყავ, მათ შორის — რწმენა და ღმერთის შიშიც, და ვმრუშობ, ხოლო შენ საკუთარი ვერაფერი გაიმეტე და მეძავობ, ვითომდა იმისთვის, რომ ვძებ და პოვნა გსურს. ჩემი მრუშება მსხვერპლი და წინასწარ განზრახული პირუთვნელი საქციელია; შენი — ანგარებაა, რადგან, თუ გზას მიაგენ და დრო იხელთე, იქნებ, ეკვეთო, იქნებ — არა, და უჭირველად ცხოვრება ხომ ორსავ შემთხვევაში შეგრჩება.

— ვერაფერი გავიგე, რას მიაგენ... რისთვის იქმ?..

კედლისკენ გაიწია, გულხელი დაიკრიფა, ამხედ-დამხედა, თვალი გამისწორა. ძიყურებდა და, სახარებაზე დავიფიცებ, იმასა ფიქრობდა, — კიდეც რომ განვუმარტო, გაიგებს რასმე თუ არაო?

— ცხვირისა გაგეგება რამე? — წარბშეკვრითა მკითხა და ვერ მივხვდი, ხუმრობდა თუ არა.

— ცხვირისა? — შევხედე და მივხვდი, რომ ხელი არ იყო, მაგრამ აკვიატების ხენი ნამდვილად ჰქონდა.

— იცი, როგორი ცხვირი ჰქონდა მონგოლთა უმრავლესობას ამ საუკუნეთა წლის წინ, როცა საქართველოში პირველად გამოჩნდნენ? — მოაზრება დამაცადა.

მე ის ვიაზრე, რომ ცხვირებზე საუბარში უნდა შევყოლოდი და მივუგე:

— არც როგორი. ორი ნასვრეტი ჰქონდათ ღაწვებშუა სიბრტყეზე. ეგ იყო მაგათი ცხვირი.

— ისიც გეცოდინება, ჩინგიზ ყაენმა ანბანის სწავლა რომ უბრძანა თავის შვილთა და ქვეშევრდომთაგან უგონიერესთ...

— ეგეც ვიცი, — სიტყვა ჩამოვართვი. — საამისოდ მოწვეულმა სწავლულებმა დიდი გარჯის შემდეგ ჩინგიზს მოახსენეს: ანბანს ცხოველი ვერ დაისწავლის, ხოლო რაიცა მოთვინიერებასა და გაწვრთნას შეეხება, შენ ეგ საქმე ჩვენზე უკეთ გაგიკეთებიაო.

— ცხვირები არა ჰქონდათ, ნადირები იყვნენ და იმიტომ ვერ ისწავლეს, — ჩაურთო ქალმა.

— მართლაც, ნადირებრ მძვინვარენი არიან, რიცხვით ჩვენზე ასჯერ უმეტესნი, აკი დაგვჯაბნეს და დაგვიმონეს კიდეც და მორჩილების, შესაფერი დროის ლოდინისა და ღვთის სასოების მეტი რა გზა არის?! — თავად მე ასე არა ვფიქრობდი, — ვალაპარაკო-მეთქი, ამისთვისა ვთქვი.

— ის, მესამე ნოინი რატომ არ მესტუმრა, მაგისი გაგეგება რამე? — მკითხა ქალმა და თავადვე ამიხსნა: — ცხვირის ძაგვარი რამ აქვს, გაადამიანებიხკენ არის მიდრეკილი. მხეცთან ყოველივე ამაოა. ადამიანისა ყმობაც უპრიანია და ბატონობაც. დრო მინდა ვიხელთოო, — ამბობ. ის დრო ვერ დადგება, სანამ მონგოლთა შორის უცხვირონი ჭარბობენ. ამას სხვაზე ადრე მეფე დიმიტრი თავდადებულმა მიაგნო. ამისთვის დაისვა თანამეცხედრედ სორღალ. უფლისწულნი ბადურ და იედგარ ცხვირიანები იშვნენ!

თავზარი დამეცა, — სადამდე შეიძლება მიიყვანოს-მეთქი ადამიანი გასაჭირმა და გამოსავლის უსასრულო ძებნამ, მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი იყო, სიცილმა დამრია ხელი და სამასხროდ ვკითხე:

— მაგათ იმისთვის დაუწექ, რომ ცხვირიანი მონგოლი გააჩინო?

ნათლად დავინახე, ქალმა შიგნიდან იფეთქა, მაგრამ თავს ტაეუფლა და მშვიდად მითხრა:

— სწორედ აგრეა, თუ ქართველად აღიზარდა, მონგოლთა მიმართ მათსავით
მხეცი იქნება. თუ მონგოლად — ცხვირი დაუშლის ქართველთა მიმართ მონგოლურ
მხეცობას. ქართველისგან რომ გავაჩინო, შენსავით გონებაჩლუნგი და მეძავი იქ-
ნება, ხოლო მე მეძავი ვარ თუ არა, ამის პასუხი თავად იპოვნე, ახლა წადი და
შენს ბატონებთან არ გამცე!

უსიტყვოდ ავდექ, მიეტრიალდი, ეკვდერიდან გაველ, აკლდამებს გავცდი, უკ-
ვე საყდრის კარს ვიყავ მიტანებული — რა მეტაკა, რა მეცა, არ ვიცი — მიებრუ-
ხდი, ისევ ეკვდერში შეველ და ქალს ვეძგერე...

დიდ ხანს მებრძოლა, არა მნებდებოდა. დაიღალა, გული ამოვარდნაზე ჰქონ-
და და მაინც ვერაფერს ვუსვრნებდი. აბუჩად შემომცქეროდა, მზერა გავარიდე.
ძერე თვალებიც დავხუჭე — იმ გამკილავი დიმილის ყურება აღარ შემეძლო. კარგა
ხანი გავიდა, ვერა და ვერ დავიძორჩილე. როცა ქანცი უკვე გამოლევაზე მქონდა,
ის ფიქრი მეწვია, რომ საერთოდ დავსნოდი, მაგრამ ძივხვდი, სწორედ ამას
ელოდებიან ხოლმე დიაცები, როცა დანებება არ უნდათ. ამან გამაღიზიანა და
უფრო კი იმან, რომ წარმოვიდგინე, როგორ გავდიოდი ეკვდერიდან კუდამოძუ-
ბული. თავიდან, გახელებულივით მივეპალე. ისეთი ვიყავ — მოვკვდებოდი, მაგრამ
დავიძორჩილებდი... ისე აღგზნებული კი არა — ისე გაჯავრებული, ეს შემატყო
ქალმა თუ რა იყო — თვალებმილეულს მომეჩვენა, ვითომ ხელი ჩაიქნია, მერე გა-
ინაბა, დამნებდა, მიმიშვა, შიგ ყურში ჩამხითხითა...

გოროთას ხითხითი ვიცანი! ელდა მეცა, ქალს დავხედე...

მართლა გოროთა იყო!.. შავ, სვავის ნისკარტივით მოხრილ თითებს აფუთფუ-
თებდა, ვნებით ანთებული თვალებითა და სხეულის ნარნარი რხევით საითკენღაც
მიმაქანებდა. ჯიბრმა, ნიშნისგებამ, ჯავრის ამოყრის წყურვილმა სისხლში ცეცხლი
დამიტრიალა, უარესად ავენთე... როგორც მუდამ, ნეტარებაზე მიტანებულს ისევ
თვალსა და ხელს შუა დამისხლტა, წამივიდა გოროთა. ეკვდერშივე განქარდა, შუა
ეკლესიიდანღა მოისმა მისი ხითხითი. გავშრი, გავინაბე, ის ხითხითი საყდრის
შიშველ კედლებს ეკვეთა, ამოფორიაქებულ აკლდამებში ჩაიწურა და მიწყდა. მი-
ვიხედე. ვითომ არც როდისა ყოფილა გოროთა.

მკლავებში კი ისევ ის ქალი მყავდა მოსალტული, ქვაბლელთა ნაშიერი, ასუ-
ლი იმ მოდგმისა, ვინც ნეგმი მამაპაპისთვის ურწმუნოდ დასაყრდენიც იყო და რიდის
ძომგვრელი პირქუში ძლიერებაც.

გახცვიფრებული ამოძცქეროდა.

ქალი კი არა, ვარდისწყლის შადრევანი იყო...

ეფერებოდი, ეამბორებოდი, ცრემლი მდიოდა, როგორც უზენაეს ბედნიერე-
ბასწეულ თუ სატრფოწაგვრილ ყრმას, და როცა დავშომშინდი, სხეული სიამაყით
ამევსო, რომ ის, მომავალი — ტანჯული თუ ბედნიერი, გონჯი თუ პირმშვენიერი,
ძონა თუ თვითმპყრობელი — უეჭველად და მხოლოდ ჩემგან იშვებოდა, მხოლოდ
ჩემგან!

. . .

ახლალა შევნიშნე, რომ ჩვენს საუბარში ჩამოვარდნილი დუმილი კრონს თა-
ვად ერთხელაც არ დაურღვევია. თუ ფიქრი წამიღებდა, მელოდებოდა ხოლმე,
როდის მოვათავებდი, როდის დავბრუნდებოდი — მაცდიდა. იმ ქალთან საუბარსა
და ურთიერთობაზე ფიქრს მოვრჩი, კრონს შევავლე თვალი და მომეჩვენა, რომ
ალღო ჰქონდა, რაზეცა ვფიქრობდი. რატომღაც სურვილი გამიჩნდა, — გზა-კვალი

ქ. ბარათაშვილის სახ. სახ.
ს ს ნ. ბიბლიოთეკა

ავუბნიო-მეთქი, ჩემი შეხედულებით სულ სხვა საგანზე ლაპარაკს მივდექ. ლაპარაკი-
რველი სიტყვების წარმოთქმისთანავე მემცნაურა, რომ სწორედ იმ ჩემ ნაფიქრალს
განვაგრძობდი:

— დაბნეული ერი ვართ ქართველები, მკურნალო. ერთნი მარტოკაცობით უკი-
დურეს მსხვერპლს ან სატევარს მივნდობივართ; მეორენი თვალახვეულნი ვცხოვ-
რობთ, თითქოს, მამულის გასაჭირისა სულაც არ გვესაქმებოდეს რა; მესამენი ვამ-
ბობთ: მრავალრიცხოვანი, მძვინვარე და ნაირნაირი თესლის მტერი გამუდმებით
გვყავს და სიმცირისა თუ უძწეობის გამო მათთვის მხოლოდღა ადვილი ლუკმა
ვართ. ერთს ვაოცებთ, მეორე მოდის, მესამე თავის ჯერს ელოდება. ძალის ხმევას,
სიხლის ღვრასა და ხორციელ განადგურებას ისა ჯობს, რომ მტრის უღელი რო-
გორმე მფარველის კალთად ვიქციოთ, დრო გავიყვანოთ, ძალები მოვიკრიბოთ და
მერელა ვეკვეთოთო. აზრის, მიზნისა და საქციელის დაქსაქსულობა გვთრგუნავს და
არა მტერი. ვგონებ, კაციც აგრეა". საკუთარი მერყეობის, ერთი რამ მტკიცე გზის
უქონლობის მონაა და არა გარემოებისა თუ ვითარების.

კრონმა კარგა ხნის შემდეგღა ჩაილაპარაკა:

— ბევრია.

— რა არის ბევრი? — შევეკითხე.

— ბევრი რამ სთქვი და სხვადასხვანაირი. ხალხისა და მამულისთვის მძიმე
მსხვერპლის გაღება თუ მტერზე პირისპირ მისვლა ყოველთვის სიკეთეა, და მაში-
ხაც კი, როცა იმ მსხვერპლსა და ძალის ხმევას ხელშესახები სარგებლობა არა
ძოსდევს რა. ეს უნარი სულგრძელთა, მიზანმიმსწრაფთა და თავდადებულთა ხვე-
დრია. ისინი მარტოკაცები არიან, მხმობელი, სატევრადა და თორ-აბჯრად შემნი-
ვთებელი არა ჰყავთ, არც არა გულხელდაკრეფილი ჯდომა ძალუძთ და უანგაროდ
სჩადიან, რასაც სიკეთედ ჰგონებენ, არარაის მოქმედთა ერთი ნაწილი, მარტივბუ-
ნებოვნობისა გამო, საჭირო საკეთებელს ვერა ჰპოვებს, უნებლიეთ უქმობს და თუკი
სიმართლისა და ძლევამოსილების გზით გაძძღოლი მხმობელი მოევლინება, —
წაჰყვება და ივლის. რაიც ამ ჯილაგის მეორე ნაწილს შეეხება, ისინი სვავებადა
და აფთრებად ჰყავს განგებას, რამეთუ ერისთვის ასეთნიც საჭირონი არიან მიწყივ.

კრონი დადუმდა, დიდი ხნით დადუმდა, მაგრამ აღარ შევსაუბრებივარ, — თა-
ვადაც ხომ არ მაწყვეტინებდა ხოლმე ფიქრსა და დუმილს.

შეძცივდა, ცეცხლს დავხედე — ჩანავლებულიყო. ფიჩხს მოვკარი თვალი.
გადავედი, მოვიტანე, დავამტვრიე. ნაკვერჩხალი გაშოვჩხრიკე, ზედ ხმელი ტოტე-
ბი დავაფიცხე და ისევ ჩამოვჯექი. კრონი სდუმდა. გული გამიწვრილდა და გავი-
ფიქრე, — რაკი ასე აეწყო, რომ მუსაიფს მუდამ მე ვიწყებ ხოლმე, ასლა რადად
უნდა ვუცადო-მეთქი, და ვკითხე:

— იმ, მესამეთა გამო რატომ არაფერს უბნობ, ვინაც ქედზე დაბჯენილი უღ-
ლის კალთად გადმოფარებას სასოებს?

— ეგენიც სხვასავით საჭიროებენ მხმობელს, ოღონდ საით და რისთვის არი-
ან სახმობნი, მაგისას არაფერს ვიტყვი. მხმობლად მრავალნი ევლინებიან ქვეყა-
ნას, ხოლო მძლედ — მცირედნი ერთობ. ყოველი მეფე გვირგვინის, სკიპტრისა და
ტახტის წინაშე არის ვალდებული მხმობელი იყოს, მაგრამ მძლეობა არა ყოველსა
ძათგანს უბოძა განგებამ. ასევ, სიცოცხლეშივე მძლედ აღიარებული ცოტაა ერ-
თობ, რამეთუ თვით ნაშოქმედარი მძლესი მეტად ძნელი საწვდომია. მის მიერ
აღსრულებულ საქმისა გამო სწორი აზრის დადგენას ან სხვა მძლე კაცის გონე-
ბა უნდა, ან მოკვდავთა მიერ საუკუნეების მანძილზე ჩხიბვა — სადაგნი არიან მო-

კვდავნი და ამად. შენ, ვითარცა უფლისწულსა და სამეფოდ განზრახულს, მხმობ-ლობა თავისი თავად და აწვე გმართებს, ახლო მომავალში მძლეობაც შეგეძინება, რადგან ამისთვის მოგავლინა განგებამ, და შენი უმთავრესი საკეთებელი სწორედ ძაგ მესამეებთან ურთიერთობა იქნება. დანიშნულება და ხვედრი გეტყვის, საით-კენ და რისთვის უნდა უსმო მათ და რით უნდა დაიწყო ღვაწლთა დება.

მხმობელი ბუნებით ვიყავ — ყრმობაშივე. იმ ხანად, რომელ დროის ამბავსაც ვუბნობ, მართალია, ჭაბუკობის ასაკი ჯერაც არ გამესრულებინა, მაგრამ ომებში ასისთავობა უკვე ორჯერ მქონდა გაწეული. თუმც მცირე, მაინც მზა მხმობელი ვიყავ, ამას კრონის კვერის დაკვრა არ ესაჭიროებოდა. მეფობის გამო იმას ვიტყ-ვი, რომ ტახტი არანაირად არ მეკუთვნოდა, მხოლოდ შემთხვევას შეეძლო ჩემი გამეფება. ამაზე არც მიოცნებია, საუფლისწულოს ველოდი, როგორც მეფე დიმი-ტრი თავდადებულის ერთ-ერთი ძე და მემკვიდრე. მერე ჩემი ახლო მეგობარი ჩობან-ნოინი აღზევდა: თავისივე დასმული ყაენის კარზე პირველი კაცი გახდა, გამეფება დამიპირა და, სიმართლე უნდა ვთქვა, ამით დიდ საგონებელში ჩამაგდო, რადგან ბოლო საუკუნის მანძილზე ჩემს წინაპრებს რაც დღე დაადგათ, ვიცოდი და საკმარისი იყო, ერანის ყრმა ილხანი — აბუსიდი ვინმეს ძილში საბლით მიე-გუდა, რომ სხვა ნოინები ჩობანსაც და მეც ზედ მიგვაყოლებდნენ. ეგეც ნუ იქნება, ძონგოლთა ხელში მეფობა რად ღირდა, როცა უკანასკნელი ზინზლიანი მონა-დყოფილიც კი შენი ბატონი იყო, ოღონდ თვალები ჰქონოდა მოჭუტული და კან-ჭები მშვილდივით მოხრილი. ერთი სიტყვით, განსწავლითაც შემზადებული ვიყავ და საკუთარი გონებითაც ვიცოდი, რომ უფლისწულად წოდებული მონა უნდა ვყო-ფილიყავ — სხვადასხვა ჯურის მედროვეებისა ცალკე, თვით თათრებისა ცალკედ. ჩემი ხვედრი ერის ხორციელი არსებობის შენარჩუნებისათვის ფიქრი და ღვაწ-ლი იყო და არა უკვდავ, საგმირო საქმეთა აღსრულება. ამგვარ მომავალს თით-ქმის შერიგებული ვიყავ და, აბა, ამ კრონს როგორ შემყარა წერათმწერელმა! იჯდა, იმ უკუნეთში დაჟინებით მეხიჩინებოდა, — ის კაცი ხარ, მძლედ მოხვედიო. საკვირველი იყო, თანდათანობით ვეგუებოდი კიდეც კრონისგან აღთქმულ დანიშ-ნულებას ჩემსას. სევდაც კი შემომაწვა, — რამდენი გარჯა, ზრუნვა, სიმძიმილი და საკუთარი სურვილების წინააღმდეგ ბრძოლა მომელის-მეთქი, და, ალბათ, ყოვე-ლივე ამისგან დაქანცულობა ვიგრძენ, რომ წუხილითა ვთქვი:

— ნაოხარ საყდარს რასმე წავაწყდი დღეს. ეგეთი ჰაეროვანი, კენარი და მშვე-ნიერი არა მინახავს რა. ერთი ფიქრი მომგვარა იმისმა ცქერამ: სულისათვის რამ-დენი და რაოდენ მრავალფერი სარჩი უქმნია მზისა ქვეშე განგებას თვით, თუ ადამიანის მეშვეობით — კაზმულსიტყვიერება თუ სელოვნებანი, ადგილთა წარმ-ტაცობა თუ იდუმალებანი ბუნებისა; ახლა, საზრდელად ხორცთა — მთელი ქვეყ-ხიერება — უხვად მსხმოიარე ხე. მომცემი ყოველგვარი ნაყოფისა და სახსრისა. რატომ ვერა ვკმარობთ ამ სულიერ ტკბობას, სიუხვესა და დოვლათს, რატომ აღვიძვრით სხვისა სასპოლველად, რატომ ვსარბდებით იმას, რასაც თავად გვაძ-ლევს მიწა, წყალი და წიაღი. დაინაყრე სტომაქი, დაიტკბე სული, ზარდე ნაგრამი, აშშვენე მამული — რა ვინდა მეტი, გაუმაძღარო მოდგმავ კაცთა?!

— სამარადისო საფიქრალს უბნობ, უფლისწულო, — სიტყვა ჩაბოძართვა კრონმა, — უბადრუკია ადამიანი ჯერ, ნადირია! მგელი რომ ნაგაზებს უგვერდებს და არვეში შეიჭრება, სარჩოდ საკმარს როდი სჯერდება — ათსა და ოცს წაახდენს, სისხლთა ღვრა და ტყავთაგან განძრევა სწყურია მთელის არვესი ხარბი, კმასა-ყოფლობისა არა გაეგება რა. კიდევ იმიტომ სჩადის მგელი ამას, რომ თანამოძმე-ებს დაუნდობლობა, მძვინვარება, ძლევამოსილება აჩვენოს ოვისი და ამით ხროვა-

ში თავმგლობა იპყრას. კაცნი ამას პატივმოყვარეობასა და პყრობის წყურვილს ვეტყვით. ზოგი ერი ნადირს მხოლოდ იმდენად დაშორდა, რომ ორ ფეხზე დადგა და ენა ისწავლა, მაგრამ იქამდე ჯერ ვერ მივიდა, რომ მხხმოიარე ხიდან ნაყოფის კრეფაში დახელოვნდეს, საკმარისი სარჩო თვისივ შრომით მოიპოვოს და პაღვის ამოსახორავად თუ პატივმოყვარეობის საამებლად სხვათა ძარცვა-გლეჯა არ დასჭირდეს. ამათ ტკბობა მხოლოდღა სალაფავთაგან ენიჭებათ და არა სილაშაზეთა და მშვენიერებათაგან. არვეში მგლისა გამო დავსხენ: თვით მგელნი სწორედ ცხოვართა გლეჯა-წახდენის ვნებით გახელებისას, სიხლთა თქვლეფვით გატაცებულნი მოინადირებიან ხოლმე მწყემსთაგან. ამის ბუნების გამოჩხიბვა თავადვე გვმართებს, შენს საკალზე, ხილვებში და ფიქრით.

— ეგ სიტყვა ასე არ დაიწყე, კრონო, — სამარადისო საფიქრალს უბნობ? მაშ, ეგ საფიქრალი არასოდეს გათავდება, ისეთი დრო არასოდეს უნდა დადგეს, რომ მავანმა ბრძენმა კაცმა მთელ კაცობრიობას თუ არა, თავის ერს მაინც უთხრას: განათლებული, სულით ამაღლებული ერი ვართო, — ვამბობთ, და თვალი კი იმაზე გვიჭირავს, საღ ვინ დავიპყრათ და ვის რა წავგლიჯოთ. თუ სხვათა დაუმდაბლებლად და უყვლეფავად, საკუთარ მიწა-წყალზე ჩვენივ გონებით, ცოდნით, ნიჭითა და გარჯით თავის დარჩენა არ ძალგვიძს, მაშინ თავის ქებასა და განდიდებას მოვრჩეთ, ვაღიაროთ, რომ ერი კი არა, გონებადახშულ ყაჩაღთა უზარმაზარი ბრბო ვართ და ვწიოთ სიმდაბლისა და სირცხვილის ჭაპანი, სანამ გვიყველებენ და სეთთა თუ ასურთა მსგავსად აღგვგვიან პირისაგან მიწისა... მაშ, ის არასოდეს იქნება, რომ კაცთა მოდგმამ ძალადობაზე ხელი აიღოს?!

კრონმა ტუჩებით რაღაცნაირი მანჭი შეჰკრა, სიბნელეს მიაყურა, თითქოს, იქიდან იმედოვნებდა პასუხის მიღებას და მერეღა მითხრა:

— იქნება! დრო მოვა, სამზისქვეშეთოდ დაკანონდება, სამართლის ყველა წიგნში ჩაიწერება, — ერისგან ერის და კაცისგან კაცის ჩაგვრა-დამდაბლება ამა და ამ უუმძიმესი მსჯავრის ღირსი დანაშაულიაო! ეგ არის, განგებისთვის გამოიყენებენ, რომ თვისივე ხალხის გონებაშეზღუდულ ნაწილს თავგზა აუბნიონ, მიიმხრონ და მის სურვილს ამოფარებულებმა რაიმე მანქანებით იძალადონ, ჯერ იმავ საკუთარი ხალხის კაცთმოყვარე ნაწილზე, მერმეთ სხვა ერებზე და... ქვეყანა ჰგიეს უკუნისამდე!

— განგებისგან ნიჭდაუსხმელს ეტყვი იმ კაცს, ვინც მაგდენს შეხძლებს? — გამიკვირდა და ვკითხე:

— შენ თავადაც თქვი და უნიჭოა, ვისაც ბუნებისა და კაცთაგან ქმნილი ამდენი მშვენიერებისა და სიმდიდრის გამოყენების უნარი არ გააჩნია, ან ვერ კმარობს ამას და სხვისა ბელელში თაგვივით ბაცაცობს, ან მეზობლის არვეში თარეშობს მგელივით.

— მაშ, ჩაგრულთათვის აზრი აღარაფერსა ჰქონია, კრონი! — ღიმილით ვუთხარ.

— ბრძოლას აქვს აზრი! — კრონმა თავი ჩააქიცინა, ამოძხედა და დასძინა: — ადამიანი ერთადერთი სულდგმულია, ვისაც გააზრებული მიზანი ამოძრავებს. უაძისოდ კაცი ცხოველია და ხალხი — ნახირი. მიზანს კი, როგორიც უნდა იყოს იგი, მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს—რკენა, ბრძოლა! ჩაგრულისა და მჩაგვრელს შორის ბრძოლას ყოველთვის ერთი საბოლოო შედეგი მოსდევს — ჩაგრულის გამარჯვება და მჩაგვრელის ოტება! ეს ყოველივე მარადისი საფიქრალი არ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .

ახალგაზრდობის ხანს სხვადასხვა, და უთქმელადაც გასაგებ მიზეზთა გამო, დიაცებთან ურთიერთობაში, თამაშში, თავდაჯერებული ვიყავ. ყველაფერი მეადვილებოდა, გარდა წამოსვლისა. სწორედ იმ ყველაფრის მერე, როცა დროა, ადგე და წამოხვიდე, ერთი რამ განწყობილება დამეუფლებოდა ხოლმე. — აი, აგრე, პირდაპირ ადგომა, გამოთხოვება და წასვლა მეუხერხულებოდა.

რამდენიმე შეთხვევა იყო, დიაცი მომწონებია, იმისგანაც ხვაშიადი მიგრძვნია, დაძიპირებია კიდეც და არ კი ძივსულვარ, მხოლოდ იმიტომ, რომ ის მთრგუნავი სულთაღრევა გამსსენებია, რომელიც ყველაფრის მერე უნდა მწვევოდა... წამოსვლა ყოველთვის მრცხვენოდა — სიძის დიაცებისგანაც კი.

. იქ, ნაოხარი ეკლესიის ეკვდერში რაღაც მოხდა ისეთი, რაც მერე, მთელი სიცოცხლის მანძილზე აღარ განმეორებულა. — დრო იყო, იქაურობას გავცლოდი, ძაგრამ თავს ვერ მიერეოდი, წამოსვლა არ მინდოდა! ისეთი გრძნობა მქონდა, ვითომ ეს არის ესლა ჩემი გონებითა და შემართებით დავიბრუნე მტრისგან დიდი ხნის წინ წართმეული ჩემივ ნამულის ნაწილი, საზღვარზე შუბი დავეც და ღმერთსა და ერს შევფიცე, ცოცხალი თავით აღარასოდეს დამენებებინა ის კოლა, არტაანი თუ არტანუჯი.

ქალი განაბული იწვა, ზურვით, და ძილულულ თვალებზე ხელი წაეფარებინა, ვითომ საიდანმე კაშკაშა ნათელი სცემს და თვალს უწუხებსო. დავცქეროდი, თავში ათასი კითხვა და მიხაგნები მქონდა და ნიახლოვე მწყუროდა, სითბო მინდოდა — ქალისა კი არა, სწორისა, სულისა. დაწვზე ვემთხვიე, თავზე ხელი გადავუსვი... ფაფუკი, ასალდაბანილი თმა ჰქონდა.

— მითხარი, რა გქვია. — ბალიან მინდოდა, გამომლაპარაკებოდა.

არაფერს ამბობდა.

რამდენჯერმე გავუმეორე. ბოლოს კუნტად მითხრა:

— აღარ შემეუბნო... ვფიქრობ. სირცხვილზე ვფიქრობ. წადი!

— სირცხვილზე ფიქრობ?.. — იმიტომ დავიბეხი, რომ გულწრფელად ამბობდა და მე კი რიგიანად არ მესმოდა, საბელდობრ რისა სცხვენოდა — იმისა, თავის იდუმალ ჩანაფიქრს რომ მაზიარა და ეგონა, გულში დავძრახე ან აბუჩად ავიგდე, თუ იმისა, რომ მე, ქართველს, გზად შემოყრილ უცნობს დამნებდა?.. თავი ვერაფერს მოვაბი და ფიქრი სიტყვით გახვაგრძე: — ის საქციელი თუ მიზნისთვის გაღებული მსხვერპლია — არ უნდა გრცხვენოდეს. თუ იმისა გრცხვენია, რომ გაიძულე დამნებებოდი... მაგისა მე მრცხვენია, რადგან ახლა უკვე ვიცი, რომ სიძის დიაცი არა სარ და მჯერა, რომ საკუთრივ შენებურად გაგებულ მოვალეობას ძისდევ. ამ წუთში შენ წმინდანი მგონიხარ, ჩემი თავი — მკრეხელი, და დანაშაული მაწუხებს.

ამას რომ ვამბობდი, ქალმა ჯერ თვალებიდან ხელი მოიშორა და შემომხედა. ძერე წამოიწია, დაჯდა, კიდევ მიყურა, დავიხახე, ჩემი სიწრფელე ირწმუნა, დაშვიდდა და როცა ლაპარაკს მოვრჩი, მითხრა:

— თუ მონგოლი ვავაჩინე, ნაძალადრად ჩაითვლება. ეგეთი ბალღები მაგათგან დალაშქრვის შემდეგ ხშირად იბადებიან, ქალს სირცხვილად არ ეთვლება — ნაძალადარიაო! პირთეთრი რომ დაიბადოს?!. — იყუჩა, ერთხანს მიყურა და დასძინა: — მე გითხარ, ვინცა ვარ. ისე ჩამეთვლება, სანამ ჩემი გვარის მამაკაცები თათართაგან იმუსრებოდნენ, მე?... რის დათესვად ვლონობ და რას მოვიმკი?!. იქნებალა

ჩემი სიცოცხლე, ან სიკვდილიც კი უშველის რასმე? მოდგმამ, გვარმა ატარებს ხელ-ში სირცხვილი?.. ახლა ვესმის?!

თავრეტდასხმული შევცქეროდი. ენაც წამერთვა და ფიქრის უნარიც...

სკიპტრამ, მოვალეობამ და დაუდგრომელმა სასიათმა სიცოცხლის მანძილზე ბევრ რამეს მაზიარა: ურთულესად ჩანასკვულ-ჩაკვანძული გამოცანების რუდუნებით ამოხსნა მასწავლა ცხოვრებამ და უმძიმეს განსაცდელთა მშვიდად, აუმღვრევლად, ღიმილით გადატანაც, მაგრამ მაშინ, იმ დროს, ჩემი ნედლი, ფაქიზი, უაღრესად მგრძნობიარე გონებისა და გულისთვის ასეთი გამოცდა საგანის ხრიკი და ხაფანგად დაგებული განსაცდელი იყო...

— დილიკა მქვია. შენა? — ყურში კი არა, გონებაში მომესმა, ვითომ ბავშვობაში ვისიმე ნათქვამი სიტყვები, იმ სიტყვების ჟღერა აღსდგა მეხსიერებაში.

— გიორგი, — მივუგე მე და ესაც ის ხმა იყო, ბავშვობაში, ასე, ათის წლისას როგორიცა მქონდა, მაგრამ მე უკვე ვიცოდი განწირული მშვენიერების სახელი — დილიკა!

გაოგნებას თავი დავაღწიე თუ არა, მაშინვე იმ აზრმა შეძიპყრო, რომ დილიკას მიზანი, მიზნიდან მომდინარე საქციელიცა და ჩემი უხეში ჩარევით შექმნილი ვითარებაც — ყველაფერი, ყველაფერი, მთელი ეს ნაგებობა, მრავალ და სხვადასხვა სიდიდის შეცდომათა ერთობლიობაზე იდგა, როგორც მცდარად ნაგები სიმაგრე. როგორც სიმაგრე-მეთქი, იმიტომ, რომ ყოველივე ეს იდუმალი, უცნობი ძლიერებისა და ამასთან, საეჭვო ღირებულების მქონე მებრძოლი გულუბრყვილობა იყო. შეცდომა იყო ქართულად აღზრდილ, თათრულ სისხლნარევ კაცთაგან ვარამიდან დახსნის ძოლოდინი და მაშინ შეცდომა იყო დილიკას ეგზომი ძსხვერპლიც, შეცდომა იყო იმის ფიქრი, რომ ბავშვი უეჭველად ჩაისახებოდა, იშვებოდა და შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრიც, რომ შობილი, სახელდობრ პირთეთრი, თვალცისფერი უნდა ყოფილიყო; შეცდომა იქნებოდა ამისთვის განკიცხვა და განკიცხვის შიშითა და გვარის ღირსების შენახვისთვის თვითმკვლელობაც; შეცდომა იყო დილიკას სირცხვილიცა და ჩემი განცდებიც... ღმერთო, ღმერთო, საიდან აღიძვრის ამდენი შეცდომა, სად არის ამის სათავე, რასა და როგორ უნდა ძოევლოს, რომ ადამიანებმა თავი დააღწიონ გულწინა და გონების ამ გაუტანელ წილსა და არმურს?...

აქვე, სარკმელთან, ისარმა ჩაბზუზუნა, — არ შეუშლებოდა, ისარი იყო! ამის გაფიქრება მოვასწარი და ისეთი ძალუმი ზუზუნი ატყდა... გმინვამ, ლანძღვამ და ყიჟინამ ააბორიალა მიდამო. ხანჯალი ვიშიშვლე — ზედ სხვა საჭურველი არა მქონდა რა — კარში გავარდნა დავაპირე, მაგრამ დილიკა გადამეღობა. უნებლიეთ შევდექ. თავი გაიქნია, — არ გახვიდეო. ტუჩებზე თითი მიიდო, მკლავში ხელი მტაცა, თალს გამარიდა, რომ არავის დავენახე.

ტახტზე ავხტი, სარკმლიდან გადავხედე იქაურობას...

ისრით განგმირული ნუკერები მიმობნევით ეყარნენ. ზოგი იყო, სამ-სამი მოხვედრილა. რამდენიმე ხმლითაც იყო საგულდაგულოდ აჩეხილ-აკუწული. ჩემი კარნიფორელი აზნაურები და ერთი ნუკერი კურდღლებივით მიჰქროდნენ. ფეხდაფეხ ქამანდიანი მდევრები მისდევდნენ. ჰატარა ბექობი იყო, თათარმა დაღმა სირბილი არჩია, მარცხნივ დაუხვია, ხევს ჩაჰყვა. კარნიფორელებმა ბექი გადაირბინეს და თვალს ძიეფარნენ. მდევრებმა კარნიფორელებს თავი მიანებეს, თათარს გაეკიდნენ. თექვსმეტ-თექვსმეტი წლისანი იყვნენ კარნიფორელები, ნათელ-მირონი გვქონდა ჩემი

უფროსი ძმის, დავით შეფის ნათლულები იყვნენ ოთარა და გეგა. მას მერე კურ-
ღლები შევარქვი ორთავეს.

ნოინები ერთად შეეყარათ, ხელებს უკრავდნენ. ჩარდოგი და ბელდე ცხვრე-
ბივით იყვნენ გასუსულები. იჩუ არ ეპუებოდა, ბორგავდა, წიხლს იქნევდა, უშვერის
სიტყვით ილანძღებოდა. ვიღაცამ თავში ვეება მუგუზალი ჩასცხო, დააშოშმინა.

მე საიდანაც გავცქეროდი, იქიდან ათიოდ ნაბიჯზე წანაქცი რცხილა ეგდო,
ხავსიანი და დიდი. ზედ ვიღაც იჯდა, თათრების საჭურველი და სხვა ნადავლი
ამასთან მოჰქონდათ, შორიახლო ულაგებდნენ. რაზმის მეთაური უნდა ყოფილიყო.
ჩემი მშვილდ-კაპარჭი და ხმალიც მოუტანეს. ანიშნა, — ეგენი აქეთ დადეთო. ცალ-
კე დადეს. ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, ხმა კარგად მესმოდა, ის თავკაცი თითქოს
მეცნობოდა კიდეც. ზურგით იჯდა, ერთი სული მქონდა, საითმე გაეხედა, სახე
ეჩვენებინა.

ტახტზე დილიკა ამოვიდა. თვალით ვანიშნე, — ეგ ვინ არის-მეთქი. ხურციო!
ხმენას მოვუტყუებივარ, მაგ ხურცს პირისპირ არსად შევხვედროდი, არ ვიცნობ-
დი, მაგრამ ერანის მონგოლთა სამფლობელოებში ჭირვეულ ბალღებსაც ამ კაცის
სახელის ხსენებით აოკებდნენ და ქართველი მედროვეებიც, თუ ვისიმე წასახდენად
ყაენის უგუნებობა ესაჭიროებოდათ, ჯერ ხურცისას მოახსენებდნენ და მერელა შეუ-
დგებოდნენ წასახდენი კაცის დასმენასა და განდგომილების მტკიცებას. ხურცისა
არც მოდგმა იცოდა ვინმემ, არც გვარი, ზოგი როგორ ამბობდა, ზოგი — როგორ.

ცხენები მორეკეს — თათრებისაცა და თავიანთიც. ჩემი არსად იყო, მაგრამ
მათივე ლაპარაკით გავიგე, გუშაგად დატოვებულ თათართაგანს სწორედ ჩემი
ცხენით ძოეხერხებინა გაქცევა.

— დაკოდილი იყო? — ხურცმა ჰკითხა.

— ორი ისარი წაიღო. მხარში და ბარძაყში ჰქონდა.

ამასობაში ბიჭებმა მკვდარი თათრები მოაქუჩეს, ერთმანეთზე შეალაგეს და
ხელებშეკრული ნოინები იმ თაკარის ძირას დასხეს.

მდევარი დაბრუნდა, ხურცს გაქცეული ნუკერი მოჰგვარეს. გახვითქული იყო,
სულს ძლივს ითქვამდა. ხურცმა უყურა და მკვდარი თათრების თაკარისკენ გაუშ-
ვირა ხელი, — იქით გაიხედეო! ნუკერმა მიიხედა, ამ სანახაობას თვალი მოავლო
და ერთიანად აცახცახდა.

— მანგუ თუნგრი ქუჩუნდურ! — მონგოლურად თქვა ხურცმა, — უკვდავისა
ღმრთისა ძალითაო.

ნუკერმა ხურცს ანაზდად შეაფურთხა. ხურცმა ღოლბანდი ამოიღო, სახე შე-
იწმინდა, გადააგდო და ნუკერის მომყვანებს უთხრა:

— ხელები გაუსსენით. გაუშვით. ის, ცხენების გუშაგი, ისრებს თბილისში
ვერ ჩაიტანს. გზაში თავად თუ არ მოკვდა, დედაკაცები ჩაქოლავენ სადმე. ამბის
ძიმტანი გვჭირდება. გაუშვით.

ხელების შესხნა იყო — ნუკერისა კვალი გაცივდა.

ხურცმა აყრა ბრძანა. ნოინები ცხენებზე შესხეს, ალაფი დააساპალნეს და წა-
ვიდნენ.

ჩემი მშვილდ-კაპარჭი და ხმალი იქვე დატოვეს.

— დილიკავ, საცოდავო, შენა, აქა ხარ? — გარედან შემოსძახა ხურცმა.

— აქა ვარ, — მიუგო დილიკამ.

— დედაშენი კვდება, დილიკავ. ერთი მაინც დამხედოსო. — ხურცი შეჯდა და
თავისი ბედაურის ფლოქვის თქარათქური თან წაიღო.

დილიკა კუნძზე დაეშვა, თავი ჩაქინდრა. მე ისევ ტახტზე ვიდექ, დილიკას დავცქეროდი და მიკვირდა, ამდენ სატანჯველს რანაირად უძლებს-მეთქი.

ჩაძოვხტი.

დილიკამ თავი ასწია, ცრემლიანი თვალები შემომანათა და მითხრა:

— ეგენი ახლა ამ მიდამოებში არიან. ისე უნდა იარო, სხვა კაცებს არსად გადაეყარო ხურციასა. ეგრე გადადი, ტყე-ტყე, ზემო-ზემო იარე. ლოჭინს იქით თქვენთვის საშშვიდობოა, ეგენი ლოჭინს იქით არ წავლენ.

თავი დავიქნიე. ჩემი თავის აღარაფერი მედარდებოდა, სულ აღარაფერი.

— სად გიკითხო?

— თავად მოგაწვდენ ხმას, თუ დამჭირდა. ვინა ხარ, სადაური ხარ?

— უფლისწული გიორგი ვარ.

დილიკა ზეზე წამოიჭრა, გაინაბა, მაგრამ მეისვე გონს მოეგო, ხელები ჩაუშვა, ნაჯები შუცელს ქვემოთ დაიჯვარედინა, მხრებში გაიმართა და თავი დადრიკა. ყველაფერი ერთბაშად გაქრა — სიტყვით უთქმელი სიახლოვეც, სითბოცა და საიდუმლოს ეშხიც... ჩემ წინ ქვაბლელთა ნაშიერი იდგა, თავისი გვარის ამაყი მორჩილებითა და იმ ცივი მოკრძალებით, რომელსაც მხოლოდ მეფეთა წინაშე ამჟღავნებდა მათი მოდგმა.

. . .

— შურის აღმძვრელნიც არიან და საბრალონიც, დაუწყევლოს ღმერთმა, — ჩემთვის ჩავილაპარაკე, თითქმის, ჩურჩულითა ვთქვი.

კრონმა გაიგონა, შემომხედა. ჯერ, ალბათ, იფიქრა, რომ რაკიღა ჩემთვისა ვთქვი, აღარც გამოლაპარაკება ღირდა, მაგრამ როცა სიხუმე გაგრძელდა, მაინცა მკითხა, — ვინაო?

— ეგ მარტოკაცები. შურის აღმძვრელნი იმით არიან, რომ აგრე თავგამოდებითა სწამთ თავისი საქციელის სისწორე და მართებულობა; საბრალონი იმიტომ, რომ მაგათი ბრძოლა თუ მსხვერპლად მისვლა ერს ზიანად უბრუნდება და ამას ვერ ხედავენ.

— ზიანად ხალხს უბრუნდება, ანუ აწმყოს და არა ერს. ერი ნამყო, აწმყო და მყობადია, მარადისობაა, — თქვა კრონმა.

— მე იმას ვამბობ, როცა შენ ქოქოლას აყრი, გგონია, ამით ზიანს რასმე აყენებ და ის კი შუაზე გაპობს. რამდენი ერი ვიცი, ეგრე რომ ამოწყდა და აღიგავა.

— ერს მორჩილება სპობს და არა წინააღმდეგობა, უფლისწულო, — ღიმილითა თქვა კრონმა. — როცა ულელი გადგას, მაშინ ხელში უხილავი მახვილი გიჭირავს; როცა კალთა გაფარია — ადლი და სასწორია შენი ხვედრი. ცბიერმა დამპყრობელმა ეს ჩვენზე უკეთ იცის, მეწველ საქონლად დავუდიგართ, გუშაგად გვიდგას — ხადავლში არავინ შემომეცილოსო, და კალთაც ეგ არის. ახლა ბრძოლისა ვთქვათ: კაცი გაუმაძღარი და ხალხი უკმაყოფილოა მაშინაც კი, რიცა ძლიერი და განათლებული სახელმწიფო აქვს; როცა მძვინვარე ბატრის ხელშია — მშიერი და გაჩანჯულია, ერთთავად სიკვდილის პირზეა და იმედი თუ არ ექნა, ბედს დამორჩილდება, ულელს კალთად მიითვლის და ამისი ბოლო აკი უკვე ვთქვით. მაგ იმედს თათართაგან განდგომილი, მთებში შესიწნული მეფეცა ქმნის, გზებზე მოთარეშე მცირე რაზმიცა და მარტოხელი მსხვერპლად მომსვლელიც. მართალია, მტერი ზიანისთვის შურს ხალხზე ძიობს, მაგრამ ამით — შენ რომ მამულიშვილი ხარ —

წისქვილზე წყალს გისხამს. როცა სადმე ვინმე იბრძვის, როცა ლამპარი ანთია, მაშინ იქედიც არის, ხალხი როგორღაც მიათრევს წუთისოფელს, მრავლდება, სულიერად იხვეწება, მხმობელს ელის, მიჰყვება და იმარჯვებს კიდეც.

— ეგა ორლესულია, ყუა არა აქვს!

— როგორა? — კრონმა მზერა მომაპყრო, განმარტეო.

— როგორა და, წინააღმდეგობა და ბრძოლა იმისთვის არის, რომ მტერს ბოლოსდაბოლოს სული ამოხადო, მაგრამ ამ ძალის ხმევაში მტერიც ხომ იხვეწება, ახალ-ახალ ხერხებსა სწავლობს და უფრო დახელოვნებული, შეუვალი ხდება! ეგა ორივესთვის სირბილია.

— ორივესთვის სირბილია. დააკვირდი, რომელი საით მირბის! — კრონი დადუმდა, მიყურა და დასძინა: — ბაგაში კარგად ჩახედვა გმართებს. დრო მოვა, ჩაიხედავ კიდეც და დაინახავ, მძლე ხარ, როდისმე უნდა მოხვიდე და ეგენი კი თავისი ურთიერთ ბრძოლით დასაყრდენს ქმნიან შენთვის — მამულიშვილურ სულსა და ძლევამოსილ ლაშქარს გიმზადებენ.

შენიშნა, კრონი მართალს ამბობდა, მაგრამ გასული დღე არ მასვენებდა — არც თაკარად ერთმანეთზე შელაგებული თათრის გვამები და თაკარის ძირას მიყუჟული ნოინები მეშვებოდნენ, არც დილიკა, რომელიც ჟამიდან ჟამს გოროთა იყო და ასეთ წამებშიც კი ისე მებრალებოდა, რომ ლამის ბალღივით ავტირებულიყავ.

— ეს მარტოკაცობა რაღა უბედურებაა, — ისევ ჩემთვის ჩავილაპარაკე, თუკი ესოდენ დიდ საქმეს ებმიან, მარტონი რატომ უნდა იყვნენ!

კრონმა ჩაიცინა და თქვა:

— თავად ეგენი მაგ მარტოკაცობას არცა გრძნობენ, არც უჩივიან, არც მარტოობად სთვლიან, რადგან საკუთარი ნება-სურვილით არჩეულ გზას მიჰყვებიან, იმთავითვე იციან, რომ მათი საქმე ერთი კაცის საკეთებელია და ვისიმე მირთვას არ საჭიროებს. მარტოდ მაშინ ხარ, როცა საქმეს თავად ვერ ერევი და შემწე კი არსაიდან ჩანს. ეგ, პირდაპირ მისვლის, ორთაბრძოლის ამაყი განცდაა, თავისებური სიხარული, ბედნიერებაა და არა მარტოობის დამთრგუნველი გრძნობა.

— მაშინ, რატომ ამბობენ ზოგნი მძლეცა მარტოობას მაშინაც კი, როცა მათ ძრავალი თანამდგომი ჰყავთ?

— მარტივად მოფილოსოფოსენი არიან ეგ ზოგნი და თანამდგომობას მხოლოდღა ადამიანური სულმდაბლობითა და ანგარებით სსნიან. სიღრმეებს ვერ ხედვენ, აქედან მოდის მათი შეცდომა. მაგათ თუ ვერწმუნეთ, მაშინ თანამდგომთაგან მიტანილი მოწამებრივი მსხვერპლიც აუხსნელი დარჩება და ამასთან ისიც უნდა დავიჯეროთ, რომ დიდთა საქმეთა აღსრულება მარტოკაცსაც ხელეწიფება.

— ფილადელფოსს ტრაქტატი აქვს — „ერთგულებისათვის კაცთა.“ ვინც ადამიანის გულწრფელ ერთგულებასა და თავგანწირვას უარჰყოფს, ვინც პირუთვნელობასა და უანგარობას მუხანათობითა და თავკერძობით ხსნის, ფილადელფოსს ისინი მგინებლებად, საკუთარი შეზღუდულობით დათრგუნვილ კაცებად მიაჩნია და აგრე ვფიქრობ ხანდახან მეც, — დავუდასტურე კრონს, მაგრამ რა ნიშნის მიხედვით განირჩევა დიდი საქმე — მცირისგან, სამარადისო — ერთი დღისთვის ქმნილისგან და უკვდავი — მოკვდავისგან, ესაც მინდა გავიგონო.

— სამყარო, რომელსაც ადამიანის გონება მისწვდა, ჩვენთვის იქამდე იარსებებს, სანამ ჯერ თავად ჩვენ და მერმეთ კაცთა მოდგმა პირისაგან მიწისა აღიგვება და ამას ვგულისხმობ მარადისობად. რაიც ზოგად მარადისობას შეეხება, მანდ სხვა

მსაზღვრელი გამოიყენება. აღსასრულებელი საქმის დიდობა და მარადისობა იმით გამოიცნობა და მაშინ ითქმის, როცა იგი საკაცობრიო და მარადისი ბოროტების წინააღმდეგ არის მიმართული, ხოლო უკვდავება მაშინ, თუ ეგ საქმე გაიმარჯვებს კიდეც. მძლენი იმით განსხვავდებიან ძლიერთაგან, თუ მარტივთაგან, რომ გამოვლილი და ნახილვი ფიქრში აქვთ გამოტარებული, ადამიანის, ხალხის, ერისა და კაცობრიობის ბუნებაში სიღრმით მწვდომელნი არიან; მოვლენ, მიმობნეულ, გათითოკაცებულ სიკეთეს თავს უყრიან, თორ-აბჯრად და სატევრად ანივთებენ, საკაცობრიო ბოროტებას ბრძვიან, თრგუნავენ და ამდაბლებენ. ეგ არის არსი, სახე და დანიშნულება მძლეთა.

მაშინ უკვე კარგად და მრავალმხრივად განსწავლულ-გაწვართული ჭაბუკი ვიყავ. არც პირში ნათქვამი ქათინაური მაკლდა, არც ზურგს უკან ქება და ხალხში თუ მტერსა და მოყვარეში — სახელი. ბერძნულ, სპარსულ, არაბულ და მონგოლურ ენებს ვფლობდი, ბიზანტიისა და მცირე აზიის სატასტოები ყრმასვე და მერე ჭაბუკ უფლისწულს მოვლილი მქონდა და, მიუხედავად ზოგი რამ ქარაფშუტული თავგადასავლისა, სწავლულ ახალგაზრდობაში და მეფეთა და დიდგვაროვანთა შორისაც კი ყველგან მრავლად მყავდა პატივისა თუ თაყვანისმცემელი. ახლა, იმასაც თუ დავძენთ, რომ ბავშვობიდანვე დიდმნიშვნელოვან მომავალს მწინასწარმეტყველებდნენ და ბოლო ხანებში ჩემი გამეფების შესაძლებლობაზე ჩურჩულიც მრავალგზის მსმენია, საკმაოდ თავდაჯერებული, საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში დარწმუნებული, ამპარტავანი თუ არა, მედიდური კაცი მაინც უნდა ვყოფილიყავ და კრონისგან ჩემი მძლეობის გარშემო ნაუბარიც ადვილად უნდა მრწმენოდა. ეგ არის, ბუნებით თავმდაბალი, სახარების ზნეობაზე აღმზარდეს, კერპად ის დიდი წინაპარი მყავდა, ვინც სამარეც კი ისეთი დაიანდერძა, რომ მნახველს საფლავის ქვაზე უსათუოდ ფეხით გადაევლო და, ალბათ, ყოველივე ეს მიშლიდა ხელს, კრონისგან აღთქმული ხვედრი და მომავალი ეჭვმიუტანლად მიმეღო, მძლედ განზრახული კაცის პირით მეუბნა მასთან.

— შენი ნათქვამიდან ისე გამოდის, მძლედ ქცევას ერთი კი არა, კაი შვიდი სიცოცხლე სჭირდება. სხვაფრივ როგორ გინდა, ყველაფერი ნახო, ყველა სიღრმეს ჩასწვდე, ნანახი და განცდილი ფიქრში გამოატარო, მერე სიკეთეს თავი მოუყარო, ბოროტებასაც უცდომლად მიაგნო და ბრძოდე?!

— მოკრძალება შენ ხანდახან ხუმრობისკენ გდრეკს, უფლისწულო. ეგ შვიდი სიცოცხლეც გამასხრებით იყო ნათქვამი, — ღიმილით მითხრა კრონმა. — მაგრამ შენც ხომ იცი, ეგ ჭეშმარიტებაა და ბარემ ისიც მითხარ, მაგაზე როგორ გაქვს ნაფიქრი.

— ახლავ გეტყვი... მოფიქრება უნდა, რომ მოკლედ იყოს.

კრონის პირველი გამოლაპარაკების შემდეგ, მართლაც, მოკრძალებისგან იყო თუ სხვა რამ ეშმაკის მანქანება შემიჩნდა, ბანზე შეგდებულსა და ირიბს ხშირად ვამბობდი და მერე ეს თავადვე მეუხერხულებოდა, სინდისს მიწუხებდა; ვგრძნობდი, ამ კაცთან ჭეშმარიტი გუნების მალვა ამაო იყო — შიგ სულში ჩამცქეროდა, მაგრამ თავს ვერა და ვერ მოვერიე, სიდინჯესა და გამბედაობას ვერ ვეწიე, სანამ იგი თავად კრონმა არ მომთხოვა...

— მაგაზე როგორა მაქვს ნაფიქრი: ცხენისა ყველანაირი სიარული თუ არა ვნახე, მარტო გარედან ცქერითა და კბილებში ჩახედვით ღირსებას ვერ გავუგებ. ძონგოლობა საკაცობრიო ბოროტებაა — მაგათ სასარგებლო არავისთვის არაფერი შეუქმნიათ. საუკუნეა ძარცვას, ნგრევასა და ამოწყვეტას ადგანან. მაგ აღმონაცენს

ეგრე არსებობის საშუალება უნდა მოესპოს, დათრგუნვა უნდა. როგორა, რომ ეგ ცხენი სიარულში არ მინახავს, მაგისი ზნე არ ვიცი?! გარედან ყოჩაღად გამოიყურება, საღეჭი კბილები ჩამპალი აქვს, ამასა ვხედავ და ეგ არის და ეგა ჩემი ცოდნა. ეხლა მეორე ვთქვათ: აღზევებული ბოროტების ბუნებისას ვერაფერს გაიგებ, თუ იმასაც არ იცნობ, რის დათრგუნვითაც აღწევდა იგი...

— ბოროტების აღზევება მხოლოდ სიკეთის დათრგუნვით არის და პირუკუ, — ჩამირთო კრონმა.

— მაგასა ვგულისხმობ და ეგეც ცხენია, მაგრამ შესახედავად — ჯანდაგი, — კბილებით — კვიცი და ამის მეტი არც მაგ ცხენისა გამეგება რამე, მე კი, თუ მართლა მძლედ მოვსულვარ, როგორც შენ ამბობ და არა მხოლოდღა მხმობლად — ადამიანის, ხალხის, ერისა და კაცობრიობის ბუნებაში სიღრმით წვდომა მმართებს, ორთავ ცხენის სიარული უნდა ვნახო, ორივეს ზნე გავიგო და, ამასთან, შვიდმა სიცოცხლემაც იქნებ მაშინღა იკმაროს, თუ განგებას ჩემზე მაგდენი მადლი აქვს დაბერტყილი.

— „კავშირთათვის საგანთა“ გასწავლეს, უთუოდ, — კრონმა შემომხედა, პასუხს დაელოდა.

— გრიგოლ შუამთელისგან მოვისმინე ეგ მოძღვრება გელათში ამ სამი წლის წინ.

— გეტყოდა გრიგოლი: მთრგუნველი და თრგუნვილი, თუნდ ხალხმრავალი ერი იყოს ორთავ, ერთარსებად განიხილება, როგორც ერთ კაცში პირისპირ მბრძოლი სიკეთე და ბოროტება და კაცის მთელი სიცოცხლის, ანუ მთრგუნველისა და თრგუნვილის მთელი კავშირის განსილვით შეიცნობა და არა ერთი რომელიმე ვითარების შეცნობით. ამისთვის ერთი და ორი სიცოცხლე მართლა ვერ იკმარებს, რადგან თვით მაგ კავშირის ერთი სიცოცხლე კაცის შვიდი სიცოცხლის სიგრძეა. ეგ არის, შენ ექვსი უკვე გამოვლილი გაქვს და მეშვიდეს ახლა ცოცხლობ. ადრეც გითხარი, — ვერ გეხსომება ჩემთან ნამყოფობა-მეთქი, და არც ეგ არის დიდი ბედენა, დაბრუნდები და გაიხსენებ.

— ექვსი სიცოცხლე მაქვს გამოვლილი და მეშვიდესა ვცოცხლობ? — გავიძეორე, რომ იგავს ჩავწვდომოდი, მაგრამ ვერაფერს გავხდი და ვკითხე: — ეგ, როგორ?

— კაცებრ. შენ იგავი გეგონა, არა? მუდამ ეგრეა, იგავი ჰგონიათ ხოლმე.

— ექვსჯერვე მძლედ ვიცოცხლე?.. — თავი ველარ შევიკავე, ხარხარმა ამიტანა, თვალთაგან ცრემლები გადმომსკდა.

რამდენი ვიცინე და როგორი სიცილი იყო!.. — როგორი და — მხიარულიცა და სიხარულიანიც — ზღაპარიც მაცინებდა და ისიც, რომ მე ექვსჯერ უკვე ვიყავ ცისა ქვეშე, ექვსჯერ უკვე ვიწვნიე სიცოცხლის ულელიცა და სიამოვნებანიც. ახლა, თურმე, მეშვიდედ მოველ. ისევ წავალ და, ღმერთმა იცის, კიდევ რამდენჯერ ძოვალ სიცოცხლის, გულის, გონებისა და ძალის ხმევის ნექტრის სასმელად...

— მძლედ პირველად მოხველ, — თქვა კრონმა, როცა გული ვიოხე. — ექვსჯერ სიცოცხლეში ვინც იყავ, ნამყოში დაბრუნებებით მიხვდები.

— ნამყოში როგორღა უნდა დავბრუნდე?!

— აკი გითხარ, გზაზე მე გამყევხართ-მეთქი

— უნდა მოვკვდე და ისე?

— არა, ხილვებით. როცა ვითარება მოგთხოვს, გარდასახვისა და წარსულ ვითარებათა ხილვის უნარი მოგეცემა ხოლმე.

ვერ ვიტყვი, კიდევ რამდენ ხანს ვისხედით. ის კი მახსოვს, ნაღვერდალი ჩანაცრდა, სიბნელე ჩამოწვა და როცა ძლივსღა ვარჩევდი საგნებს, მაშინ წამოდგა კრონი. მეც ავდექი, მშვილდ-კაპარჭი და ხმალი ავისხი. კრონმა თვალი თვალში გამიყარა, მიყურა და გაბრუნდა, ბალავარში დატანებულ კარს მიადგა. უნებურად იყო თუ როგორ — მივყევი. ჩემმა მენტორმა კარს უჩხიკინა, მიაწვა. კარი შეაღო, კრონი შევიდა და მეც გადავიარე დირე.

არ ვიცი, როდის აშენდა და რისთვის იყო განზრახული ეს ვეება დარბაზი. თავსა, შუაზე და ბოლოში თითო ჩირაღდანი ენთო და ბინდ-ბუნდში იქაურობა გადახურულ ჰიპოდრომსა თუ ცხენთსახედნავს წააგავდა — სარბოლი ბილიკისა და სახედნი კალოების კვალივით რამ იგრძნობოდა. ყველა სნეულს ხის მორებით შეძოსაზღვრული თავისი სამყოფელი ჰქონდა, მაგრამ ზოგისა დიდი იყო, ზოგისა საშუალო და უმეტესობისა კი მცირე. ერთნი იწვნენ, სხვები დაფრატუნობდნენ, ზოგი მუხლმაგარ ბოლთასა სცემდა. რამდენიმე სნეული დარბაზს გარშემო ძუნძულით უვლიდა, ხის მძიმე ქოშებს დაბაკუნებდა და ისეთებიც იყვნენ, მქადაგებლებივით რომ რაღაცაებს იძახდნენ — ზოგი მჭექარედ, ზოგი დუღღუნ-ბურტყუნით. დარბაზში ზავთი და ჟრიამული ბურუსივით დადიოდა. ერთი კაცისას ვერაფერს გაიგონებდი, ყველანი ერთად, ერთ დიდ, ყრუ ხმაურად ისმოდა და ეს ცივი, გაუტანელი სიჩუმე იყო. კრონი დინჯად მიაბიჯებდა. დარეტიანებულივით მივდევდი, ვითომ ყველაფერზე თვალებს ვაცეცებდი, მაგრამ რაიმეს აღქმისა რა მოგასსენოთ — გარს სიცარიელე მერტყა, სივრცეში ერთი ვეება, რუხი ღრუბელი ლივლივებდა — ეგ იყო და ეგა.

დარბაზის ბოლოში გავედით. კრონმა ახლა იქაურს კარს დაუწყო ჩხიკინი. უკან მივიხედე. მომეჩვენა, რომ დარბაზის კამაროვანი ჭერი ვარსკვლავებით იყო მოჭედილი და რომელიღაც თაღზე ნამგალა მთვარეც იჯდა. ამან ერთიანად შეძრა, თითქოს გამომაფხიზლა კიდეც და კრონს შევხედე. კარი შეეღო, იდგა, მიყურებდა.

— წამოდი, უფლისწულო, ახლო მომავალში მაგათი, ყველას სათითაოდ ნახავ ძოგელის. უმაგათოდ ვერაფერს ივლი და ვერას იხილავ.

ზღურბლი გადავიარე. რკინის კარმა ყრუ ჩახანი გაიღო, საკეტებმა გაირაკუნეს. ვიფიქრე, — დიდი ხნის გადაშენებული გვარის საძვალეში ვარ-ძეთქი...

კრონის სენაკში ვიყავი. ჭრაქი ბჟუტავდა; სარკმლის სიოში უკვე განთიადი აპირებდა შემოხედვას. რიგიანად ვერ მოვასწარი იქაურობის მოთვალიერება, რადგან შუა ოთახში ფარდაგიან ტახტზე სასწორი იდო, ორთავ პინაზე თითო ბაკანი ედგა და ამან მიიტაცა ჩემი გულისყური... კი არ იდო, ზედ შუა ოთახში ფარდაგიან ტახტზე საზაროდ საზეიმოდ თუ ესვენა როგორც კუბო ან თვითმპყრობელისთვის მორთმეული ფასდაუდებელი ძღვენი. ნაბიჯი წავდგი, ბაკნებში ჩავიხედე. ორივეში თითო თუ ორ-ორი მუჭა წვრილი კენჭი ეყარა. მარცხენა ბაკანს გადაეწონა და თვალითაც ჩანდა, კენჭი ამაში ჭარბობდა.

— ეს რა არის? — ვკითხე კრონს.

— სასწორია. მძლეთა სიკეთის, ბოროტებისა და სინანულის სასწორი. — იყუჩა, გაიღიმა და დასძინა: — ეგ საკუთრივ შენია.

— ამათში სიკეთისა რომელია და ბოროტებისა რომელი? — ბაკნებზე დავუთითე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავად დაინახავ.

დაწონილ ბაკანში კენჭი ჩავარდა, წკლაპანი გაიღო. კრონს მივაჩერდი.

— ეგ გუშინდელი დღისაა, უფლისწულო! — მითხრა კრონმა.

— გუშინდელი დღისა?! — გავიმეორე და ცოტა ხნის შემდეგ ჩურჩულითა ვთქვი; — დილიკა! — არ ვიცი, სიხარულმა მათქმევინა თუ სინანულმა.

კარში გამოვედი, ღალმაროში დავეშვი უგზოზე. ან რად მინდოდა გზა, როცა ხევები ბარისკენ ჩარბიან, ბარში მდინარეები დიან, მდინარეებთან სოფლები ან ნასოფლარებია და გზებიც.

მზიან, კაშკაშა დღეს აპირებდა. მივდიოდი და ღამეზე ვფიქრობდი, იმ ღამეზე, დღევანდელ დღეს რომ უნდა მოჰყოლოდა.

თავს ვალდებულად ვრაცხდი, ამაზე მეფიქრა.



მამია ვარშანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნიდან „სიზმარეული მესხეთი ჩემი“

ვუძღვნი მესხეთის აღორძინების
დიად განთიადს

• •

სიზმარეული მესხეთი ჩემი,
მახვილთამამი, სიტყვათამამი,
ჩემი ბეშქენ და ბექა გრძნეული,
ჩემი რუსთველი, ჩემი თამარი,
იყო ეს მხარე მაშინ ხმასრული,
მოთაყვანე ვარ მუდამ მე რისიც,
თუ ვცოცხლობ — ჩემი დიდი წარსულით.
და თუ ვიცოცხლებ — დიდი მერმისით.
შენ რაც არ იცი, რით მიგახვედრო,
გახედე შორს ცას, ასე ბოლო შავს,
მომე ჭოგრიტი, უნდა გავხედო
ძველი მესხეთის თავს და ბოლოსა,
ყველას თავისი სტკივა ჭრილობა,
ყველა თავისი ცეცხლით იწვის და..
მე რაც მინდოდა, შენ რაც გინდოდა,
წაიღო ჟამთა დიდმა იმ წვიმამ...
რაც დამრჩა, ახლა მას ვეფერები,
ის ჩემი დიდი განძი მგონია.
ჩემო მესხეთო, შენი კერებით
კვლავ დაემგავნე ზღაპრულ გოლიათს.
ვდგავარ, ვლოცულობ ჩემს სატაძროში, —
ხელთა მაქვს შოთას წიგნი რჩეული...

იცით, სად არის
იცით, რა არის
ჩემი მესხეთი სიზმარეული?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ განაახლებს ამ მხარეს ნეტავ,
სულს ვინ ჩაუდგამს აქ ვაზებს გამხმარს?!
მე მიხარია, მომავალს ვხედავ,
მე ვეხუტები ჩემს მესხეთს ახალს.
ნეტავ, რისთვის მაქვს გული ამგვარი,
რომ აღზევებას ყოველის ვნატრობ?!
ყელამდე ვიყო ცეცხლში ჩამდგარი,
ოღონდ ჩემს მამულს რამ მივუმატო,
მტკვარს მოემატოს წვეთები თუნდაც,
თუნდ მოემატოს კენჭი რამ მესხეთს,
გადავიღიმებ მე დიდ მესხურად,
დავკოცნი ნედლთა შემოქმედ შენს ხელს,
თუკი გაქვს გული, თუკი გაქვს გონი,
მიხვდი, გაიგე, რა გაგეცლება:
შენ თვალებს ხუჭავ, შენ გძინავს მგონი,
ვერ გაპატიებ მაგ უმეცრებას.
ვერ გაპატიებ — ვერ გხედავ ფხიზელს,
და გულგრილობას ვერ გაპატიებ,
ამ ტაძრებიდან მე შოთა მიმზერს,
ბალავარში რომ კვლავაც დგამს ტინებს.
იკითხე მისი სიბრძნე უძღები,
და სავსე გულით სთესდე და მკიდე,
და შენ იქნები მუდამ უძლევი
ეს წიგნი დიდი არსებობს ვიდრე,
მესხეთისათვის სიცოცხლე დადე,
კვლავ, რომ არ გახმეს ვაზიც და ეს ხეც,
რაკი ქვეყანას გამოეცხადე,
ეგ შენი სისხლი,
და შენი სული,
უბოძე მესხეთს.

ჩემი მესხეთ-ჯავახეთი

როგორ მიყვარს, როგორ მიყვარს მესხეთი და ჯავახეთი,
ჩვენი თმოგვი და ვარძია, ჩვენი განძი და სახელი.
სატრფოსავით სანატრელო, რუსთაველის წმინდა მხარევ,
ჩვენი გულის სასუგეშოდ აყვავდი და გაიხარე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე, გამრავლდით დებო, ძმებო, უკან არ გვაქვს დასახევი,
სულ ცოცხლობდეს, სულ ჰყვაოდეს ჩემი
მესხეთ-ჯავახეთი.
ორივ თვალიმც დაუდგება, ხანჯლით იყოს გასახევი,
ვისაც, ვისაც არ უყვარდეს ჩემი მესხეთ-ჯავახეთი.
დღესი დიდი მოძაგონდა და ფიქრების ჯავარს ვხევდი,
დე, ცოცხლობდეს მარადისად ჩემი მესხეთ-ჯავახეთი!

ᲒᲖᲐᲚᲐᲒᲖᲐ

მიეხვდი, მიეხვდი ვინცა ხარ, ისე უქცევ კილოკავს,
ბედს მესხეთის მიწაზე, ანგელოზი გილოკავს.
შემხვედრიხარ ზამლეთში, ლორჯომში ან ჭვანაში,
თითქოს სული დატოვე შენს ნაჯაფარ ჭალაში.
არა, რა გაქვს სადარდო, უკან არ მოიხედო,
უსაყვარლეს ჩვენს მესხეთს დღეს შენც უნდა მიხედო.
გეავდეს შვილი თორმეტი, დაარწიე აკვნები,
და აანთე სანთლები, — უკუნში გზის გამკვლევი.
სიბრძნე ჰკითხე ბერიკაცს, შენ რომ შეხვდი გოდერძთან,
არც კი გაგიჭირდება მერე სხვისთვის ბოძებაც,
ერთ რჩევას მეც გიტოვებ, ჩვენც ხომ ვართ საჭირონი:
სალამური გქონდეს და გქონდეს შენი ჭიბონიც.
შენი ლექსიც შენ გქონდეს, არ მიაგდო ჩონგური,
არასოდეს ნამუსის ყოფილიყო ორგული.
შენი გოგო ნიავსაც უბეს არ აკარებდეს,
— შემოპრძანდი სტუმარო! — სულ გეწეროს კარებზე, —
და მაშინ მეც მოგივალ, სიმებს ერთად ჩამოვკრავთ,
სიმღერები ახალი ერთად უნდა ჩამოვქნათ.
ერთად უნდა ვუმღეროთ ამერ-იმერს კურთხეულს;
— გენაცვალე, აყვავდი, ქართლის ყველა კუთხეო!

ᲩᲔᲛᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲕᲐᲠᲫᲘᲐ ᲩᲐᲜᲡ..

მტკვარო, სიდან მოჩხრიალებ, საით დარჩა ჩემი ანჩა?
დახარბებით ვიცქირები, — ჩემი დიდი ვარძია ჩანს,
ნისლო, საით წამოსულხარ? ჩემი ბანა მიტომ არ ჩანს,
თმოგველ გოგოს ვეფერები, გალმით ჩემი ვარძია ჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საით დამრჩა მე ხახული, და იშხანი საით დამრჩა?
რაღა დამრჩა... რაღა დამრჩა... ჩემი დიდი ვარძია ჩანს.
და კიბეზე დედოფალი ჩანს ღვთაება-ხატივითა,
გაზაფხულად ეფინება, მე კი გულში მარტი მიდგას.
იგი ალბათ სოსლანია, როგორ შვენის ხმალ-კაპარჭი!
ბასიანში ხომ არ დასჭრეს?! მინდა მივეშველო დაჭრილს.
ჩემი მარად სალოცავი საქართველო განმიდიდეთ,
ქაჯეთისა ციხე მოსრეთ, გველეშაპი განმირიდეთ.
დედოფალო, დიდო თამარ, შენ რაინდო, დიდო სოსლან,
როს გარდაქრით საწუთროდან, ჩვენი სული ვინ,
ვინ მოსრა?!

თქვენი ტუჩი გაიპობა, ხმა კი, ხმა კი აღარ ისმის,
და ინთქმება უფსკრულებში მგზავრი მგოსნის ღაღადისი,
რა ვქნა, რა ვთქვა საიმედო, სანუგეშო აღარ ისმის,
და ბნელეთში იფერფლება მგზავრი მგოსნის ღაღადისი,
გულო ჩემო, ნუ იდარდებ, დასასრული თუმცა არ ჩანს.
ზოგი ფერფლად დაიფანტა, ჰაუ, ზოგი შორეთს დარჩა...
ხან მხარგაშლილ სოფელსა და ხან ნიალის მინდვრებს
ვუმზერ,
ხან გავხედავ ლურჯ კამარებს, და ცა მაყრის
ლალ-ფირუზებს.

ვინც საყვარელ ამ მამულში მოვიდეს და აქ დასახლდეს,
მას საწუთრო გაუნათდეს, ოცნებები მისი ახდეს.
მესხეთი რომ მოვიარე, თვალიც, გულიც მე აქ დამრჩა
აქეთ დიდი თმოგვი ჩანს და იქით დიდი ვარძია ჩანს.
თვალს ვერ ვკიდებ შორს გაქცეულ ღამეებს და
ნისლებს ყაჩაღს,

ელავს დიდი განთიადი...
და წინ დიდი ვარძია ჩანს.

ყოველ წელიწადს მე შენთან მოვალ,
ჩემო ვარძიავ... ჩემო ასპინძავ...
რისთვის მაქვს ნეტავ ასეთი ლტოლვა? —
მინდა ვიცოდე გძინავს თუ გღვიძავს.
მინდა ვუსმინო შენს მაჯისცემას,
მინდა გხედავდე ამაყს და ძლიერს,
არ დაგვერქმევა მამულის კაცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკი ფარულ მუმლს ჩვენ ვერა ვძლიეთ.
მინდა, იმ გორებს... მინდა, ამ გორებს
ესახლონ მჭიდროდ მამულის მკვიდრნი,
რომ მოვიკრიბოთ ისევაც ღონე,
რომ ისევ ჰქუხდეს მესხეთი დიდი,
მტკვარო, იდინე ასე მარადის,
სმა გამაგონე რუსთველის ჩანგის,
შემომპარვია რაღაც ვარამი,
თითქოს მოვა და სატანა ალმგვის.
ვერ გავჩერდები, ვერა უშენოდ,
ყოველ წელიწადს მე შენთან მოვალ,
შენ აღზევდები, შენ უსაშველოდ,
ცეცხლს მოვუკიდებ ჩემს იჭვს და გლოვას.
. . . . . .
ყოველ წელიწადს მე შენთან მოვალ.

ღმერთო, მიმრავლე ეს ჩემი უდეო...

ამდენი ქედი გადმოვიარე
ალტაცებით და ჰალალი გულით,
რომ მომეტანა შენთვის, უდეო,
ნატვრა, ოცნება და სიყვარული.
მე ყველა სახლში ვერ შევიხედე,
ის კი მგონია — მე ყველგან ვსუნთქავ,
ჩემი აჭარის ყველა სოფელი
ასე ახლოა პოეტის სულთან.
ვერ ვინახულე აკვანი ყველა,
ვერ ვინახულე აკვნის ჩვილები,
იქნებ უნდოდათ პოეტის შველა,
რომ გამეხვეტა მუმლი-ჩრჩილები.
ვინმე უდელი წარსულს მანაღვლებს,
და თან თვალებში ცრემლი ერევა,
თვითონ დგას ქიმზე, მე მიმცა ტალღებს,
მაწამებს კაცს და თან მეფერება.
ვანა არ ვიცი, ცეცხლში ბუგავდნენ
მესხურ ჯვარსა და მესხურ კერიას,
და ყველა კარზე მწარე წარსულის
დარდი სწერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი რამე არ გავიხსენე!
ბევრი ვიფიქრე, ბევრი ვინაღვლე...
ღმერთო, მიმრავლე ეს ჩემი უდე,
ნულარ მოასწრებ ნურასდროს წარღვნებს.

ეს კუმურდოა, ჩემი კუმურდო...

აქ დღეს მოვედი, კარი შევაღე,
და წინაპრის ლანდს ხელი შევახე,
მიტომ მოვედი დანატრებული,
ჩემო ოსტატო, შენ რომ მენახე,
ვუალერსებდი დამტვრეულ ლოდებს,
და მე მტკიოდა მათი ბზარები,
ათას წელიწადს მინდა რომ მქონდეს
აწ მტვრად ქცეული მისი ზარები.
ო, წინაპარო, შენი მარჯვენა,
როგორც შვილს, ისე მეალერსება...
და იცი, გული რად მეტანჯება?—
შენს წაშებას რომ ვძერწავ ლექსებად...
რამდენი უნდა ტანჯვა მოვთვალო,
გულის ჭრილობა როდი მორჩება,
შენ გენაცვალე, კუმურდოს მთაო,
შენი ბალნარი კვლავ განორჩდება.

იამზე

მე ვარძიაში შემხვდა იამზე,
იამზე შემხვდა, გოგო ზარზმელი,
თმები უთრთოდა მტკვარის ნიავზე,
უშრიალებდნენ სულში ვაზები.
ეფერებოდა ლოდებს ვარძიის,
ითქოს თამარის ნაზ თმებს ვარცხნიდა,
ვინ შეამოკლოს ჩვენი მანძილი,
მე საპატარძლო მეტი არც მინდა.
თმოგვს რომ გახედა, უცებ აცრემლდა,
სწუხს, რომ ლოდები დაშვავებულან.
თვალში ჩავხედეთ უცხო კაცებმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმა თქვა: — მით რა დაშავებულა?!
წყენით თქვა: — ეს რა საკადრისია,
ის ჩვენთა ძველთა არის ნაშენი! —
თითქოს უმზერდა წარსულს სისხლიანს,
რომ აღარ იყო მესხთა საშველი.
წამწამზე ვჭვრეტდი ცრემლის თბილ
წვეთებს,
სევდა თალხავდა თვალებს სანატრელს,
ღიმილით თალხი ვერ გავუკვეთე,
და სული მისი ვერ გავანათე.
ხანდახან შოთას ბწკარს იშველებდა,
და დაადგამდა თავის აზრს გვირგვინს,
არ გვიწერია გადაშენება,
რადგან ჩვენ გვაქვსო რუსთველის წიგნი.

აგვისტო. 1981 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სამსონია

ეაფეა, ჩემო ხიხანეული...

— ალარ შემიძლია ამდენი, გასკდა თავი და ისაა! — გატანჯული კაცის ხმით წარმოთქვა მან.

თავი დომენტის არც ცოდნით და არც დაძაბული შრომით უსკდებოდა. წინა ღამით საქართველოს სადღეგრძელო ლიტრიანი ვაზით დალია და ყველაფერი იმის ბრალი იყო, თუმცა სიმართლეს ლილის ვერ გაუმხელდა, რადგან სულ იმას ეჩხუბებოდა, ჩემზე უფრო ღვინო და არაყი გიყვარსო. ღვინოზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ არაყს დომენტი ახობაძე მხოლოდ შებოლილ თევზზე აყოლებდა არცთუ ისე სისტემატურად, ვიცმეს ამ ფაქტიდან განზოგადებული დასკვნა რომ გამოეტანა.

ასე იყო თუ ისე, ლილისთან კამათს დომენტიმ ჩვეულებისამებრ თავი აარიდა და უფროსთან შესასვლელად მოემზადა (მოშვებული ჰალსტუხი წაიჭირა).

— არ გირჩევ შესვლას, დღეს ხასიათზე ვერაა. — გააფრთხილა ლილიმ.

— მაგის ხასიათს არ უყურებს დომენტი ახობაძე!

— სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივა.

— თავი მე მტკივა, მაგის შემხედვარეს, — დომენტიმ შუბლზე ხელი მოისვა, — კი, მაგრამ, რამ გაუფუჭა ხასიათი, კარგი სამსახური რომ აქვს და კარგ ფულსაც რომ შოულობს, იმან?

— არ ვიცი, ჩემთვის არ უთქვამს. — მოუჭრა ლილიმ.

— იქნებ, წყალი შეუყენეს და...

გაგრძელება. იხ. „ჭოროხი“, № 4.

— პირიქით, თათბირზე პრეზიდიუმში მიიწვიეს, მოხსენებაც უნდა წაიკითხოს.

— ვიცი მე მაგათი ამბავი. ჯერ მოხსენებას წაგაკითხებენ და მერე მოხსნის ბრძანებას! — რიხიანად თქვა დომენტიმ, მაგრამ უფროსის შავდერმანტინიანი კარი მაინც მორიდებით შეაღო. შეაღო და საკუთარ თვალებს არ დაუჯერა — მანუჩარ შილაკაძე ტრიბუნაზე იდგა, ხელებს იქნევდა და თანაც ასეთ სიტყვებს წარმოთქვამდა:

— მიმდინარე სამეურნეო წელს ჩვენმა გამოსათვლელმა საოლქოზე ადრე უნდა გამოთვალოს თითოეული მუშაკის შრომის ნაყოფიერების დონე. ხოლო ამ პრობლემების გადაჭრის შემდეგ...

დომენტიმ ერთი გაფიქრება კიდევაც გაიფიქრა, ხომ არ გადარეულა ეს უპატრონოო, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ უფროსი თათბირისათვის საგანგებოდ ემზადებოდა, ამიტომ რთული ქვეწყობილი წინადადების დამთავრება აცალა და მერე ხმამაღლა ჩაახველა. ხმა კი არა, ხრინწი უფრო იყო, მაჩქანას რომ სიჩქარის კოლოფი გაუფუჭდება, სწორედ ისეთი!

მანუჩარ შილაკაძემ კითხვა შეწყვიტა და გაოფლილი შუბლი დიდი ცხვირსახოცით მოიწმინდა (მისი შუბლის პატრონს პატარა ცხვირსახოცი რას გამოადგებოდა).

დომენტიმ ხელები გაშალა და ყურებამდე გაიღიმა.

— გენაცვალე, პეტროვიჩ, კა ხარ, რომ უნდა, ისეთი კაცი!

მისი აღტაცება უფროსმა არ გაიზიარა და ცივად შეეკითხა, რა გნებავს, ამხანაგო.

— დომენტი ვარ, პეტროვიჩ მე, ახობაძე,— ხმა დაუწვრილდა დაპროგრამებისა და კოორდინაციის განყოფილების უფროსს.

— რა ვქნათ, ახლა, დომენტი ახობაძე რომ ხარ?

— ჰართლა ვერ მიცანით, მანუჩარ პეტროვიჩ? — გულწრფელად იკითხა დომენტიმ.

— კი გიცანი, მაგრამ დაუკითხავად რატომ შემოხვედი? — მანუჩარი ტრიბუნიდან ჩამოვიდა, სამუშაო მაგიდასთან მივიდა (თათბირებისთვის სხვა მაგიდა ჰქონდა) და ზარი დარეკა.

ლილი შემოვიდა. დომენტისკენ არც კი გაუხედავს, უფროსს მიაჩერდა.

— რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, დაუკითხავად არავინ შემოუშვათ-მეთქი! — მანუჩარს თავი არ აუწევია, სპეციალური დაკვეთით ჩამოსხმულ თუჯის უზარმაზარ სამელნეს მისჩერებოდა. ამ სამელნეში მანუჩარა ფეერად ფანქრებს აწყობდა, რეზოლუციების წასაწერად კი ტურისტული მოგზაურობის დროს ნაყიდ ავტომატურ კალმისტარს ხმარობდა.

— დომენტი ხომ სხვა დროსაც დაუკითხავად შემოდიოდა? — თავი იმართლა ლილიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთხელ და სამუდამოდ გაიგეთ, რომ ახლა სხვა დრო არ არის! — მკაცრად თქვა ვამოსათვლელი სადგურის უფროსმა.

— გასაგებია, მანუჩარ პეტროვიჩ. — მორჩილად მიუგო ლილიმ და კაბინეტიდან გავიდა.

დომენტიმაც ჩაილაპარაკა, ჩემთვისაც გასაგებია ყველაფერიო და წასვლა დააპირა.

— დაიცა, ასე ადვილად შენ ვერ გაგიშვებ! — მანუჩარი სავარძლიდან წამოდგა და განყოფილების გამგესთან მივიდა.

დომენტიმ ინსტინქტურად ორი ნაბიჯი უკან გადადგა (კარებს მიუახლოვდა).

— დაჭერას ხომ არ მიპირებთ, მანუჩარ პეტროვიჩ? — გაბრაზების მიუხედავად, დომენტი ახობაძე მაინც მრავლობითში და მამის სახელობითში მიმართავდა, რადგან უფროსი ყოველთვის უფროსი იყო.

— არც ესაა გამორიცხული. — იხუმრა მანუჩარ პეტროვიჩმა, თუ ამას ხუმრობა ჰქვიოდა.

დომენტიმ, ვითომ, მხარი აუბა.

— მაშინ სახლში დავრეკავ, საციხოდ მოვემზადები.

— მოემზადები, თორემ ერთბაშად ფული არ დაგრჩეს მიწაში დამალული! — „მიწა“ მანუჩარმა გაზეთში წაკითხული სტატიის ანალოგიით ახსენა, თორემ, პირადად, ფულის შენახვის უკეთესი საშუალებები იცოდა.

დომენტი თითქოს უფროსის ფიქრებს მიუხვდა.

— ფული ვისაც აქვს დამალული, მაგი კი ვიცი მე!

— საქმეზე ვილაპარაკოთ, ამხანაგო, საქმეზე! — მანუჩარ პეტროვიჩმა საუბარს სხვა კალაპოტი მისცა, — თქვენი განყოფილება მესამე კვარტალის გეგმას თუ შეასრულებს?

— წინასწარი გამოანგარიშებით, ნოლი მთელი და ხუთი მეათედი პროცენტი დაგვაკლდება, პეტროვიჩ.

— ესე იგი, ვერ შეასრულებს!

— სამაგიეროდ, მეოთხე კვარტალში ვალდებულებას ვკისრულობთო.

— შეგიძლიათ წახვიდეთ! — უფროსმა აუდენცია დამთავრებულად ჩათვალა.

დომენტიმ მაინც ინერციით გააგრძელა.

— ნოლი მთელი და ხუთი მეათედი პროცენტით...

— მიბრძანდით, ამხანაგო! — მანუჩარმა საჩვენებლი თითის მაგიერ კარი წითელი ფანქრით უჩვენა.

ბოლოსდაბოლოს, დომენტი ახობაძის მოთმინების ფიალაც აივსო.

— კარგად ბრძანდებოდეთ, ჩემო ბატონო, ყველაფერს ძაღლის ნაკბენივით დაგიმახსოვრებთ! — ეს უთხრა, კარიც მიუჯახუნა და პანლურამორტყმულივით იმ გრძელ დერეფანში გავარდა, რომლის ორივე მხარეს,

როგორც ადრე მოგახსენეთ, ასეთი წარწერები იყო ანთებული: „უსაქმოდ სუ გავჩერდებით“, „ყავა საყავეში დალიეთ“ და სხვა ამისთანები.

დაბოლმილმა დომენტი ახობაძემ დერეფანში გამოფენილ ლილის, ზინასა და მაკას ცნობისმოყვარე სახეებს კი არ შეხედა, არამედ სირბილით თავის კაბინეტში შევარდა და პირდაპირ შალვა ცისკარიძეს შეეჩეხა, რომელიც ისევ თავის კალენდარს ჩაჰკირკიტებდა.

— მოდი, ვნახოთ ორშაბათი, ვისი არის ორშაბათი... მიველ, ვნახე ორშაბათი, ლილისაა ორშაბათი... ხუთშაბათს გიგლა რუხაძე დისერტაციას იცავს, დეპეშას უნდა გაგზავნა... ახლა ვნახოთ შაბათი... შაბათს...

დომენტიმ მეტი აღარ აცალა.

— ტყუილად აწყობ გეგმებს, შაბათს არსად გაგიშვებ!

— შაბათი დასვენების დღეა, ვარდენიჩ.

— დასვენების დღე არ ვიცი მე! გეგმა რომ არ სრულდება, ღამეც უნდა ვიმუშაოთ.

დომენტი ელოდა, დამიწყებს ახლა, ღამით მუშაობა კი არა, ძილი არის საჭიროო, მაგრამ შალვა ცისკარიძე იმ წუთშივე დაეთანხმა.

— მაგახე გაწყენინებთ? თუ საჭირო იქნება, ვიმუშაოთ, ბატონო.

— ესე იგი, თანახმა ხარ?

— დიახ.

ისედაც გულმოსულ დომენტის გული კიდევ უფრო მოუვიდა.

— ყველაფერზე თანახმა როგორა ხარ, კაცო, შენ!.. ერთი საწინააღმდეგო სიტყვა არ უნდა თქვა რაიმე?

— მაინც რა უნდა ვთქვა საწინააღმდეგო?

— შაბათს არ მინდა მუშაობა-თქვა... პაემანზე უნდა წავიდე-თქვა...

შალვამ დაცინვა არ შეიმჩნია, მშვიდად უთხრა, სანამ გეგმას არ შევასრულებთ, ზედმეტი მუშაობით არაფერი დაშავდებაო.

— ესე იგი, არც კვირას მოსვლაზე იტყვი შენ უარს? — ჰკითხა დომენტიმ.

— თუ საჭირო იქნება..

რასაკვირველია, შალვას მხრივ ეს დიდი მსხვერპლი იყო. თუ სხვები კვირადღეს ძმაკაცებთან ქეიფსა და ჰარი-ჰარალეში ატარებდნენ, შალვა ცისკარიძე კვირაობით მხოლოდ წიგნებს კითხულობდა და ერთი საათით ტელევიზორში „კინომოგზაურთა კლუბს“ უყურებდა. არა, მოგზაურობის ტროფიალი არ გახლდათ, ტურისტად არც საზღვარს შიგნით ყოფილა და არც საზღვარს გარეთ, ხარჯებს კი არ ერიდებოდა, არამედ ორგანიზაციული საკითხების მოგვარება არ ეხერხებოდა. უცხო სახელმწიფოებს რომ თავი დავანებოთ, ხუთი წელიწადია, საკუთარი სოფელი არ ენახა.

დომენტი ახობაძემ თავის თანამშრომელს მორჩილ თვალებში ერთ-

ხანს გაკვირვებით უყურა, შემდეგ ხელი ჩაიქნია, კვირას კი არა, სამუშაო დღეებში არ მიკეთებს ხალხი საქმესო!

— მაგალითად, ვინ? — ჰკითხა შალვამ.

— რა მაგალითი გინდა!.. ზინა ღა მაკა ლილისთან დალამებამდე ჭორიკნობენ.

შალვამ, რასაკვირველია, ქალები დაიცვა, ახალგაზრდები არიან, არ გაემტყუნებათო.

— დამლაგებელიც ახალგაზრდაა, მტვერში რომ დაგვახრჩო?

— შვილიშვილი ჰყავს ავად და დროზე მოსვლას ვერ ასწრებს.

— მერე, რა ვქნა მე, თუ ავად ჰყავს?!

— ასეთი ლაპარაკი როგორ გეკადრებათ, ვარდენიჩ?

— არ მინდა მე შენი ჭკუის სწავლება! — მოუჭრა ვარდენიჩმა.

— დაწყნარდით, რატომ ნერვიულობთ! — რიგითმა თანამშრომელმა უფროსს გრაფინიდან წყალი დაუსხა და მიაწოდა. დომენტიმ წყალი დალია და ყრუდ ჩაილაპარაკა.

— როგორ დავწყნარდე, გული ბოღმით მისკდება.

— გულთან ხუმრობა სახიფათოა, ვარდენიჩ, ბოღმას თავი არ უნდა დაჩაგვრინოთ, გასაჭირს ღიმილით უნდა შეხვდეთ.

— ესე იგი, სულ გაცინებული უნდა ვიყო... შენსავით? — ნდობის ხიდზე გაბმული ვიწრო თოკი დომენტი ახობაძემ მაინც გადაჭრა.

— ჩემსავით, ხომ? — შალვას ხმა გაებზარა, მაგრამ თავი მაინც შეიკავა, — ტყუილად ცდილობთ მაწყენინოთ.

დომენტი მიხვდა, რომ გადაამლაშა და ახლა გადმომლაშებას შეეცადა.

— აბა, როცა არ მეცინება, როგორ უნდა გავიცინო?

პასუხად შალვამ თავისი დიდი წინაპარი გაიხსენა.

— ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო. ხომ გაგიგონიათ?

— მაგისთანები ბევრი ვიცოდი, მაგრამ დამავიწყდა.

— მე კი ერთი წუთითაც არ დამვიწყებია!

— შენ, კაცო, რკინის ნერვები გაქვს, წყენას გულში არ გაიკარებ.

შალვამ აუხსნა.

— ბევრი წყენა მინახავს, მაგრამ ჩემი პრინციპებისათვის არასოდეს მიღალატია, არჩეული გზიდან არ გადამიხვევია.

— კაცი შენ ყოფილხარ ბედნიერი!

შალვამ თავი მაღლა ასწია და ჭერს შეხედა, სადაც 120-სანთლიანი ნათურა ეკიდა.

— დიახ, ბედნიერი ვარ, რადგან ჩემი ცხოვრების მიზანი ჰატიოსნება და სიკეთეა!

არაპრაქტიკული შალვა ცისკარიძისაგან განსხვავებით, დომენტი

ახობაძე ცხოვრებაში ღრმად ჩახედული პიროვნება გახლდათ, შესანიშნავად იცოდა, რომ პატარა ხელფასსა და თანამდებობას დიდი ხელფასი და თანამდებობა სჯობდა. პატიოსნებისა და სიკეთის კრიტერიუმებს სწორედ ამ პოზიციებიდან განსაზღვრავდა. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, რა გასაკვირია, თანამშრომლის სიტყვებში ეჭვი შეეტანა.

— შენი პატიოსნება და სიკეთე მაინც როგორ მოიხმარე ცხოვრებაში? — კითხვა სავსებით ლოგიკურად იყო დასმული.

— ამაზე მეტად რაში უნდა მომეხმარა? — მომდურავი არ მყავს და ღამე ტკბილად მძინავს. — მიუგო შალვამ.

— წყალი რომ ჩამოგივა სახურავიდან, მაშინაც ტკბილად დაიძინებ?

— რა ვუყოთ მერე, ავდგები და გავაკეთებ, — ისე არხეინად ლაპარაკობდა, თითქოს სახურავის გაკეთება კვარტალური ბალანსის გაკეთება იყო. მეხუთე სართულზე მცხოვრებ შალვა ციხკარიძეს წყალი ონკაში არ ჰქონდა, თორემ ჭერიდან ყოველ გაწვიმებაზე ჩამოსდიოდა. სარემონტო კანტორაში ბევრჯერ შეეხვეწა, ერთხელ განცხადებაც კი დაუწერა, მაგრამ თუნუქის მაგივრად დაპირებას აძლევდნენ.

— დიდი კაცი რომ ყოფილიყავი, — აუხსნა დომენტიმ, — სახურავს შენს მაგივრად სხვა გააკეთებდა.

— ცდებით, ვარდენიჩ, მე კარიერისტი არ გახლავართ.

— არ თქვა ახლა, უფროსობა ცუდიაო.

— გააჩნია ვისთვის, მე, პირადად...

დომენტიმ ხელით ანიშნა, ერთი წუთით გამიჩერდიო, და თვალები ნეტარებით მინაბა.

— უფროსობაზე უკეთესი ქვეყანაზე არაფერია! ზურგი — მაგარი, მანქანა — ახალი, ...რესტორანში შეხვალ და დაგაყრიან შამპანურებს ყუთებით... ჰეი, გიდი, დომენტი ახობაძევ, რა წლებს აცდენ უქმად!

— რატომ ამბობთ მაგას, ვარდენიჩ, თქვენ მშვენიერი პოსტი გიჭირავთ.

— მე ყანწი მიჭირავს სუფრაზე... პოსტი — მანუჩარ შილაკაძეს. კითხე... ლმერთი არის ახლა ქვეყანაზე, თვითონ გამოსათვლელი სადგურის უფროსი იყოს და დომენტი ახობაძე განყოფილების გამგე?!

შალვას სხვა რა გზა ჰქონდა, დომენტისთვის გული უნდა გაეკეთებინა.

— თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბრძანდებით, ვარდენიჩ, ცხოვრება წინაა, ყველაფერს თავისი დრო აქვსო, ხომ გაგიგონიათ?

„ჯერ კიდევ“ დომენტის არ მოეწონა, რადგან, თმის ინტენსიური ცვენის მიუხედავად, თავი გაუხედნავი კვიცი ეგონა. ამიტომ ხაზგასმით „შენობით“ დაუწყო ლაპარაკი.

— შენ თუ მაგ დროს უცადე, სასაფლაოზე წასვლა მოგიწევს!

— თქვენი არ ვიცი, მე ჩემი გზიდან არასოდეს გადავუხვევ! — მტკიცედ, მაგრამ მაინც ზრდილობიანად განაცხადა შალვამ.

— ესე იგი, სულ კეთილი გზით ივლი?

— სხვანაირად როგორ შეიძლება? — ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.

დომენტი არ მოეშვა.

— არც ბული მოგივა არასოდეს?

— მთავარია, წყენა არ გამყვება, კაცს ცუდს არ გავუკეთებ.

— შენ რომ ცუდს გაგიკეთებენ, არც მაშინ?

— ჩვენი ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა, ვარდენიჩ, წვრილმანებს რომ ავყვეთ და ერთმანეთს გული გავუხეთქოთ. — ძმობლიურ სტიქიაში მოქცეული შალვა ცისკარიძე თითოეულ სიტყვას შთაგონებით წარმოთქვამდა, მაგრამ დომენტი ახობაძეზე, ეტყობა, მაინცდამაინც დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა.

— ჯიბგირმა რომ ფული ამოგაცალოს ჯიბიდან, მადლობას ეტყვი? — ნიშნის მოგებით შეეკითხა დაპროგრამებისა და კოორდინაციის განყოფილების უფროსი.

შალვამ თავი სინანულით გააქნია

— მე ვთქვი და ყოველთვის გავიმეორებ, რომ ჰუმანურობა და სიკეთე ცხოვრების მამოძრავებელი ღერძია!

— ჯასაპენა რომ დასჭირდეს მაგ ღერძს, სად მიხვალ მერე?

— სანამ ნერვებს არ დაიწყნარებთ, ჩვენს საუბარს არავითარი აზრი არა აქვს! — თქვა შალვამ და საანგარიშო მანქანაზე მუშაობა დაიწყო.

დომენტი ერთხანს ჩუმად იჯდა, მაგრამ ველარ მოითმინა და გაბრაზებული წამოხტა.

— კაცი რომ უმიზეზოდ გაგლანძღავს, არც მაშინ უნდა უთხრა რამე?

შალვამ ჯერ სამნიშნა რიცხვის ნამრავლი დაიანგარიშა და შემდეგ კვლავ დომენტის დაუყვავა.

— დაწყნარდით, ვარდენიჩ, რა მოგივიდათ?

ვარდენიჩს რა დააწყნარებდა, დაკოდილი ტახივით დარბოდა მაგიდებს შორის.

— ის მომივიდა, რომ უფროსმა გამომაპანღურა კაბინეტიდან, დაუკითხავად რატომ შემოდიო.

— მერედა, თქვენც შეეკითხეთ, ამაზე იშლით ნერვებს?

— ჯეგმებს რატომ არ ასრულებო?

— თქვენც დაპირდით, შევასრულებო.

— დავპირდი, მაგრამ არ დამიჯერა.

— ვერაა, ალბათ, დღეს ხასიათზე.

— ხასიათზე მოყვანას სანამდი ვუცადო? აღარ დაადგა საშველი მაგის ძმხსნას!

ასეთი მსჯელობა უკვე პროვოკაციას ჩამოგავდა. შალვას დროზე ეუნ-
და მიელო ზომები.

— ვარდენის, უფროსზე ასე რატომ ლაპარაკობთ?

— შენ რომ ენას არ მიუტანო, იმიტომ... თუ გინდა, მიუტანე, არ მეშინია მე!.. არც წინათ მეშინოდა, ბაყბაყ-დევი რომ ჰყავდა მფარველი... ახლა მიუკვდა მამა, მაგრამ უკაცრავად, ბატონო, დომენტი ახობაძე შავებს არ ჩაიცვამს!

— ვარდენის, როგორ გეკადრებათ ასეთი სიტყვები, რაც უნდა იყოს, უფროსია, მის ავტორიტეტს უნდა გავუფრთხილდეთ! — შალვა გულწრფელად იყო შეწუხებული, მაგრამ დომენტის მისი არ ესმოდა.

— უფროსი რომ გაგლანძღავს და გამოგაგდებს, მადლობელი ვარო, თავი უნდა დაუქნიო?

— საქმე მაქამდე არ უნდა მიიყვანოთ.

— ჩემს დღეში რომ იქნები, გნახავ, ერთი, როგორ ილაპარაკებ... თუმცა, შენ ჰუმანური კაცი ხარ, ყველაფერს აპატიებ.

კამათი ზარის ხმამ შეწყვიტა. მანუჩარ შილაკაძის კაბინეტიდან ხუთჯერ გაბმულად დარეკეს, ესე იგი, მეხუთე კაცს უხმობდნენ...

— მიდი, ჰო, გეძახის შენი უფროსი! — შეაახსენა დომენტიმ.

— რა უნდა, ნეტავ, ამ დილაადრიან?

— სამსახურიდან თუ არ მოგხსნა, საყვედური ხელში გაქვს.

— ბე არაფერი დამიშავებია, — თავი გააქნია შალვამ.

— აბა, სადილად გპატიჟებს და იმიტომ გეძახის. — დომენტი ხუმრობას, თუკი ამას ხუმრობა ერქვა, უმეტესად ჭამა-სმას უკავშირებდა, ამ სფეროში დიდი გამოცდილება ჰქონდა.

— ვარდენის, იცით თქვენ და ნუ მიმალავთ. — შეეხვეწა შალვა.

— ეგმას რომ ვერ ვასრულებთ, ტყავი უნდა გაგაძროს.

— რანაირი ხუმრობაა ეს!

— მაგას უფროსის კაბინეტში ნახავ.

ამ ლაპარაკში, კართან სპეციალურად დამონტაჟებული რადიო ჩაირთო და ლილი კირვალიძის მელოდიური ხმა აჟღერდა.

— შალვა ცისკარიძე დირექტორთან!

— არის ცისკარიძე დირექტორთან! — ჯარისკაცივით უპატაკა შალვამ, კართან მისული, ისევ უკან მობრუნდა და მაგიდიდან შეკვრა გამოიღო, კინაღამ დამავიწყდაო, ჩაილაპარაკა თავისთვის, დომენტის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას არ აპირებდა.

— ცისკარიძე დირექტორთან! — გაიმეორა რადიომ.

— მოვდივარ, ლილი, მოვდივარ! — სწრაფად წარმოთქვა შალვამ და ასევე სწრაფად უფროსის კაბინეტისაკენ გაემართა. ლილი გზაზე შეე-

გება და გაკვირვებულმა ჰკითხა, ამდენი რატომ დაიგვიანეთო. შალვამ თავაზიანად გაუღიმა.

— კიდევ სალამი და კარგად ყოფნა პატივცემულ ლილის!

— პიბრძანდით, ბატონო შალვა, უფროსი გელოდებათ.

— ყველაფერი რიგზეა ხომ?

-- ცოტა ხასიათზე ვერაა.

— ნაგას არ გეკითხებით... თქვენ როგორ ბრძანდებით-მეთქი.

— მე?.. — შეცბა ლილი, — არა მიშავს...

შალვამ ყაყაჩოსავით აყვავებულ ქალიშვილს თვალი ველარ გაუსწორა, მაგრამ სიტყვების წარმოთქმა მინც შესძლო.

— ლილი, თქვენ დღეს შესანიშნავად გამოიყურებით...

სიტყვები კი არა, ტყვიები უფრო იყო, ხოლო წინადადება თოფის გასროლას უდრიდა. ლილი არ წაქცეულა, მაგრამ გული დაჭრილი მწყერივით შეუფართხალდა.

— გმადლობთ კომპლიმენტისათვის... — როგორც იქნა, მოახერხა მადლობის თქმა, მაგრამ ჯერ სად იყო!

— თქვენ ყოველთვის შესანიშნავად გამოიყურებით, მაგრამ დღეს განსაკუთრებით კარგი ხართ... ახალი კაბა ძალიან გიხდებათ.

ლილი თავის კაბასავით გაწითლდა.

— ბატონო შალვა, ნუთუ ეს თქვენ ბრძანდებით?

— გაგიკვირდათ, არა?

— ძალიან გამიკვირდა.

— მე ისიც ვიცი, ასეთი კარგი დღეს რატომ ხართ.

ლილიმ ქათქათა ცხვირსახოცი ამოიღო და გაოფლილი ნიკაპი მოიწმინდა (ნერვიულობის დროს მხოლოდ ნიკაპი უოფლიანდებოდა).

— გამაწითლეთ პირდაპირ... შებრძანდით, უფროსს ნუ ალოდინებთ.

შალვამ ქალიშვილს შეკვრა გაუწოდა.

— ეს თქვენი საჩუქარია, ძვირფასო ლილი (უკვე ძვირფასო!).

— რა საჩუქარი? -- თვალები გაუფართოვდა ლილის (ხომ გახსოვთ, ნატურალური თაფლისფერი თვალები ჰქონდა).

— კეთილი გულით მოძღვნილი მცირედი საჩუქარია... ოღონდ, მე რომ შევალ, მაშინ გახსენით. — გააფრთხილა შალვამ და მანუჩარ შილაკაძის კაბინეტში შევიდა.

ლილის ერთი სული ჰქონდა, სანამ ქალალდს გახსნიდა, თუმცა გუმანით ხვდებოდა, შეკვრაში რაც იყო. გახსნა და, მისი ლოყებივით წითელმა ვარდებმა შეანათა. ვარდებს, რასაკვირველია, ეკლებიც ჰქონდა. ერთ ეკალზე ლექსად დაწერილი ბარათი იყო მიმაგრებული. ლილის კინალამ გული შეუღონდა. სანამ გამოერკვეოდა და ბარათს წაიკითხავდა, ზინა და მაკა დაბარებულივით თავზე დაადგნენ. გუმანით გრძნობდნენ, რალაც უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხდარიყო, და არც შემცდარან.

— ყვავილები!.. წერილები!.. რაშია საქმე, გაგვაგებინე! — იყვირა მაკამ.

— გასკდით გულზე! — ლილიმ მტრედებით მოხატული ბარათი უჩვენა, რომელიც მაკაზე ადრე ზინამ გამოსტაცა და ხმამაღლა წაიკითხა.

ჩემო კარგო ლილი,
მაგრად გართმევთ ხელს
და გულწრფელად მოგილოცავთ
დაბადების დღეს.

— ესეც ასე! — ზინამ ტაში შემოჰკრა, — ლექსის მეტი არაფერი გაკლდა და ისიც დაიმსახურე... ოღონდ ავტორი რატომ არ აწერია... თუმცა, ძაგას რა გარკვევა უნდა... გან... გან... დომენტისაგან...

მაკამ კეკლუცად გადაიკისკისა.

— ვერ წარმოვიდგენდი, თუ დომენტი ახობაძე ლექსის წერას დაიწყებდა... საჩივარი კი, ბატონო, მაგრამ ლექსი?.. ტოუე მნე ესენინ!

ლილი დაიბნა, გოგოები, ალბათ, ყასიდად ლაპარაკობენ, ან იქნებ ლექსი ნამდვილად დომენტის დაწერილი ჰგონიათო, ამიტომ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და პირდაპირ განაცხადა.

— ოლოლო თქვენ, ვერ გამოიცანით!

— აბა, ვერც მანუჩარ პეტროვჩი მოახერხებდა ამის დაწერას. — თქვა ზინამ.

— შალვამ მოახერხა, გოგოებო, შალვამ! — ლილიმ ბარათი საგულდაგულოდ დაკეცა და პატარა საფულეში ჩადო, სადაც ფულის მავივრად ნარკესა და პომადას ინახავდა.

— შალიკომ? — პირი დააღო მაკამ.

— დიახ, შალიკომ... ეს ვარდებიც მან მომიტანა.

— გოგოებო, ცუდად ვარ და მიშველეთ!

მაკას არავინ მიშველებია, სიტყვა ზინამ აიღო.

— მე, როგორც ვატყობ, დუელი გარდაუვალია, ოღონდ დომენტი ახობაძეს დაშნა და დამბაჩა არ დასჭირდება, ღვინოში დაახრჩობს საბრალო შალიკოს...

— ეპიტაფია, ალბათ, დაწერილი ექნება... განაცხადა მაკამ. „ეპიტაფია“ პირველად სასაფლაოზე გაიგონა და მას მერე ახსოვდა.

— ლილი, სინდისმა ცოტა მაინც არ შეგაწუხა? — ჰკითხა ზინამ.

— სინდისი რა შუაშია? — ვერ მიხვდა მდივან-მემანქანე.

— ამისთანა კაცს დღეობაზე რატომ არ პატიჟებ?

— ნამდვილად დავაშავე, — აღიარა ლილიმ და მერე ქალიშვილები გააფრთხილა, დროა, წახვიდეთ, უფროსმა არ დაგინახოთო.

ზინა ვითომ ვერ მიხვდა.

— რომელმა უფროსმა, დომენტიმ?.. შენმა დომენტიმ?

— მაგის ახლა შალიკოა, — გაიცინა მაკამ. მერე ზინასთან ერთად მხიარული განწყობილებით მიაშურა თავის სამუშაოს და სახლში წასვლამდე სულ შალვა ცისკარიძეს ამუშავებდა.

ლილის მაგიდაზე კი ტელეფონმა დარეკა.

— დიახ, გამოსათვლელი სადგურია, — უპასუხა მდივანმა-მემანქანემ, — დირექტორი ამჟამად თათბირს ატარებს... ნახევარი საათის შემდეგ დარეკეთ.

ტელეფონზე საუბარს რომ მორჩა, ვარდები წყლიან ჭიქაში ჩააწყო და სანამ ოცნებას შეუდგებოდა, სევდიანად წარმოთქვა:

— შალვა, შალვა, ძალიან უცნაური კაცი ხარ შენ!

საკუთარმა სიტყვებმა. ცოტა არ იყოს, შეაშინა, ხმამაღლა ხომ არ მომივიდაო, და თვალწინ დომენტი ახობაძე წარმოიდგინა, ქოჩორი კეფიდან წამოღებული თმით რომ ჰქონდა გაშენებული და ლელვის არაყივით მყრალი სიმთვრალე იცოდა.

ვინ იცის, ლილის ფიქრები სანამდე გაგრძელდებოდა. კაბინეტიდან მანუჩარ შილაკაძე და შალვა ცისკარიძე რომ არ გამოსულიყვნენ. შალვას კაცის ფერი არ ჰქონდა სახეზე.

— ნუ იზამთ მაგას, პეტროვიჩ, ძალიან გთხოვთ! — ეხვეწებოდა უფროსს.

— მე ერთხელ ვთქვი და დავამთავრე! — მოუჭრა მანუჩარმა.

— პატივცემულო პეტროვიჩ, შეღავათ ჩემს მდგომარეობაში...

— კმარა, ამხანაგო, დისკუსია ნუ გამიმართე!

— პეტროვიჩ, ერთხელ კიდევ გთხოვთ.

— წუწუნი ნუ დამიწყე ახლა!.. უნდა შეიგნო, ჩვენ დიდი საქმეები გვაქვს გასაკეთებელი.

— კარგი, ბატონო, მივდივარ. — დუთანაზა-ხოლოს შალვა და სანამ წავიდოდა, ლილის საწყალი თვალებით ანიშნა, ხომ ხედავ, არაფერი გამომივიდაო!

ქალიშვილმა საქმის ვითარება არ იცოდა, ძაგრამ ერთი წუთით არ შეყოყმანებულა, მტკიცედ გადაწყვიტა, რადაც უნდა დამიჯდეს, შალვა ცისკარიძე ხიფათისგან უნდა ვიხსნაო! მდივან-მემანქანეს ასეთი რა ძალა უნდა ჰქონოდა, უფროსის ნება-სურვილის წინააღმდეგ რომ წასულიყო? ძაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, ლილი კირვალიძე ლამაზი მდივან-მემანქანე გახლდათ. სილამაზე კი ის ძალაა, ტარიელივით რომ გადაგრევს და შალვასავით ლექსის წერას რომ დაგაწყებინებს. ზოგიერთი შეუგნებელი პიროვნება იმასაც ამტკიცებს, ლექსებს მარტო გადარეული კაცი წერს, ჭკვიანი მხოლოდ სხვის დაწერილს კითხულობსო, მაგრამ ამაზე კამათი შორს წაგვიყვანს, აჯობებს, ისევ ჩვენს საქმეს მივხედოთ.

რაკი ლილიმ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, შალვა ცისკარიძე სა-

ნახევროდ მაინც ვადარჩენილი იყო. ვნახოთ, ახლა, უფროსი რას იტყოდა.

— ეს თურმე ვინ ყოფილა! — ხელები გაშალა მანუჩარმა.

— ძალიან კეთილი კაცია. — ისე დაბეჯითებით თქვა ლილიმ, რომ პეტროვიჩი ძალზე გაოცებული დარჩა.

— შენ რა იცი, კეთილი კაცია?

— მაგას რა ცოდნა უნდა, ყველა ხედავს.

— გასაგებია! — მრავლისმეტყველად თქვა გამოსათვლელი საფეხურის უფროსმა და მერე კონკრეტულ საქმეზე გადავიდა, — ერთი, ბრძანება მოძიმზადე.

— მანუჩარ პეტროვიჩ, შალვასთანა პატიოსანი მუშაკი... — ისევ დაიწყო ლილიმ, მაგრამ უფროსმა გააფრთხილა, ჩემს ფუნქციებში ნუ ერევიო. ლილიმ არ დაუთმო.

— ბოდიში, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ!.. მზად ხარ? — ესე იგი, ბრძანების დასაბეჭდად თუ ხარ მზადო, შეეკითხა, და სხვა რა გზა იყო, ლილიმაც უპასუხა, მზად ვარო.

მანუჩარ შილაკაძემ კარნახი დაიწყო.

— ბრძანება ნომერი ორმოცდათექვსმეტი... ამა წლის 25 სექტემბრიდან...

— ამა წლის 25 სექტემბრიდან... — ლილი საგულდაგულოდ მოვლილ გრძელ თითებს დანჯღრეულ კლავიშებზე ეშხიანად უკაკუნებდა.

— შალვა გიორგის ძე ცისკარიძე...

— შალვა გიორგის ძე ცისკარიძე... — იმეორებდა ლილი, სოლო თვით შალვა ამ გამეორების დროს თავის კაბინეტში შედიოდა, სადაც კვლავ დომენტი ახობაძე იჯდა, ნერვები და ფიქრები ერთად აშლოდა და თავის უკმაყოფილებას ხმამაღლა გამოსთქვამდა.

— სად ჯანდაბაში დაიკარგა, ნეტავ, ეს ქალალდი!.. ყველაფერი არეულ-დარეულია ამ კაბინეტში, ძაღლი პატრონს ვერ იცნობს! მე მაგათ ვუჩვენებ, როგორ უნდა მუშაობა! ან წავალ აქედან, ან რკინის დისციპლინას დავამყარებ! — თქვა დომენტიმ და დაუმატა, — მაინც სად დაიკარგა ამდენ ხანს შალვა ცისკარიძე?!

შალვა არსად დაკარგულა, თავის მაგიდასთან იდგა, მაგრამ დომენტის ახლა თვალზე ლიბრი ჰქონდა გადაკრული და შალვას მაგივრად სპილო რომ შემოსულიყო, იმასაც ვერ შეამჩნევდა.

შალვას არაფერი უთქვამს, მაგიდას მიუჯდა და თავი ხელებში ჩარგო.

დომენტი კარგა ხანს იღრინებოდა. მერე, როგორც იქნა, ქალალდებიდან თავი აიღო და შალვას მიაჩერდა.

— სად ბრძანდებოდით ამდენ ხანს, ბატონო შალვა? — დომენტიმ „ო“

და „ბატონო“ ხაზგასმით წარმოთქვა.

— უფროსთან ვიყავი. — უთხრა შალვამ.

— დაგაპრიკაზეს? — (ესე იგი, ბრძანება თუ გაგიშანშალესო, ჰკითხა). შალვამ თავი დაუქნია, კი დამაპრიკაზესო.

— ხომ გეუბნებოდი! — ჩაბქირქილა დომენტიმ, — რაო, რა მინდაო?

— მე...

— შენ კი არა, იმან...

— მე...

— რა მე!.. — თქვი, კაცო, რა მოგივიდა!

— კი ვიტყვი, მაგრამ თვალში მერე როგორ შეგხედოთ?

შალვამ რაღაც უცნაური ლაპარაკი დაიწყო, დომენტის არ მოეწონა, სათვალე გაიკეთე და ისე შემხედეო, ურჩია.

— დამნაშავე ვარ და მაპატიეთ, ვარდენიჩ. — შეეხვეწა შალვა.

დომენტის ელდა ეცა.

— შენ რა, უფროსს ჩემი ნათქვამი მიუტანე?

— არ მიმიტანია, მაგრამ უარესი მოხდა.

— თქვი, მერე, სული ნუ ამომხადე!

— ჯერ წყალი დაისხით, გული გაიმაგრეთ.

დომენტის ხელი აუკანკალდა, თითქოს ჭიქაში წყალს კი არა, კონიაკს ასხამდა.

— ა, ბატონო, დავისხი წყალი... მითხარი ახლა, რა მოხდა.

— ის მოხდა, პატივცემულო ვარდენიჩ, რომ...

— მაგ „რომზე“ არ გაჩერდე, ბოლომდე თქვი, ნუ მომკალი!

სხვა გზა არ იყო, შალვა ცისკარიძეს ულმობელი სიმართლე უნდა ეთქვა.

— რაკი ასე ძალას მატანთ, გეტყვით... თქვენს მაგივრად დაპროგრამებისა და კოორდინაციის განყოფილების უფროსად მე დამნიშნეს...

— შენ დაგნიშნესო?! — დომენტის თავში თითქოს ცეცხლგამძლე აგური დაარტყეს, სასოწარკვეთილი სკამზე მიესვენა.

არანაკლებ სასოწარკვეთილმა შალვამ ჭიქაში დასხმული წყალი ჯერ თვითონ მოსვა, დანარჩენი კი თავის ყოფილ უფროსს აპკურა და ისევ ამქვეყნიური ცხოვრებისაკენ მიაბრუნა.

* * *

როგორც დაინახეთ, ძვირფასო მკითხველო, ერთ ჩვეულებრივ ორშაბათ დღეს ჩვენ იმდენი ამბის მოწმე გავხდით, რომ გამოსათვლელ სადგურს კი არა, მთელს ქალაქს სალაპარაკოდ ეყოფოდა. ხუმრობა ხომ არ იყო, დაგეგმვისა და კოორდინაციის განყოფილების უფროსი დომენტი ახობაძე დააქვეითეს და მის ადგილზე შალვა ცისკარიძე დანიშნეს! შალვასთვის

ვითომ ეს არ კმაროდა, სატრფიალო ლექსების წერა დაიწყო და გაუთხოვარ, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მდივან-მემანქანეს დაბადების დღეზე წითელ ვარდებთან ერთად მიართვა! ერთი სიტყვით, ჭორებს დახარბებულმა ქალებმა საქმე იშოვეს და პატარა დაწესებულების კედლებში დატრიალებულ უცნაურ ამბებს ათასნაირი კუდი გამოაბეს. ნუ დაგავიწყდებათ, ზინასა და მაკას იმ დღეს საქმე ისედაც ბევრი ჰქონდათ, რადგან იუბილარ ლილი კირვალიძეს სუფრის გაწყობაში ეხმარებოდნენ, მაგრამ, ამასთან ერთად, უკანასკნელ ცნობებსაც უყვებოდნენ: დომენტი ახობაძე აბრაგად გავარდაო, შეშინებული მანუჩარი კაბინეტში ჩაიკეტაო და ა. შ.

ამასობაში მაგიდა საჭმელ-სასმელებით დაიხატა. მდივან-მემანქანის პატერიალური შესაძლებლობის პირობაზე, არც ისე ურიგო სუფრა გამოიდა. რაც მთავარია, ღვინო და ყვავილები უხვად იყო. ყველაზე ლამაზ ლარნაკში შალვას წითელი ვარდები ანათებდა.

ზინა თავბერიძემ პატარა ჭიქებში კონიაკი დაასხა და ერთი სასმისი ძაკას ვადააწოდა.

— ამით დღევანდელ დღეს გაუმარჯოს!

მაკამ ჭიქა მიუჭახუნა.

— ლილის გაუმარჯოს მხურვალე გულითა და საუკეთესო სურვილებით!

იუბილარმა პადლობა გადაიხადა.

— გაგიმარჯოთ, მაგრამ სტუმრების მოსვლამდე ნუ დამითვრებით.

— სწორედ მანამდე უნდა დავთვრეთ, მაგათი სტუმრობა რა ვთქვი მე! — ძველი ყარაჩოღელივით დარდიმანდულად წარმოთქვა ზინამ. სხვათა შორის, ხმაც ცოტა დაბოხებული ჰქონდა, ოღონდ პაპიროსს არ ეწეოდა.

მაკამ კონიაკი დალია და ზინას თიოი დაუქნია.

— აბა, აბა, ყველას ნუ მილანძღავ!

— ყველას არა, ერთ კაცს გამოვტოვებ

— მაინც ვის?

ზინამ მეორე ჭიქაც ისე გადაჰკრა, წარბი არ შეუხრია.

— ლილი, ვერც შენ გამოიცანი?

ლილიმ, ვითომ, ვერ გავიგონეო, და კონტრშეკითხვა დაუსვა.

— ხომ კარგი ვარდებია, გოგოებო?

გოგოებს ახლა რამდენჯერ უნდა ეთქვათ, კარგიაო. უფრო კარგი ის იყო, ვარდები შალვა ციხკარიძემ რომ მიართვა იუბილარს.

ზინამ კედლიდან გიტარა ჩამოიღო და სიმები მომართა, ეს ვიტარა ლილის ბებიამ აჩუქა, სამახსოვროდ გქონდეს და შენს ქორწილში დაუკარიო, ბებია კარგა ხანია სხვა ქვეყანაში ცხოვრობდა. ლილის ქორწილამდე კი ჯერ შორს იყო, ზინა მხოლოდ მის დღეობაზე უკრავდა. ვაჟკაცური ბარიტონი ჰქონდა, ვერც სმენას დაუწუნებდით. სკოლაში მეჩონგურეთა ანსამბლში მღეროდა და მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადაზე ოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როს მედალიც დაიმსახურა. საერთოდ, მრავალფეროვანი რეპერტუარი ჰქონდა, ახლაც ერთი მივიწყებული სიმღერა გაიხსენა.

ჩემო ტკბილო მეგობარო,
შენი ნახვა მენატრება...

მაკამ თავისი კოლორატურული სოპრანოს მიშველიება მოინდომა, მაგრამ ზინამ ანიშნა, ხელს ნუ მიშლიო.

გეფიცები, ველარ გნახავ,
გულს მედება სინანული,
შენ ვარდები გიკრეფია,
მე კი შენი სიყვარული.

ცალკე კონიაკმა და ცალკე სიმღერამ მაკას გული აუჩქროლა და თვალზე ცრემლი აუკიაფდა. მუსიკას მაგიური ძალა აქვს. სიმღერა პირველი სიყვარულივით დაუვიწყარია, იგი ადამიანს ახალგაზრდობის ბედნიერ დღეებს აგონებს.

როგორც კი უკანასკნელი აკორდი შეწყდა, მაკამ ღრმად ამოიოხრა.

— იმღერე, იმღერე, ჩემო ზინა, რა გენაღვლება...

— მე კი არა, ლილის რა ენაღვლება, საქმე ამ გიტარასავით აქვს აწყობილი, ოღონდ დიმენტის რას უზამს, ის არ ვიცი, — ზინა წამოდგა, გიტარა მარცხენა ხელში დაიჭირა, მარჯვენათი კი მაგიდაზე ახლადშემოტანილი აჭარული ხაჭაპურის დიდი ნაჭერი აიღო (ტანის სილამაზისათვის მაინცდამაინც თავს არ იკლავდა) და მთლიანად მოკბიჩა, — ბედნიერი ქალი ხარ, ჩემო ლილი, ყოფილი უფროსი ხომ გადარიე, მაგრამ არც ახალს დააყარე კარგი დღე!.. აირჩიე, ვისი სული გსურს; დიმენტი — შენ... შალვა — შენ... მანუჩარ პეტროვიჩი — მაკას.

— მე შენ გეტყვი, ცუდი ვინმეა! — კვერი დაუკრა ლილიმ.

მაკას დიდი აღტაცება არ გამოუთქვამს, ცოლშვილიანი რომ არ იყოს, რაღაცას ვიფიქრებდიო.

— მჯავარია მინდომება, ოორემ... ცოლი!.. — ზინამ ისევ გიტარა აახჩიანა.

ლამაზო ქალო,
წაგართმევ ქმარსა...

ისევ ხაჭაპური მოკბიჩა, მადიანადაც ჭამდა და გოგოებსაც ელაპარაკებოდა.

— ჰყავდეს მაგ ქალს თავისი პეტროვიჩი, არ წავართმევ.

მე სხვა მიყვარს, რა ვუყო,
გაზაფხულის ბრალია...

— გიყვარს კი არა, ის არ გინდა! — ხელი ჩაიქნია მაკამ.

ეშხში შესული ზინა ახალ სიმღერას მღეროდა.

ცელქი, მოუსვენარი
ჩემს გულში შემოპარული,
ეს ხომ სიყვარულია,
შენზე ოცნება მალულად.

— დღეს, რაღაც, ძალიან ბევრს მღერი, ჩემო ზინა. — შენიშნა ლილიმ.

— სასიმღეროდ ვისა აქვს საქმე და ვინ მღერის, — თქვა მაკამ და შალვა ცისკარიძის ლექსი გაიხსენა, წაკითხვისთანავე ზეპირად იცოდა.

ჩემო კარგო ლილი,
მაგრად გართმევთ ხელს
და გულწრფელად მოგილოცავთ
დაბადების დღეს.

ლექსს ზინას ტაში და სიცილი მოჰყვა. რა ენაღვლებოდათ, შესანიშნავ ხასიათზე იყვნენ და კონიაკის ვარსკვლავებს ეთამაშებოდნენ, ოღონდ, დათრობამდე საქმე არ მისულა.

— შესვენება ხუთმეტი წუთი! — გამოაცხადა ზინამ და გიტარა ტახტზე მიაწვინა, — ლილი, ხომ არაფერი გამოგრჩენია?

— რაც მაქვს, ყველაფერი სუფრაზეა.

— არც შალიკოს დაპატიჟება დაგვიწყებია?

— რომ იცოდეთ, როგორ გაეხარდა, აუცილებლად მოვალო.

— მერე, დროზე მოვიდეს, რატომ გვალოდინებს?

მაკამ წყალი გადაუწურა.

— აბა, ნახავ, თუ მოვიდეს.

— ვითომ, რატომ არ უნდა მოვიდეს? — ეწყინა ლილის.

მაკამ აუხსნა:

— წვერსაც გაიპარსავს, ახალ ჰალსტუხსაც გაიკეთებს, მაგრამ სულ ბოლო მომენტში შერცხვება და ვადაიფიქრებს... რაც უნდა იყოს, ახალდანიშნული უფროსია... რომ დათვრეს და ცუდი რამე წამოცდეს?

— მაინც რა უნდა წამოცდეს?

— დომენტის რომ უთხრას, შენი დედა ვატირეო, სად მიხვალ მერე?

— შალვა და გინება, როგორ შეიძლება! — გულწრფელად გაიკვირვა ლილიმ.

— შეყვარებული კაცი რომ ღვინოს დალევს, დომენტი კი არა, ტანკი ვერ დაუდგება წინ.

რაც უნდა მწარე სიტყვა ეთქვა მაკას, მთვრალი და ისიც მოჩხუბარი შალვა ძნელი წარმოსადგენი იყო. ბოლოს, როგორც იქნა, მასზე ლაპარაკს მორჩნენ და დომენტის ჯერიც დადგა.

ზინამ ლილის უსაყვედურა.

— ჭკუა გაქვს ახლა შენ, მოხსნილი კაცი სუფრაზე მასუჩარსა და შა-

ლვას ვვერდით როგორ უნდა დაუსვა.

ლილის რა ბრალი მიუძღოდა, არც დომენტი იყო მისი მოხსნილი და არც შალვა მისი დანიშნული. ალბათ, ბედისწერა იყო, რომ ასეთი კომფლიქტური სიტუაციები სწორედ მისი დაბადების დღეს დაემთხვა და გარკვეული უხერხულობა გამოიწვია.

ამ ლაპარაკში ლილის სადარბაზოში ზარი აწკრიალდა. რამდენჯერმე გაბმულად კი არ დაურეკავთ, არამედ ერთხელ და მორიდებით. ზინა სიხარულით ცას ეწია, ბატონი შალვა მოვიდაო, მაგრამ როდესაც მაკამ კარი გააღო, ეს სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა: შალვას ნაცვლად მანუჩარ პეტროვიჩი მოსულიყო.

მაკამ სინანულით ხელი ჩაიქნია.

— ბედი არ გინდა, აბესალომის ძაგივრად მურმანი მოვიდა!

მანუჩარ შილაკაძეს მისი სიტყვები არ გაუგონია, ოთახში ნომენკლატურული მუშაკის ღირსებით შემოვიდა და იუბილარი საზეიმოდ გადაზინამ.

— ვილოცავთ, პატივცემულო ლილი, ბედნიერებას გისურვებთ, მალე ქორწილშიც ვყოფილიყავი თქვენი თამადა! (ვითომ, დღეობაზე თამადობა გარანტირებული ჰქონდა).

— გმადლობთ, პეტროვიჩ, რატომ შეწუხდით? — გაინაზა მასპინძელი. ძნელი სათქმელია, „შეწუხდით“ საჩუქრის გამო თქვა (ბროლის ვაზა იყო) თუ, საერთოდ, უფროსის მობრძანებასთან დაკავშირებით. ცხადია, კოცნა არ ჰქონდა მხედველობაში. მაინც, რა უცნაურადაა ცხოვრება აწყობილი: შეიძლება ქალი ძალიან მოგწონდეს, თვალში შეხედვას კი ვერ უბედავდე, მაგრამ როდესაც ახალი წელი ან დღეობა დადგება, კოცნე, რამდენიც გაგიხარდება, საყვედურის მაგიერ მადლობას გეტყვიან. ეს, რასაკვირველია, ზოგადი მსჯელობაა, თორემ კონკრეტულად მანუჩარის ამბორი სამსახურეობრივი მოვალეობის ფარგლებს არ გასცილებია, თუმცა ზინამ მაინც ღვარძლიანად ჩაილაპარაკა, უყურე შენ, ტუჩებში აკოცაო!

— ეს რომ დომენტის დაენახა... — გააგრძელა მაკამ.

ზინამ შეუსწორა.

— შალვას-თქო, დომენტი რა შუაშია!

ლილიმ საქმე მოიმიზეზა და სამზარეულოში გავიდა. მანუჩარ შილაკაძეს კი სხვა რა გზა ჰქონდა, ზინასა და მაკას არსებობა უნდა შეენიშნა.

— ოო, ჩვენი ჩიტუნებიც აქ ყოფილან! — ვითომ ძალიან გაეხარდა, ისეთი ალტაცებით წარმოთქვა.

— დიახ, მანუჩარ პეტროვიჩ, ედემის ბაღში მოფრინდით. — დაუმოწმა ზინამ.

პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმული იყო და პეტროვიჩმა მისი კოცნაც დააპირა.

— ჭიკ-ჭიკ! — ზინამ უფროსის ქაბაბივით ტუჩები აიცლინა და [illegible] დაუქნია.

პეტროვიჩი გაუბრაზდა, რას მეჭიკჭიკებიო! ზინამ აუხსნა, დღეს ჩემი კი არა, ლილას დღეობაა და თუ მაინც კოცნით ვერ გაძეხით, აგერ მაკა გელოდებათო.

მაკამ მხოლოდ ახალმანიკურწასმული თითები გაუწოდა.

— ინებეთ, ჩემი ხელი, პეტროვიჩ.

მანუჩარს აღარ უკოცნია, მხოლოდ მსუბუქად ჩამოართვა და სავარძელში ჩაეშვა.

ზინა მოპირდაპირე სავარძელში იჯდა, როგორც მოგახსენეთ, ასი გრამი კონიაკი უკვე დალეული ჰქონდა, მაგრამ უკონიაკოდაც მორცხვი არასოდეს ყოფილა.

— ჩვენი უფროსი დღეს შესანიშნავ ხასიათზეა... — დაიწყო ძან.

— ვითომ, რატომ უნდა ვიყო ცუდ ხასიათზე? — გაუკვირდა მანუჩარს.

— ბოდიში, შემეშალა... ცუდ ხასიათზე დღეს მარტო დომენტი იქნება.

— რა შუაშია, ახლა, დომენტი!

— მეცოდება, მეტი არაფერი. — შეიბრალა ზინამ.

— სამსახურის საქმეებს აქ ნუ გავარჩევთ! — მკაცრად თქვა მანუჩარმა, მაგრამ მერე შეარბილა, — ამ შესანიშნავ საღამოს სხვაც ბევრი სათქმელი გვაქვს.

— კარგი, ბატონო, მაშინ ფეხბურთზე ვილაპარაკოთ... თბილისის „დინამომ“ „არარატთან“ წააგო.

— ფეხბურთს ნუ გამაგონებთ!

ზინამ კეკლუცად გაულიმა.

— დომენტის ნუ გააგონებთ! ფეხბურთს ნუ გააგონებთ!.. მაშინ თქვენ ვითხარით რაიმე.

მანუჩარ პეტროვიჩი დარწმუნდა, ჩათრევას ჩაყოლა სჯობდა.

— სამოთხეში მგონია თავი, ამდენ ლამაზ ქალიშვილს ერთად რომ ვიყურებთ! — ისე აღტაცებით გაშალა ხელები, თითქოს სულ სამოთხეში იჯდა და ლამაზ ქალიშვილებთან დროსტარების მეტს არაფერს აკეთებდა.

ქებით ნასიამოვნებმა ზინამ თავისი მთავარი იარაღი — გიტარა მოიმარჯვა.

— კომპლიმენტისათვის ლამაზი ქალიშვილი თქვენ სიმღერას მოგიძღვნის, პეტროვიჩ!.. შესრულებული იქნება ძველი ქალაქური მელოდიები.

წინათ ჩემი ვარდი იყავ,
ახლა დარდი ხარ,
ახლოს აღარ მეკარები,
შორ-შორს დადიხარ...

მანუჩარ შილაკაძეს წიგნის კითხვა არ უყვარდა, თორემ ქეიფისა და

სამლერის ფასი შესანიშნავად იცოდა. ამიტომ იყო, სავარძლიდან წამოდგა და მადლობის ნიშნად მოწიწებით თავი დახარა, თუმცა ეს ჟესტი რომ არ გაეკეთებინა, ნამდვილად აჯობებდა, ზინამ მის გამარგლულ თმებს შეაჭლო თვალი და გულში ჩაილაპარაკა, ესეც დომენტი ახობაძესავით ჭვარიანი მელოტი ყოფილაო!

— ახლა მაინც ნება მომეცით ხელზე გეამბოროთ, — შეეხვეწა მანუჩარი.

— ნებას გაძლევთ! — დაეთანხმა ზინა და მაკას და ლილის ნიშნის მოგებით გადახედა.

მანუჩარ პეტროვიჩმა ზინას ფაფუკი მარჯვენა დაუკოცნა, წელან რომ ჯიტარის სიმებს აკვნესებდა, და გულწრფელად აღიარა, უქალოდ კაცის სიცოცხლე წარმოუდგენელიაო.

ზინა შალვას მოტანილი ვარდივით გაიფურჩქნა:

ჩრდილში დარჩენილ მაკას ყურადღების მისაქცევად რაიმე ინიციატივა უნდა გამოეჩინა. იმის გარდა ვერაფერი მოახერხა, რომ ლილის შეახსენა, რაღას უცდი, დავიწყოთ დღეობა, ხომ ხედავ, შალვა აღარ მოდისო.

— არც დომენტი მოდის. — თქვა ზინამ.

მანუჩარს ძალიან გაუკვირდა.

— დომენტი უნდა მოვიდეს?

— აბა, ერთი რამე კაბედოს! — დაამშვიდა ზინამ.

— რა უნდა გაბედოს?

— არაფერი ისეთი... ღვინის სმა ვაზებით იცის.

პეტროვიჩმა შვებით ამოისუნთქა.

— მეც რაღაცა მეგონა!

ზინა არ დეთანხმა და საკუთარი შეხედულება დაწვრილებით ჩამოუყალიბა.

— ვაზებით ღვინის სმას თქვენ ნუ ეხუმრებით... ასეთ დროს სუფრიდან არ უნდა გაიპაროთ, რადგან ვაჟკაცები ბრძოლის ველს არასოდეს ტოვებენ... სუფრაც ხომ ომია, დიდი ომი! ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება ამ ომში... ზოგს ანადგურებენ, ზოგს კიდევ... აწინაურებენ... მაგრამ ყველაზე უფრო იმან იკითხოს, ვინც ღვინის მაგივრად სიყვარულის ნექტარს დაეწაფება!

მანუჩარი და ლილი სულგანაბული უსმენდნენ ზინას, მხოლოდ მაკა ვერ ისვენებდა.

— ე, გოგო, დაგვსვი სუფრასთან, შიმშილით ფეხზე ველარ ვდგავარ!

— სანამ დავსხდებოდეთ, ლიმონათები გამომატანინეთ სამზარეულოდან. -- სთხოვა ლილიმ.

მანუჩარმა თავი გამოიდვა, მე გამოგატანინებთო, მაგრამ იუბილარმა შორს დაიჭირა.

— როგორ გეკადრებათ, მანუჩარ პეტროვიჩ! ზინა და მაკა მომეხმარებიან, თქვენ მანამდე გაზეთები გადაათვალიერეთ, არ მოიწყინოთ.

ქალიშვილები სასტუმროში გავიდნენ, მანუჩარმა გაზეთი ვაშალა და მეოთხე გვერდზე სამგლოვიარო განცხადებების კითხვას შეუდგა. იმ კვირას სამ ტირილში იყო წასასვლელი.

ზინა, მაკა და ლილი თან საქმიანობდნენ და თან ერთმანეთში საუბრობდნენ. მანუჩარ შილაკაძეს კარნახში ყური სკოლის მერხიდან ჰქონდა გავარჯიშებული და ამიტომ მის მახვილ სმენას ერთი სიტყვაც არ გამორჩენია.

— ლილი, იცოდე, პეტროვიჩი ჩემს გვერდით უნდა დასვა. — გააფრთხილა დიასახლისი ზინამ.

— არაფერი შეგეშალოს, პეტროვიჩის გვერდით მე უნდა ვიჯდე! — განაცხადა მაკამ.

ზინამ ვაზიდან ლოყაწითელა ვაშლი ამოიღო და მანუჩარს მიუტანა.

— ეს განხეთქილების ვაშლი გამომართვით, პეტროვიჩ, და გადაწყვიტეთ სამართალი, ვინ გირჩევნიათ: მე თუ მაკა? — განხეთქილებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ძვირი ვაშლი კი იყო, ბაზარში სამი მანეთი ღირდა.

მანუჩარ შილაკაძე მითოლოგიაში მაინცდამაინც ვერ ერკვეოდა, მაგრამ, როგორც პრაქტიკოსმა, გამოსავალი მაინც ნახა, არც ერთს გაწყენინებთ და არც მეორეს, თქვენს შუაში ჩავჯდებიო.

— ბრძენი ხართ, პეტროვიჩ, სოლომონ ბრძენი! — შეაქო ზინამ.

— თქვენ კი სულ სხვანაირი ყოფილხართ, ვიდრე სამსახურში. — უთხრა მანუჩარმა.

ზინამ მოძხიბვლელად გაუღიმა.

— როგორ სხვანაირი?

— აი, სამსახურში უფრო მორიდებული გამოიყურებით.

— აკი, სამსახურის ამბებს შევეშვათო?

— თუ ქალი ხარ, მე შემეშვი და მეტს არაფერს გთხოვ! — ხმა ვაიმკაცრა მანუჩარმა, სტუმარი კი ერქვა, მაგრამ მაინც უფროსი იყო.

ქალიშვილებმა პირში წყალი დაიგუბეს. მანუჩარ შილაკაძემ კი ადგილობრივი გაზეთის მესამე გვერდზე დაბეჭდილ სტატიას რომ თვალი გადაავლო, ღიმილი ვერ შეიკავა, არა, ეს იუმორისტული ნაწარმოები არ ყოფილა, სტატიას ფრიად სერიოზული სათაური ჰქონდა — „ბრძოლა გამოვუცხადოთ ლოთობას“, მისი ავტორი წინა შაბათს ორმოცზე თამადა იყო და მანუჩარ შილაკაძეს წვეთი ღვინო არ შეარჩინა.

როგორც კი უფროსს ხასიათი გამოუკეთდა, ზინას ადრინდელი სითამამე დაუბრუნდა.

— რას იტყვით, პეტროვიჩ, ხომ შესანიშნავი იუბილარი გვყავს? — ხელ-ლით ანიშნა სუფრასთან ფუტკარივით მოფუსფუსე ლილიზე.

— ლილი ჩვენი დაწესებულების თვალია! — დაეთანხმა მანუჩარი. ცოტა არ იყოს, თვითონაც გაუკვირდა, ასეთი ხატოვანი პასუხი უცებ როგორ მოვახერხეო.

— პეტროვიჩ, შეიძლება, თქვენს ნათქვამს ერთი სიტყვა დავუმატო? — ჰკითხა მაკამ.

— დაუმატეთ.

— თვალი პატიოსანი!

მანუჩარმა თავი დაუქნია.

— დიახ, პატიოსანი და კეთილსინდისიერი მუშაკი, რომელიც...

სიტყვა ზარმა შეაწყვეტინა. მანუჩარი რატომღაც უხერხულად შეიშ-ძუშნა.

ზინამ უფროსს თვალი აარიდა.

— ახლა თუ დიმენტი მოვიდა...

— დიმენტი მოვიდაო?

— თუ მოვიდა-მეთქი.

დიასახლისმა კარი გააღო და სტუმარი ხმამაღლა მიიპატიჟა.

— მობრძანდით, ბატონო შალვა, ძალზე გამახარეთ!

გახარება ზინასი უნდა გენახათ.

— შალვა ყოფილა, მადლობა ღმერთს! — ახალმოსულისათვის კოცნით არ უკოცნია, მაგრამ ხელი ჩამოართვა დიდი მგზნებარებით, — რატომ გვალოდინეთ, ბატონო შალვა? დიასახლისმა უთქვენოდ სუფრას არ მიგვაკარა.

შალვა ცისკარიძეს ახალგაწმენდილი ზოლიანი პიჯაკი ეცვა, აღელვებისაგან გულის ჯიბეს ისე აწვალებდა, თითქოს შიგ წითელი თუმნიანებით გატენილი საფულე ედო და ამოღებას ვერ ახერხებდა.

— დიდ ბოდიშს გიხდით, ბატონებო, გთხოვთ მაპატიოთ!

ზინა მაინც არ მოეშვა.

— მე, პირადად, მხოლოდ ერთი პირობით გაპატიებთ.

— ბრძანეთ.

— სუფრაზე ჩემს გვერდით დაჯდებით და მომემსახურებით.

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერი!

— აკი მანუჩარ პეტროვიჩის გვერდით გინდოდა დაჯდომა? — ჰკითხა მაკამ.

— მანუჩარი შენ, შალვა მე!

— ლილის რომ ეწყინოს?

— ლილის კიდევ — დიმენტი... ვითომ რატომ უნდა ეწყინოს? ძალზე კეთილი გული აქვს... თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო შალვა?

ბატონი შალვა არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა.

— სიკეთე ბუნების დიდი საჩუქარია... სიკეთე პლანეტის მამოძრავებელი ძალაა... მეტად ხანმოკლეა ჩვენი სიცოცხლე, მაგრამ მას სიკეთე ახანგრძლივებს.

სიკეთეზე შალვა ცისკარიძეს დილამდე შეეძლო ელაპარაკა, მაგრამ მაკამ სიტყვა შეაწყვეტინა.

— ჩემი აზრით, სიკეთესთან ერთად ლილის სილამაზეც ამშვენებს.

— რასაკვირველია. — დაეთანხმა შალვა.

— აბა, ისიც რასაკვირველია, იუბილარს დღეს ლექსებს წაუკითხავთ...

კიდევ კარგი, ლილი გასული იყო და არაფერი გაუგონია. ნეტავ არც შალვას გაეგონა, თურაშაულივით გაუხდა ლოყები.

— არაფერი მესმის, რა ლექსზე ლაპარაკობთ? — როგორც იქნა, მოახერხა ამ სიტყვების წარმოთქმა.

მაკას თვალებში ჭინკები ცეკვავდნენ.

— აი, ის... ლეესი კი არა, იგავ-არაკი.

დათვმა ლხინი გადიხადა,
მოიწვია მეზობლები,
გარეშენიც ბევრი ჰყავდა,
ტურა, მელა, კატა, მგლები.
მელაკუდამ ტაში დაჰკრა...

ტაში მანუჩარ პეტროვიჩმა დაჰკრა, რა იგავი, რის იგავიო! ტყემალზე იჯდა, მაგრამ კუჭმა შეაწუხა და თავი იმიტომ გამოიდო.

— რა ვქნათ ახლა, დღეობის მაგიერ პოეზიის საღამო ჩავატაროთ?— იკითხა მან.

— განა დანაშაულია, ბატონი შალვა რომ ლექსებს წერს? — მორიდებით შენიშნა მაკა ფუტკარაძემ.

მელექსე ხალხზე მანუჩარ პეტროვიჩს უარყოფითი შეხედულება ჰქონდა. ამიტომ თავისი გაოცება საკმაოდ ემოციურად გამოხატა.

— ლექსებს წერსო?! თუ გიყვარვართ, ასეთ ხუმრობას თავი დაანებეთ!

მანუჩარ შილაკაძე მაკას კი არა, საკუთარ მეუღლეს არ უყვარდა, მაგრამ ახლა ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. არსებითი ის იყო, რომ შალვამ უყოყმანოდ დაუდასტურა, პოეზია ბავშვობიდან მიტაცებს და ახლაც ხანდახან თავს ვიქცევო. რასაკვირველია, შეეძლო ყველაფერი ხუმრობაში ჩაეტარებინა, ლექსის კი არა, მოხსენებითი ბარათის დაწერა არ მეხერხებაო, მაგრამ მაკა და ზინა საშველს არ მისცემდნენ, აბა, ლილის დღეობის გალექსვა როგორ მოახერხეო! ლილიზე შალვას ცოტა უკეთესი წარმოგენა ჰქონდა, თუმცა ყველაფერი მის ახალგაზრდულ გამოუცდელობას დააბრალა და გულწრფელად აპატია.

რაც შეეხება მანუჩარ შილაკაძეს, პატიებისაგან ივი ძალიან შორს იყო, ახალდანიშნული გასყოფილების უფროსი ყველას თანდასწრებით გააფრთხილა, ლექსების საწერად შენ აღარ გცალია, დიდად პასუხსაგები პოსტი ჩაგაბარეო!

შალვამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, მაგრამ მაინც შენიშნა, პოეზია შრომის ნაყოფიერების გადიდების უებარი საშუალებაა. ამაზე, ცხადია, პეტროვიჩი არ დაეთანხმა. ვინ იცის, კამათი სანამდე გაგრძელდებოდა, ზარს გაბმულად რომ არ დაერეკა. იმ წამსვე უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ბოლოს ზინამ დაარღვია.

— ყველა ყველა და დომენტიც მოვიდა!

— რაღა დროს მოსვლაა! — გაჯავრდა მანუჩარი. ხასიათი ისედაც გაფუჭებული ჰქონდა, მაგრამ წინ უარესი პერსპექტივები ესახებოდა.

მაკამ პეტროვიჩს თანაგრძნობით შეხედა.

— ისე, სჯობდა, სულ არ მოსულიყო!

— უკან ხომ არ გავაბრუნებთ? — შეწუხდა შალვა, — ვაპატიოთ დაგვიანება.

კარი, რასაკვირველია, ლილიმ გაუღო. დომენტი შემოვიდა და ოთახში სპირტის სუნი შემოიტანა. ტონუსის აწევა უკვე მოესწრო. პროვინციელი მსახიობივით თვალებს აბრიალებდა და ხელებს წარამარა იქნევდა.

— აქა მშვიდობა და ბედნიერება! — შემოსვლისთანავე რიხიანად დაიძახა. კოსტიუმი მართლაც ახალშეკერილი ეცვა, ოღონდ რაღაცას წამოსდებოდა და თეთრი ლაქებით აეჭრელებინა.

ოთახში უხერხული დუმილი ჩამოვარდა.

— სალამი, ჩემო ძვირფასო კოლეგებო! — დომენტიმ თავი ძძიმედ დახარა. (კიდევ კარგი, პატარა თავი ჰქონდა, თორემ გადაწონიდა და ახალგაპრიალებულ მუხის პარკეტზე გაიშხლართებოდა).

— სალამ, სალამ! — ცივად უთხრა მაკამ, ზინამ კი მეტი გულითადობა გამოიჩინა, დომენტის გაუმარჯოსო, აღტაცებულმა დაიძახა და მანუჩარ შილაკაძეს მიუბრუნდა, — ალავერდი თქვენთან ვარ, პეტროვიჩ!

დომენტიმ მხოლოდ ახლა შენიშნა წიგნის კარადას ამოფარებული მანუჩარი (ვითომ, დოსტოევსკის ტომებს ათვალიერებდა) და მჭახედ იყვირა.

— მანუჩარ პეტროვიჩიც აქ არ ყოფილა!.. როგორ მინდოდა თქვენი ნახვა, ძვირფასო პეტროვიჩ!

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმეორება

ვიღაც მეძახის ბნელ სიჩუმიდან,
საცაა ზეცა ჩამორეკს ზარებს
და წარმართული ჩემი სულიდან
ამოდის ძველი ღვთაება მთვარე.
მე მახსოვს სულის გლოვა და ზარი,
მახვილს მიყრიდნენ წყნარსა და მორჩილს,
მტვერში გასვრილი ვიწექ მხევალი
და ვგრძნობდი გემოს საკუთარ ხორცის.
ირგვლივ როკავდა სამყარო მთელი,
ცაზე ბრწყინავდა კერპი და მნათი
და იყო ქართლი დიდი და ცხელი,
წითელი, როგორც სიტყვა „წარმართი“.
მერე კი კერპებს ვიღაც უვლიდა,
ჩემი სისხლისგან უგონოდ მთვრალებს,
დღეს წარმართული ჩემი სულიდან,
ამოდის ძველი ღვთაება მთვარე!

ლ ე ქ ს ი

ცა უკვე აღარ მოთქვამს და ტირის,
უკრავენ მზეზე ვნების დაირას,
შენ საყვარელი მეუღლის ღიმილს
თუ გადასწონი რამენაირად.
თუ დამიბრუნებ ქალწულ ღამეებს
შეუცნობლობის სურვილით მთვრალი,
თუ კიდევ ერთხელ შემიყვარებენ
უფლისწულები მზისა და მთვარის.
თუ დამიბრუნებ დაკარგულ შორეთს,
სისხლს წამართმევ და არაფერს მაცლი
და მომავალი დედობის თრთოლვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოუ დამავიწყებ შენეულ განცდით.
და სასწაულით მწირსა და მორჩილს
ოუ ვამიჟღენთავ ცრემლსა და ოხვრას,
ალალი იყოს სისხლი და ხორცი!
მაშინ კი უკვე ნამდვილად მოხვალ.

იქნებ დავბრუნდე

იქიდან მოველ, სადაც ყველას სახელი ჰქონდა,
ვნაღლობ და ნაცნობ ქალაქებს ვეძებ,
მე მეშინია და ამიტომ საოცარ ფუნჯებს
გაზაფხულივით ვალაგებ მზეზე.
ამოხეული ფურცელივით უნდა დავაკლდე
დიდ წიგნს, რომელიც არასოდეს დაიწერება,
ვიცი დაკარგულ ცას და ქალაქებს
ემახსოვრებათ ჩემი მშვენება.
შეხება მაინც ტკიოდათ ძლიერ,
ჩემს შიშველ ტერფებს — სისხლისფერ ნოტებს,
ორ სინათლეში გამომწყვდეული
თვალაუხელელ ლეკვივით თრთოდნენ.
იქიდან მოველ, სადაც ყველას სახელი ჰქონდა,
ჩემს ქალაქს ვეძებ და ვალაგებ საოცარ ფუნჯებს.
წინ ბილიკი ჩანს, კიდევ მზეზე ნაგები ოდა,
ვიველი და იქნებ სახლში დავბრუნდე.

დავით ნაცვალაძე

საქართველო გეორგიევსკის ტრაქტატის ეპოქაში

1752 წელს, იმერეთის სამეფო ტახტი დაიჭირა ალექსანდრე V უფროსმა ვაჟმა ჩვიდმეტი წლის სოლომონმა, რომლის გამეფების დღიდან იმერეთის სამეფოს საგარეო და საშინაო მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. იმერეთის სამეფო, ფეოდალური დაქუცმაცების გამო, გათიშული, შეუკავშირებელი და გაღარიბებული ქვეყანა იყო. ეს გათიშვა დაიწყო XVI საუკუნიდან, როცა სამეგრელოსა და გურიის სამთავროებმა მოიპოვეს დამოუკიდებელი პოლიტიკური მმართველობის უფლება. იმერეთის მეფე აღიარებდა სამთავროების დამოუკიდებლობას, მაგრამ იურიდიულად კი მთავრებს თავის ვასალებად თვლიდა. XVII საუკუნის დასაწყისიდან ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა აფხაზეთიც. ეს მოხდა იმ დროს, როცა აფხაზეთში დაწინაურდა შერვაშიძეების ფეოდალთა სახლი, მათ შეძლეს აფხაზ ფეოდალთა შეკავშირება და აფხაზეთის ოდიშის სამთავროდან გამოყოფა. აფხაზეთს ჩრდილო-დასავლეთით საზღვრავდა ჯიქეთი (ანძაველნი), რომელიც ადრე საქართველოს ეკუთვნოდა, ხოლო XVII ს. 80-იან წლებში იგი ოსმალეთმა მიიტაცა. ამ პერიოდში ოსმალეთს აფხაზეთის ტერიტორიიდან დაპყრობილი ჰქონდა ზღვის სანაპიროები: ბიჭვინთა, ზუდე, სოხუმი, დრანდა, და მოქვი. სამეგრელოს სამთავროდან კი ილორი და ანაკლია. ოსმალთა ხელში იყო ქალაქი ფოთიც. ყველა ეს ადგილები წარმოადგენდა ქართველ, „ტყვეთა სყიდვის“ ბაზრებს და ოსმალთა ციხე სიმაგრეებს. სამეფოს საზღვრებზე რომ ასეთი მდგომარეობა იყო, ქუთაისის, ბაღდადის, შორაპნის და ცუცხვათის ციხეებში იდგნენ ოსმალთა მეციხოვნეები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ ქართველ მოსახლეობას.

ოსმალეთის იმპერია, რომელიც ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის ემზადებოდა, დამორჩილებული ქვეყნებიდან აურაცხელ ხარკს მოითხოვდა. ამ განუსაზღვრელი „საოსმალო გადასახადით“ სამეფო ხაზინა მთლად დაცარიელდა. მეფემ ხელი მიჰყო საეკლესიო ქონებასაც, მაგრამ გაუმაძღარმა დამპყრობლებმა ესეც არ იკმარეს და გადასახადების საფასურს ტყვეების წაყვანით ინაზღაურებდნენ. ამ საშინელ საქმეს იმერეთში ისეთი მასიური ხასიათი მიეცა, რომ მთელი დასავლეთ საქართველოს სოფლები ადამიანთაგან გაუკაცრიელდა და მწარმოებელი ყმაგლეხი აღარ დარჩა.

გაგრძელება. იხ. „ჭოროხი“ № 4.

ამას ემატებოდა სამეფო ტახტისათვის ხანგრძლივი ბრძოლა. ახალგაზრდა სოლომონს ტახტს ეცილებოდნენ ბიძები — მამუკა და გიორგი ბატონიშვილები. მეფის წინააღმდეგ გამოვიდნენ გურიის მთავარი მამია IV გურიელი, სამეგრელოს მთავარი ოტია და მისი შვილი კაცია დადიანი, რაჭის ერისთავი როსტომი, სოლომონის ბაბუა (დედის მხრიდან) არგვეთის მებატონე ლევან აბაშიძე და თვით მეფის დედა თამარი. სოლომონის მოწინააღმდეგეებს ემატებოდა როსტომ ერისთავის ძმა აფხაზ-იმერთა კათალიკოსი ბესარიონი.

რაჭის ერისთავს ჰქონდა ძლიერი გამაგრებული ადგილები. ამბროლაურში — კოშკები და სასახლე, სოფ. ბარაკონში — ციხე და სასახლე, ონში — ციხე, სასახლე და პატარა ქალაქი. ყველგან, სევას ციხის ჩათვლით, ლაშქარი ჰყავდა ჩაყენებული.

მეფის წინააღმდეგ მოწყობილმა შეთქმულებამ გაიმარჯვა. სოლომონი ტახტიდან ჩამოაგდეს. მეფე ახალციხეში გაიქცა და ახალციხის ფაშის დახმარებით ტახტის დაბრუნება შეძლო. სოლომონმა ყველა მოწინააღმდეგე დასაჯა. საკუთარი დედა და ბაბუაც არ დაინდო. შემდეგ გურიაში ილაშქრა. მოწინააღმდეგე მამაა IV სამთავროს ტახტიდან ჩამოაგდო და მთავრად დანიშნა მისი ძმა გიორგი V გურიელი. მაგრამ მალე სოლომონ I გურიის სამთავროს ტახტი ისევ მამია IV გურიელს დაუბრუნა, რადგან დარწმუნდა, რომ გიორგი გურიელი ახალციხისა და ტრაპიზონის ფაშების გავლენის ქვეშ იყო. მამია მეოთხემ, როგორც იმერეთის სამეფოს სიძემ, დანაშაული აღიარა და მეფის ერთგული გახდა. მართალია, სოლომონ I მოწინააღმდეგენი დაამარცხა, მაგრამ მას ძალები არ ეყო ძმების როსტომ ერისთავის და კათალიკოსის — ბესარიონის დასასჯელად. ქვეყნის მოღალატე რაჭის ერისთავი იმერეთის რამდენიმე სოფელსაც დაეპატრონა და ჩრდილოეთიდან სამეფოს საშიშ მოწინააღმდეგედ იქცა. როსტომის დასამორჩილებლად საჭირო იყო მხარდაჭერის გამოძებნა. ასეთი იყო სამეგრელოს მთავარი ოტია დადიანი. სოლომონი, ერთგული მრჩევლების ჩაგონებით, გასცილდა საყვარელ მეუღლეს თინათინ შერვაშიძის ქალს და ცოლად შეირთო ოტია დადიანის ასული მარიამი. ამით მან სამეგრელოს სამთავრო შემოიმტკიცა.

სოლომონ I ძალაუფლება თანდათან ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა. საჭირო შემთხვევაში იგი ქართლის მეფეს — თეიმურაზ მეორეს (ერეკლე II მამას) ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებასაც კი უწევდა. მაგრამ ოსმალეთის ძლიერი იმპერიის წინააღმდეგ გამოსვლას იგი ჯერ კიდევ ვერ ბედავდა. ანტიოსმალური ზრახვები სოლომონმა ყველაზე მკვეთრად მაშინ გამოავლინა, როცა სასტიკად აკრძალა „ტყვეების სყიდვა". ეს უკვე აშკარად ნიშნავდა მეფის ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსვლას.

ნიჭიერმა სოლომონ I ოსტატურად გამოიყენა დასავლეთ საქართველოში ფეოდალთა შორის არსებული შუღლი და აუტანლობა, შემოიკრიბა მომხრე ფეოდალები: აგიაშვილები, წულუკიძენი, წერეთლები და სხვები, რომელთა მხარდაჭერით გლეხთა დიდი ნაწილი სამეფო გადასახადებისაგან გაათავისუფლა, „საური" და „საუდიერო" გადასახადები ზუსტად განსაზღვრა და ამით ხელი შეუწყო ტყეში გახიზნული გლეხობის ბარში დაბრუნებას.

ასეთი ღონისძიებების გატარებით გლეხობა სოლომონ I მხარეზე დადგა. მეფე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქართული მიწებიდან — ბათუმისა და ჩაქვის მიდამოებიდან ლტოლვილი ქართველების დასახლებასა და ხელშეწყობას.

შესანიშნავი მებრძოლი და გამჭრიახი მეფე კარგად ხედავდა იმას, რომ გლეხობის ინტერესების დაცვა გაანაწყენებდა ფეოდალებს, რომლებიც ფარულად

უკავშირდებოდნენ ციხეებში გამაგრებულ ოსმალო და ქართველ მაჰმადიან მეცხოვნეებს, რომლებთან ისინი ქართველი გოგო-ბიჭებით ვაჭრობდნენ. სოლომონი კი ქართველ ფეოდალებს შემოსავლის ძირითად წყაროს ართმევდა.

როგორც ვხედავთ, სოლომონ I წინააღმდეგობა ელოდა როგორც ოსმალეთის იმპერიის მხრიდან, აგრეთვე ხელქვეითი ფეოდალებიდან. მაგრამ ვიდრე ამ წინააღმდეგობას შევეხებოდეთ, საჭიროა, ვიცოდეთ რას წარმოადგენდა დასავლეთ საქართველო იმ დროს ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

ისტორიულად ცნობილია, რომ ძირითადი მარცვლეული კულტურა მე-18 საუკუნის მიწურულამდე იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და აფხაზეთში იყო ღომი, პურეული ცოტა ითესებოდა, რადგან მცირე მოსავალს იძლეოდა. შემდეგ მარცვლეული კულტურებიდან გაბატონდა ამერიკიდან შემოტანილი სიმინდი, რომელიც მოსავლიანობით ღომს ჩამორჩებოდა, მაგრამ მისი მოყვანა ნაკლებ შრომას მოითხოვდა. აღნიშნული კულტურის გარდა, დასავლეთ საქართველოში მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა: მესაქონლეობა, მევენახეობა, მელორეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა. ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავდათ სელი, ბამბა, კანაფი და 1770 წლიდან — თამბაქოც.

სამეფოში განვითარებული იყო შინამრეწველობა და ხელოსნობა. უფრო ვითარდებოდა მრეწველობის ის დარგი, რომელიც მიწათმოქმედებას უკავშირდებოდა. ასეთი იყო: რკინის, ტყვიისა და სპილენძის გამოდნობა. კარგად იყო განვითარებული თოფისწამლის დამზადების და საფეიქრო საქმე.

გლეხი დასახლებული იყო ფეოდალური სამფლობელოს მიწაზე და ამას „საკომლო“ ეწოდებოდა. მთიანი მხარის მოსახლეობა, მიწის სიმცირის გამო, ქირაზე წასვლას მისდევდა. ძალიან ჩამორჩენილი იყო კერძო საბატონო მეურნეობა. დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობა, ქართლ-კახეთის ფეოდალებთან შედარებით, უფრო მცირემამულიანი იყო.

ვაჭრობის საქმეში გავრცელებული იყო საქონლის გაცვლა ბარისა და მთის მცხოვრებლებს შორის, რომელიც ძირითადად ქალაქობაზე (ბაზრობაზე) ხდებოდა. იგი იმართებოდა პარასკეობით, რაც გამოწვეული იყო რელიგიური მოსაზრებით. პარასკევს მიწაზე ბარის დაკვრა ცოდვად ითვლებოდა. ამავე დროს, ქრისტიანული პარასკევი მაჰმადიანთა უქმ (ჯუმა) დღეს ემთხვეოდა და ეს ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას. დასავლეთ საქართველოში სავაჭრო-ქალაქები და პუნქტები იყო ქუთაისი, ხონი, შარაპანი, მური, სენაკი, ლაილაში, ონი, საჩხერე, ტყაჩირი, დვაბზუ, ზუგდიდი, ნოღალევი, ორპირი, ჩხარი, კელასური, ილორი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, სუჯუნა, ჯუმათი და ვანისქედი, ოსმალთა ხელში მოქცევამდე: — ბათუმი, ფოთი, სოხუმი, ანაკლია, გრიგოლეთი და შეკვეთილი. ბაზარზე საქონელი გამოჰქონდა მოსახლეობის ყველა ფენას. ვაჭრობის განვითარებას ხელს უშლიდა სამთავროებში არსებული საბაჟო სისტემა. სასაქონლო მიმოქცევაში გაბატონებული იყო ოსმალური ფული და რუსული მონეტა, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის 70-იანი წლებიდან უფრო გავრცელდა.

იმერეთის სამეფოს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთთან, აღმოსავლეთ ევროპასთან და ირანის სახანოებთან. ასეთი იყო გაღარიბებული იმერეთის სამეფოს ეკონომიკური საფუძველი. ოსმალთა ხშირი შემოსევების შედეგად, გურია-სამეგრელოში მთელი სავარგული მიწები დაუმუშავებელი იყო. მეგრელი მოსახლეობა ზუგდიდის მახლობლად იხიზნებოდა და წლის მოსავალს რუხის ციხეში ინახავდა.

სოლომონ I მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა აღაშფოთა ოსმალეთის სულთანი, რომელმაც გადაწყვიტა სოლომონის სიკვდილი და იმერეთის სამეფოს

მთლიანად დაპყრობა. სოლომონ I გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. მეფემ დახმარებისათვის მიმართა დადიანსა და გურიელს. სოლომონ I იცოდა, რომ გადამწყვეტ ბრძოლაში ბაბუამისი ლევან აბაშიძე და რაჭის ერისთავი როსტომი სამშობლოს ინტერესების წინააღმდეგ გამოვიდოდნენ.

ნიჭიერმა სარდალმა სოლომონ I წინასწარ ჩაკეტა ფოთიდან, ახალციხიდან და გურიიდან მომავალი გზები, საიდანაც მოსალოდნელი იყო ოსმალეთის ჯარების შემოსვლა. ოსმალებმა იმერეთის დასაპყრობად ახალციხის საფაშოდან და ანატოლიიდან დიდძალი ჯარი შეაგროვეს. მათ ჯარს სარდლობდნენ სერასკერი და ახალციხის ფაშა. სოლომონ I სარდლობით 1757 წლის 14 დეკემბერს გამართულ ხრესილის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვება ერთ-ერთი სახელოვანი ფურცელია ჩვენი ერის გმირულ ისტორიაში. ამ ბრძოლაში ოსმალთა მხარეზე იბრძოდნენ სამშობლოს მოღალატენი რაჭის ერისთავი როსტომი და არგვეთის მებატონე, სოლომონ I ბაბუა ლევან აბაშიძე, რომლებსაც რაზმები ჰყავდათ შედგენილი მოღალატე ქართველებისაგან და ოსმალთა ძალებით მეფის ტახტიდან ჩამოგდებას ფიქრობდნენ. დიახ, ქვეყანაში იყო ისეთი დრო, როცა გამყიდველნი ბაბუა და ერისთავები ებრძოდნენ ხალხის სახელოვან შვილს, რომლის უბადლო სამხედრო ნიჭმა და ვაჟკაცობამ ოსმალთა მძიმე უღლისაგან იხსნა ქვეყანა. 22 წლის სოლომონ I თავისი ხმლით მოჰკლა ოსმალეთის ჯარების მთავარსარდალი. ხრესილის ბრძოლაში გმირულად იბრძოდნენ სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის მთავრებიც. გურიის მთავარმა მამია IV გურიელმა ხელჩართული ბრძოლით გაარღვია მტრის გარემოცვა, იხსნა სამეფო დროშა და მეფეს ჩააბარა. აფხაზეთ-სამურზაყანოს მოლაშქრეთა მეთაურმა ქელეშ-ბეგ შერვაშიძემ, რომელიც ბრძოლაში ვაჟცაცურად დაეცა, ხმლით 16 ოსმალო აჰკუწა. ხრესილის ბრძოლაში მოჰკლეს სამშობლოს მოღალატე ლევან აბაშიძე, რომლის ერთგული კაცები ოსმალეთში გაიქცნენ. რაც შეეხება როსტომ ერისთავს, რომლის ლაშქრის უმეტესი ნაწილი სოლომონ I მხარეზე გადმოვიდა, იგი რაჭაში, ბარაკონს, თავის ციხეში ჩაიკეტა და ცოცხალი გადარჩა.

ხრესილის გმირის სოლომონ I მეთაურობით ქართველმა ხალხმა იმერეთის ციხეები დაპყრობილი ოსმალებისაგან გაწმინდა და ქვეყანამ ცოტა ხნით თავისუფლად ამოისუნთქა.

მეტად მძიმე აღმოჩნდა ოსმალეთისათვის ხრესილში დამარცხება. სულთანის ბრძანებით, ახალციხის ფაშას ქებაიას თავი მოჰკვეთეს. ახალდანიშნულ ხასან ფაშას დაევალა იმერეთის დარბევა და სოლომონ I ხელში ჩაგდება.

შორსმჭვრეტელმა და მოქნილი პოლიტიკის გამტარებელმა სოლომონ I იცოდა, რომ ოსმალეთის იმპერია მის გამოსვლას უყურადღებოდ არ დატოვებდა. ქვეყნის გასაძლიერებლად სოლომონმა მიიღო საჭირო ზომები და 1753 წელს ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადო მამა-შვილთან — ქართლ-კახეთის მეფეებთან თეიმურაზ მეორესთან და ერეკლე მეორესთან. ამ ხელშეკრულებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის შეკავშირების საქმეში.

სულთანის ბრძანებით, ახალციხის ფაშამ იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ ორჯერ ილაშქრა, თანაც ისე მოულოდნელად, რომ სოლომონ I და ქართლ-კახეთის მეფეებმა ჯარის შეგროვებაც ვერ მოასწრეს. ამიტომ სოლომონი პირველად განერიდა ოსმალეთის ჯარს, რომელმაც იმერეთი მოარბია. მაგრამ ქართველებმა ჯარი შეკრიბეს და ორივე ლაშქრობის დროს ოსმალები ერთიანად ამოწყვიტეს. აპ გამარჯვების შემდეგ სოლომონ I შეუდგა ქვეყნის საშინაო საქმეების მოწესრიგებას. პირველ რიგში მეფემ დაცემული ეკლესიებისა და გაუქმებული კათედრების

აღდგენა განახორციელა, ამით მეფემ დაიცვა ეკლესია-მონასტრების ფეოდალური მეურნეობის ინტერესები. ძირითადად იგი მიმართული იყო მაჰმადიანური ოსმალეთის შემოტევების წინააღმდეგ. 1759 წლის დეკემბრის დასაწყისში სოლომონ I მოიწვია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება, რომელსაც ესწრებოდნენ დიდებულოვანი ფეოდალები დადიანი და გურიელი. იმავე კრების 4 დეკემბრის სხდომის დადგენილებით, აღდგა ქუთაისის კათედრა, რომელსაც დაუმტკიცდა საქუთათელო ყმა-მამული. კრების დადგენილებით, ეკლესია გათავისუფლდა ყველა სახელმწიფო გამოსაღებისა და სამსახურისაგან. კრებამ დაადასტურა აფხაზეთ-იმერეთის კათალიკოსის უფლებები, ხოლო 5 დეკემბრის სხდომაზე, რომელიც ჩატარდა დასავლეთ საქართველოს ყველა დიდ ფეოდალთა თანდასწრებით, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის საერო და სასულიერო გამგებლებმა იმერეთის მეფის მორჩილებისა და „ტყვის სყიდვის" აკრძალვის პირობა დასდეს. კრებამ ტყვის მსყიდველნი შეაჩვენა, საერო ხელისუფლება კი მათ სიკვდილით დასჯით ემუქრებოდა. ამ დადგენილების გამოტანა თავისთავად მეტყველებდა სოლომონ I ძლიერებაზე. ტყვილად კი არ უწოდა მას ხალხმა დიდი სოლომონი. კრების დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ „...ახალციხის ფაშამ ასეთი საშინელი და საზარელი სიტყვა შემოგვითვალა... ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო. ახლა ამაზედ ასე ერთპირობით დაგვიმტკიცებია ღვთის შუამდგომლობით, რომ სანამდი სული გვიღგას, ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს, არც მაშინ ერთმანეთს ვუსუსტოთ, კიდეც ერთმანეთს მივუდგეთ, კიდეც მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელი ვიქნეთ... ამ საქმეზედ ჩვენი თავი არ დავიშუროთ"... ხსენებულმა დადგენილებამ დასაბამი მისცა ოსმალეთის ძალადობისაგან თავდასხნისა და ფეოდალური ქიშპობის მოსპობის პერიოდს.

1760 წელს ოსმალეთის სულთანმა „ტყვის სყიდვის" აღდგენის შესახებ სოლომონ I ოფიციალური მიმართვა გამოუგზავნა, რაზეც სოლომონმა სასტიკი უარი შეუთვალა. იმავე წელს ოსმალები შემოესივნენ იმერეთის სამეფოს, მაგრამ სოლომონ I ისინი სასტიკად დაამარცხა. არ გასულა სამი წელი, ოსმალები იბრაიმ ფაშის სარდლობით იმერეთის ასაკლებად დიდძალი ჯარით შემოიჭრნენ. გმირმა მეფემ ეს შემოტევაც სასახელოდ მოიგერია და ოსმალები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ სოლომონ I დამარცხება ადვილი არ იყო. ოსმალეთის სულთანის ბრძანებით ახალი ლაშქრობა წამოიწყეს. ახალციხის საფაშოს ჯარებს გარდა, ერზერუმის მხარეში შეაგროვეს 100 ათასი მეომარი. მათ თან ახლდა სოლომონ I ბიძა, ქვეყნის მოღალატე და ტახტის მაძიებელი თეიმურაზ ბატონიშვილი. იგი ახალციხის ფაშასთან იყო ვახიზნული და ოსმალეთს უნდოდა თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა. 1765 წელს ოსმალებმა იმერეთს შეუტიეს ქართლიდან, მაგრამ ერეკლე II ქართლის გზები ჩაკეტა. მაშინ დამპყრობლებმა ერთი დარტყმით გურიის ოკუპაცია მოახდინეს, მამია IV გურიელი გადააყენეს და სამთავროს ტახტზე მისი ძმა გიორგი V გურიელი დასვეს. შემდეგ ოსმალებმა ერთდროული შეტევა განახორციელეს ზეკარიდან, სოხუმისა და გურიის მხრიდან. დამპყრობლებმა ქუთაისი აიღეს, ციხე დაიკავეს, მაგრამ სოლომონის შეპყრობა ვერ მოახერხეს. ქართველებმა მეფე, რუსეთიდან დამხმარე ჯარების მოლოდინში, მოდინახეს ციხეში შეაფარეს და ოსმალებს პარტიზანული ბრძოლა გაუმართეს. ქართველი სალხის დამონება ადვილი არ აღმოჩნდა. 1765 წლის დიდი ლაშქრობა ოსმალეთს 1.200 ქისა ოქრო დაუჯდა და შედეგი არ ჩანდა. მართალია, იმერეთის ტახტზე ოსმალების გამეფებული თეიმურაზი იჯდა, მაგრამ მას დიდი დღე არ ჰქონდა. მეფე სოლომონ I ძალას იკრებდა. სოლომონმა ლეკთა 200-კაციანი რაზმი დაიქირავა

და ქართველი მხედრობით ოსმალებს შეუტია. რაჭის ერისთავი როსტომი და მისი ძმა ბესარიონ კათალიკოსი ისევ ოსმალების გამეფებულ თეიმურაზ ბატონიშვილს ემხრობოდნენ. ქართველების ყოველი შეტევის დროს ოსმალები მარცხდებოდნენ. მალე სოლომონმა ქუთაისის ციხე აიღო და სამეფო ტახტი დაიბრუნა. ქართველთა განუწყვეტელი შეტევებით ოსმალებმა დიდძალი მეომარი დაჰკარგეს. სულთანმა გადაწყვიტა სოლომონთან საზავო მოლაპარაკება გაემართა. იმერეთის მხრიდან სტამბოლში ელჩად მიავლინეს სოლომონ I ძმა იოსებ გენათელი. მას ახლდა ერეკლე II ელჩიც. სულთანი მზად იყო იმერეთის სამეფოსთან ზავი შეეკრა, ეს ზავი ოსმალეთისათვის თითქოს საპატიო უნდა ყოფილიყო. მაგრამ სოლომონი ვერ დაითანხმეს, რომ იმერეთის სამეფო ოსმალეთთან ვასალურ მდგომარეობაში ყოფილიყო. ბოლოს ოსმალეთმა იმერეთის სამეფო სცნო არა ვასალურ, არამედ ოსმალეთის მფარველობაში მყოფ სახელმწიფოდ. როგორც ვხედავთ, პატარა იმერეთის სამეფომ დიდ ოსმალეთის იმპერიას, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა ეგვიპტე და მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა, თავისი ძალა მაინც აჩვენა.

ოსმალეთთან ზავის დადების შემდეგ სოლომონ I ისევ ქვეყნის საშინაო საქმეების მოწესრიგებას შეუდგა. 1768 წლის სექტემბერში მან შეუტია თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელსაც მხარს უჭერდნენ სოლომონის ცოლისძმა, სამეგრელოს მაშინდელი მთავარი კაცია დადიანი, ბიძა—გიორგი ბატონიშვილი, ოსმალეთის მიერ გამთავრებული გიორგი V გურიელი, რაჭის ერისთავი როსტომი და მისი ძმა ბესარიონ კათალიკოსი. როგორც ვხედავთ, მეფის წინააღმდეგ შეკრული იყო საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი კავშირი, მაგრამ სოლომონის მხარეზე იყო ხალხი და ერთგული ფიცის კაცები: მესხი, ავალიანი, იოსელიანი, ღოღობერიძე, მიქაბერიძე, იაშვილი, უგრეხელიძე, ჭაბუკიანი, აგიაშვილი, ლორთქიფანიძე, წულუკიძენი და სხვები, რომელთა ერთგულებით სოლომონ I გაიმარჯვა. ორივე ბატონიშვილი ციხეში ჩასვა და სიცოცხლე მოუსპო.

1769 წლის 28 იანვარს სოლომონმა მოლალატე რაჭის ერისთავს შეუტია. როსტომსა და მის შვილებს თვალები დასთხარა, რაჭის საერისთავო გააუქმა, მოლალატე ბესარიონ კათალიკოსი გადააყენა და კათალიკოსად დასვა თავისი ძმა იოსები.

მიუხედავად ასეთი წარმატებისა, სოლომონ I კარგად ხედავდა, რომ მის სამეფოს არ ჰყოფნიდა სამხედრო ძალა გარეშე და შინაგანი მტრების დასამარცხებლად. რეგულარული ჯარის შენახვა გალატაკებულ სახელმწიფო ხაზინას არ შეეძლო. აუცილებელ, მეტად საჭირო შემთხვევაში, სოლომონი ქირაობდა ლეკთა ლაშქარს, მაგრამ როცა ის უკან ბრუნდებოდა, მოსახლეობას აწიოკებდა. ერთადერთ ხსნას სოლომონ I ერთმორწმუნე და ძლიერი რუსეთის მფარველობაში ხედავდა. ამიტომ მან 1768 წელს რუსეთში გაგზავნა ელჩი — მიტროპოლიტი მაქსიმე ქუთათელი და ეკატერინე II იმერეთის სამეფოს მფარველობა სთხოვა. დედოფლისადმი გაგზავნილ წერილში სოლომონ I წერდა: „ან იმერეთის სამეფო „საიმპერიოდ აღრიცხეთ, რათა მეფე იმერეთისა „ქრისტეს შეწევნითა აღმოსავლეთის სარწმუნოებისა და სჯულისათვის ყოფილად მოწყალის ხელმწიფისა სამსახურზედ უცხო თესლთა, ოსმალთ შევაკვდე და ვიდრე სისხლის დათხევამდე ხელმწიფის სამსახურზე ვიღვაწო“ ან, თუ ეს არ მოეწყობა და ეკატერინე II იმერეთის სამეფოს მფარველობას არ ისურვებს, „აქვე განვამტკიცეთ სახსართა და შეწევნითა მიერ, რომ ჯარის მიცემა შეგიძლო და მით უძლოთ წინააღმდეგობაი ოსმალთა, რამეთუ ჩვენ სახმართაგან ფრიად ნაკლულოვან ვართ“.

ე. ი. მეორე შემთხვევაში სოლომონ I ეკატერინე II ჯარითა და სამხედრო საჭურველით დახმარებას სთხოვდა. ამავე დროს დასძენდა, რომ თორმეტი წელი

იყო, რაც იგი ოსმალებს ებრძოდა, რომ ოსმალები იმერეთს შვიდჯერ შემოესივნენ, მაგრამ ისინი ყოველთვის დამარცხებული გარბოდნენ.

ეს იყო დრო, როცა რუსეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დაწყება. რუსეთს უნდოდა შავი ზღვის ნავსადგურების დაპყრობა და თავისუფალი ნაოსნობის მოპოვება. ამიტომ სოლომონ I ელჩი პეტერბურგში დიდი ზეიმით მიიღეს. ეკატერინე II ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა, რუსეთის სამეფო კარი კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ქრისტიანი ხალხების ბრძოლას, რადგან ეკატერინე II ოსმალეთთან მომავალ ომს რელიგიური მოტივით ამართლებდა. დედოფალი ბალკანელ და კავკასიელ ხალხებს მოწოდებით მიმართავდა, რომ რუსეთი „ქრისტეს სარწმუნოებისათვის“ ამ ხალხების ინტერესებისათვის იბრძოლებდა.

ამგვარად, სოლომონ I წინადადება მისაღები დარჩა. მაგრამ რუსეთის სამეფო კარს, ამ შემთხვევაში, აფიქრებდა ქართლ-კახეთის სამეფო, ერეკლე II პოზიცია, რადგან ირანი და ოსმალეთი ამ დროს არ ერეოდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს საქმეებში და მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ერეკლე II გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა.

(დასასრული იქნება)

სიყვარულით სიკვდილისა მძლეველი

ბედნიერი, როგორც მტრისგან თავდახსნილი მძევალი,
ეზას მივყვები სიყვარულით სიკვდილისა მძლეველი.
მაფრთხილებ: ამ სამანს იქით წასვლა აკრძალულია!
ვიღიმები: ჩემი შემწე თვითონ სიყვარულია!
არ არსებობს ჩემთვის ღამე მარად გაუთეველი,
მივიმღერი სიყვარულით სიკვდილისა მძლეველი.

• •

ჩემს მატარებელს სადგურებზე
არავინ ელის,
უცდის არავინ,
და ეზმანები, როგორც მირაჟი
ჩემი დღეების დაღლილ ქარავანს.
მხოლოდ შენ...
ვერ მოუპოვებს სხვისი სითბო
უცხო სიმშვიდეს,
ვერც ჩემს გრძნობას და
ვერც ჩემს გონებას...
განგებამ უშენოდ
გინდ მომკლას, გინდ მაცოცხლოს,
როგორც ენებოს...

• •

ულბილეს სხივებს ვეალერსები,
მხურვალე ვარდს და ბროლს ვკოცნი ვნებით,
თუ არ დავაგდე მტვრიანი გზები,
მხოლოდ შენს გამო, შენზე ოცნებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ ერთადერთი ხარ ეკლესია,
სადაც დავდნები ლოცვით სანთელი,
ჩემი ცხოვრებაც ერთი ლექსია,
ჩურჩულით მხოლოდ შენთვის სათქმელი...

• •

ტოტები ფანჯრის მიხებს
ეხლება,
რაზე მოიწყინე,
დაია თეთრხელება?..
გვიახლოვდება, ძვირფასო, ზაძღარი,
შენმა თბილმა სულმა
უნდა გაუძლოს ყინვებს,
ქალწულურ ოცნების მთვარე
თოვაში ბილიკებს გაგიბრწყინებს.
ერთხელ მაინც ვიმღეროთ,
როგორც გედებმა,
და მერე... რა ვუყოთ,
ოდესმე უჩვენოდ
თუ დაზამთრდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შენ ხომ ჩემი ცის ვარსკვლავი იყავ“...

როცა წვიმიანი დღეა, მაშინ მიყვარს ჩემს არქივში ხელის ფათური. ერთხელ დაწყობილს ხელმეორედ ვალაგებ, ვსინჯავ, ვკითხულობ, ვამოწმებ, ვფიქრობ... რამდენი განთქმული მომღერალი, მეჭიბონე, მეჩონგურე, მოცეკვავე, ქორეოგრაფი ჰყავდა აჭარას! მე თითქმის ყველაზე მაქვს ჩანაწერები, მასალები, ფოტოები. წლების განმავლობაში ვაგროვებდი ამ მასალებს. ორი პატარა წიგნი გამოვაქვეყნე კიდეც, მაგრამ ეს ცოტაა, როგორც იტყვიან, წვეთია ზღვაში, ხალხისთვის გაღებული ღვაწლი არავის უნდა დაეკარგოს. ამჟამად გამოსაცემად ვამზადებ ახალ წიგნს. „შენ ხომ ჩემი ცის ვარსკვლავი იყავ!“. ასეთი იქნება ერთ-ერთი ჩემი წერილის სათაური, რომელიც ეძღვნება მოცეკვავე ხასან ბაკურიძეს. ვინ იყო იგი და როგორ გაითქვა სახელი? — ხასანი იყო ჩვენი ქალაქის მკვიდრი, კავკასიური ცეკვების ოსტატი. მოდით, ვისაუბროთ ამ ხელოვანის შესახებ...

არიფ ბაკურიძემ 1923 წელს სოფელ აგარიდან (ხელვაჩაურის რაიონი) ბათუმში ჩამოიყვანა და ქალაქის გარეუბანში სერაპიონ შავგულიძის კერძო ქორეოგრაფიულ სტუდიაში მიაბარა თავისი ჩვიდმეტი წლის ვაჟიშვილი ხასანი. ყმაწვილი მალე შეეჩვია სტუდიის წესებს და სარეპეტიციო დარბაზში ბეჯითად ვარჯიშობდა, იწაფებოდა, ილეთებს ხვეწდა. ცოტა ხნის შემდეგ მთელი სტუდიის ყურადღებაც მიიპყრო. გამოცდილ პედაგოგ-ქორეოგრაფს სერაპიონ შავგულიძეს ეს აბარებდა... და უთხრა კიდეც, კარგი მოცეკვავე გამოხვალო.

გამართლდა კიდეც მასწავლებლის წინასწარმეტყველება... დადგა ჟამიც გამოცდისა...

და აი, გაიმართა სტუდიადამთავრებულთა გამოსაშვები საღამო-კონცერტიც. ხასანის წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. მან საუკეთესო მოცეკვავის თვისებები გამოამჟღავნა...

1925 წელს ნიჭიერი ახალგაზრდა ჩაერიცხა ბათუმის ნავსადგურის მტვირთავ მუშათა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივში, რომელსაც საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე არტემ ერქომაიშვილი ხელმძღვანელობდა. არსებითად მას მუშაობა მოუხდა ახლად დაარსებულ თვითმოქმედ კოლექტივში. ხასანი არ შეუშინდა სიძნელეებს და მალე საზოგადოების ყურადღებაც დაიმსახურა. მაყურებელი აღტაცებით ხვდებოდა კონცერტებზე ხასან ბაკურიძის გამოსვლას. ამ დალოცვილს, რა მოხდენილი ტანი ჰქონდა! რა არ შვენოდა — ჩოხაც და ჩაქურაც! მისი ცეკვა ხასიათდებოდა ღრმა ხალხურობით და უბრალოებით, სიხალისით და მოძრაობის დახვეწილობით, ტემპერამენტით, მგზნებარებით

როცა გამოცხადდა ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსი, ხ. ბაკურიძე

ლილი მონდომებით ემზადებოდა. ქალაქის საუკეთესო მოცეკვავეები მოუთმენლად მოელოდნენ კონკურსის დაწყებას.

ეს იყო 1926 წელს, ბათუმის ცენტრალურ მუშათა კლუბში თავი მოეყარათ საუკეთესო მოცეკვავეებს. დაიწყო საქალაქო კონკურსი კავკასიური ცეკვის საუკეთესო შესრულებისათვის.

პაექრობა მეტად საინტერესოდ წარიმართა. მაყურებელთა ყურადღება მიიპყრო პოხდენილი ტანის ახალგაზრდა მოცეკვავემ ხასან ბაკურიძემ, რომელმაც სცენას არაჩვეულებრივი სიმსუბუქითა და ტემპერამენტით ჩამოუარა. მან იცეკვა „მთიულური", იცეკვა კი არა, როგორც იტყვიან, ცეცხლი დაანთო. მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს. კარგი სცენიური კულტურით მოხიბლა მოცეკვავემ დარბაზი. ახალგაზრდა ხელოვანმა ხასან ბაკურიძემ გაიმარჯვა — პირველი პრიზი დაიმსახურა.

სახეგაბრწყინებულ ახალგაზრდასთან ჭაღარა კაცი მივიდა, მან წარმატებები მიულოცა გამარჯვებულ მოცეკვავეს და მამაშვილურად გადაეხვია. იგი ახალგაზრდა მოცეკვავის პედაგოგი სერაპიონ შავგულიძე იყო, ახარებდა მისი აღზრდილის ესოდენ წარმატება.

სამკერდე ნიშანი და საუკეთესო მოცეკვავის საპატიო წოდება დიდი წარმატება იყო ოცდაერთი წლის მოცეკვავისათვის. მაგრამ იგი ამ წარმატებებით არ გაყოყოჩებულა, პირიქით, კვლავ შეუპოვრად იმაღლებდა ოსტატობას. ხასანი ქორეოგრაფიაში დაუღალავად ეძებდა ახალ ილეთებს, ნიჭიც სწყალობდა. შედეგიც თვალსაჩინო იყო.

ხასანმა არაერთი სასახელო შემოქმედებითი გამარჯვება მოიპოვა საქალაქო. საოლქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე ინდივიდუალური ცეკვების შესრულებით, აღადგენდა და ავრცელებდა აჭარაში ხალხური შემოქმედების საუკეთესო ქორეოგრაფიულ ნიმუშებს.

ხასანის წარმატებებზე იწერებოდა ადგილობრივ გაზეთებში. კერძოდ, ითქვა, რომ ხალხურ ცეკვებში ჩაქსოვილი ხალხური მიმზიდველობა, სიცოცხლის ხალისი და შრომის სიყვარული მკაფიოდ იგრძნობოდა ხასან ბაკურიძის მაღალმხატვრულად შესრულებულ ცეკვებში. იგი ბრწყინვალედ ასრულებდა „ქართულს", „მთიულურს", „აფხაზურს", „მოხევურს" „ოსურს", „ბალდადურს" და სხვა ცეკვებს. მას ტოლს ვერავინ დაუდებდა. ხალხს განსაკუთრებით ხიბლავდა ხასანი, როცა იგი სწრაფად ლამაზ წრეს შეკრავდა — ეს იყო რაღაც ზღაპრული, განუმეორებელი, მისეული ხელოვნება... პირში ათ ხანჯალს ჩაიდებდა და მერე თითო-თითოდ იატაკზე დაარჭობდა ისე, რომ როკვას არ შეანელებდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხასან ბაკურიძე ქორეოგრაფიული ხელოვნების ერთ-ერთი პიონერთაგანი იყო აჭარაში. ამ მაღალნიჭიერმა ხელოვანმა კარგად აითვისა ხალხური ცეკვების საინტერესო ფორმები და იგი გამოიტანა ფართო საზოგადოებაში. ამით ხასანმა სხვა მოღვაწეებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების ახალ ეტაპს ჩვენს რესპუბლიკაში.

მხატვრულ თვითმოქმედებაში, ცალკეულ კონკურსებსა და ოლიმპიადებში ხასან ბაკურიძეს მიღებული ჰქონდა რამდენიმე პრიზი, ფულადი ჯილდო, სიგელი.

სამამულო ომის წლებში ხ. ბაკურიძე, ავადმყოფობის გამო, იძულებული გახდა თავი დაენებებია მხატვრული თვითმოქმედებისათვის. გავიდა შრომის ინვალიდობის პენსიაზე, მაგრამ თავის საყვარელ საქმეს მაინც არ ივიწყებდა და ახალგა-

ზრდული გატაცებით თვალს ადევნებდა ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების ზრდას და განვითარებას.

ს. ბაკურიძე იყო ძალზე გულისხმიერი, კეთილშობილი ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო წლებში ხშირად ავადმყოფობდა, იგი მაინც იღვწოდა ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების სიყვარულით, ზრდიდა და წვრთნიდა ახალ თაობას.

1977 წლის ზაფხულში გარდაიცვალა სახელგანთქმული მოცეკვავე, კეთილი და უწყინარი ადამიანი ხასან ბაკურიძე. მისი სახელი დაუვიწყარი იქნება არა მარტო იმათთვის, ვინც მას იცნობდა, არამედ ყველა იმისთვის, ვისაც უყვარს ხელოვნება. გარეგნულადაც ხასანი ჩვენი ქალაქის მშვენება იყო — ლამაზი, მოხდენილად ჩაცმული კაცი...

ერთი ჩვენი თანამემამულე პოეტი, რომელიც პირადად კარგად იცნობდა ხასანს, მას ასე მიმართავს:

შენ ხომ ჩემი ცის ვარსკვლავი იყავ,
და ვარსკვლავი ხომ მარადის ბრწყინავს...

გუგული გაბისონია,

აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაულ მამალაძე

სვეტიცხოველი

ჩუმად ვჩურჩულებ სვეტიცხოვლის კედელთან მდგარი,
ცისკენ აჭრილი ტაძრის ხილვა მაოცებს დიდად,
იგი ბურჯია ჩვენი ჯიშის და სულის მყარის,
...ორი მდინარის შეერთებას გაჰყურებს მშვიდად.

გიორგი შაინიძე

ხალთა

შენი მზით ვარ გამოზრდილი,
ლებად მეგო შენი კალთა,
საბნად — შენი მთების ჩრდილი
და ლოდები სასთუმლადა.
შენ დამხურე „დილმა“ ქუდად,
ნატყვიარო, ნამეხარო,
და სალბუნად ღია წყლულთა
შენ მაპკურე ცივი წყარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინის სახელოზისა...

დაირეკა I სექტემბრის ზარი.

ჩვენი დიადი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის ყოველ ქალაქსა და სოფელში სადღესასწაულოდ აღინიშნა ახალი სასწავლო წლის დაწყება. მილიონობით ბავშვი მიუჯდა მერხებს მეცნიერების საფუძვლების დასაუფლებლად, რათა მომავალში თავიანთი ცოდნა მოახმარონ თავიანთ ქვეყანას, მშრომელ ხალხს.

ცოდნის დღესასწაულის წინადღეებში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ მიმდინარე სასწავლო წელი ეს არის პირველი წელი მას შემდეგ, რაც გაიმართა უდიდესი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა — სკკპ XXVI ყრილობა, რომელმაც დასახა საბჭოთა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის, ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის განვითარების შემდგომი გზები. ეს არის წელი, როცა მოეწყო საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა, რომელმაც დაამკვიდრა ბოლო წლებში რესპუბლიკის ეკონომკიურ და სოციალურ ცხოვრებაში დასახული პოზიტიური ტენდენციები.

გვეამაყება, რომ ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით სახალხო განათლების მუშაკებს, რომლებსაც ღირსეული წვლილი შეაქვთ ახალგაზრდა თაობის აღზრდაში.

ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის № 1 საშუალო სკოლისათვის აღმავლობისა და წარმატების მომტანი იყო მეათე ხუთწლედი. ბევრი რამ გაკეთდა ამ ხუთი შინაარსიანი და გამიზნული წლის განმავლობაში, განმტკიცდა და გამდიდრდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით სკოლისათვის აშენდა ახალი კორპუსი 16 სასკოლო ოთახით, სახელოსნოებითა და ფიზკულტურის დარბაზით, ბიბლიოთეკითა და სასადილოთი, რამაც სკოლას ერთცვლიან მუშაობაზე გადასვლის შესაძლებლობა მისცა. 1977 წლიდან სკოლა გადავიდა სწავლების კაბინეტურ სისტემაზე, კეთილმოეწყო და შეივსო კაბინეტები, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია დაწყებითი კლასების, დაწყებითი სამხედრო მომზადების, რუსული ენის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიისა და მათემატიკის კაბინეტები.

კაბინეტები აღჭურვილია ტექნიკური საშუალებებითა და მდიდარი თვალსაჩინოებით, ამაღლდა სწავლების და აღზრდის ხარისხი, განმტკიცდა დისციპლინა, 1971 წლიდან სკოლა მუშაობს მეორეწლიანობის გარეშე.

სკოლის დირექციას (დირექტორის მოადგილეები ნ. მახაჭაძე, ც. შარაძე, ნ. ჩახვაძე) მხარში უდგას მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით დაკომპლექტებული კოლექტივი. წარმატებით ჩაიარა მასწავლებელთა ატესტაციამ. მეთოდისტი-მასწავლებლის წოდება მიენიჭა ლენინის ორდენის კავალერს, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს თ. კვაჭაძეს, უფროსი მასწავლებლის წოდება — შრომის წითელი დროშის ორდენოსან დ. ქინქლაძეს, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს სიგელებითა და სამკერდე ნიშნებით დაჯილდოვდნენ თ. აბჟანდაძე, ლ. ჩაკვეტაძე, დ. მახარაძე, ი. მადოიანი, ტ. ერქომაიშვილი, ლ. ჯაველიძე, ც. კვაჭანტირაძე.

ტრადიციულად სკოლაში მაღალ დონეზე ისწავლება რუსული ენა. ვ. ი. ლენინის სახელობის № 1 სკოლა ბათუმის ქართულ სკოლებს შორის რუსული ენის სწავლების ერთ-ერთ სანიმუშო, საბაზო სკოლად ითვლება.

შორს წაგვიყვანდა იმ სასიქადულო ადამიანების ჩამოთვლა, რომლებსაც ბათუმის პირველი საშუალო სკოლის კედლებში ძიუღიათ სწავლა-განათლება, და რომლებმაც ასახელეს აღმზრდელი კოლექტივი, მთელი ჩვენი რესპუბლიკა.

შრომა ჩვენს ქვეყანაში სახელისა და ღირსების საქმეა. ჩვენი სკოლის კოლექტივის საქმიანობაც, ბეათე ხუთწლედის განვლილ წლებში ღირსეულად დაფასდა, ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაძარჯვებისათვის 1977 წელს სკოლა დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს ალკკ ცესტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და დიპლომით.

გასული სასწავლო წლის მანძილზე სკოლის დირექცია, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, სათანადო ყურადღებას აქცევდა და საჭირო კონტროლს ანხორციელებდა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ კრებებზე ხშირად იხილებოდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები, ყოველივე ამის შედეგია, რომ სკოლამ წარმატებებით დაამთავრა სასწავლო წელი, ამაღლდა სწავლებისა და მოსწრების ხარისხი. 907 მოსწავლიდან 107 ხუთოსანი და 219 ოთხოსანი იყო, ე. ი. ყოველი მესამე მოსწავლე ხუთოსანი ან ოთხოსანია. 62 კურსდამთავრებულიდან 6 მოსწავლემ ოქროს მედალი მიიღო, ხოლო 19 მოსწავლემ — მაღალქულიანი ატესტატი.

წელს საფუძველი ჩაეყარა ბათუმის № 1 საშუალო და თბილისის 54-ე საშუალო სკოლების მეგობრობას ურთიერთგამოცდილების გაზიარების მიზნით. ეს მეგობრობა შემდგომში უფრო მეტ სტიმულს მოგვცემს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის კარგ დონეზე, ცალკეული საგნების ღრმად შესწავლაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1981 წელს მოსწავლეთა 36-ე რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე აქტიური მონაწილეობისა და საუკეთესო მოხსენებებისათვის 19 მოსწავლე დაჯილდოვდა დიპლომებითა და სიგელებით.

მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე, რომელშიაც ჩვენი 170 მოსწავლე მონაწილეობდა, მოცეკვავეთა ანსამბლი დაჯილდოვდა I ხარისხის დიპლომითა და ოქროს მედლით, სიმღერის გუნდი კი III ხარისხის დიპლომითა და ბრინჯაოს მედლით. ასევე საქალაქო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი სკოლის სპორტსმენები. ტრადიციულად, ფიზკულტურასა და სპორტს

ჩვენთან დიდი ყურადღება ექცევა. აქ აღზრდილი ზოგიერთი სპორტსმენი ღღეს საქვეყნოდ არის ცნობილი.

სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა დიდად არის დამოკიდებული კარგი მატერიალური ბაზის არსებობაზე. სასკოლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის შეფების დახმარებით წელსაც ბევრი რამ გაკეთდა. ასე რომ, ახალ სასწავლო წელს მომზადებული შევხვდით.

როგორც ზემოთ ითქვა, ახალმა სასწავლო წელმა ახალი ამოცანები დასახა სკოლის წინაშე. ჩვენი კოლექტივი ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს ამ ამოცანების გადასაწყვეტად.

ზია კობახიძე,

ვ. ი. ლენინის სახელობის ბათუმის № 1 საშუალო სკოლის დირექტორი, ეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ნელარ ჩიჯავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხელის“ ფიფქიანი

(საკუთრების სიმბოლურ ნიშანთა საკითხისათვის)

მიწის კერძო საკუთრების აღმოცენებამ იმთავითვე აუცილებელი გახადა მისი გამოყოფა საერთო მფლობელობიდან და მიჯნის აღნიშვნა. თავდაპირველად მიჯნად შესაძლებელია გამოყენებული იყო ბუნებრივი ნიშნები: ხევი, ხრამი, ბორცვი, მდინარე და სხვა, რომლებიც ანაწევრებენ ტერიტორიას, მაგრამ თავისთავად არ მეტყველებენ საკუთრებაზე, არ შეიცავენ ამის მაუწყებელ ნიშანს. საკუთრების ფორმათა ევოლუციას, ცხადია, ეს ვერ დააკმაყოფილებდა. უთუოდ, ამიტომაც მფლობელობის აღსანიშნავად ჯერ კიდევ უძველეს დროში გამოყენებული იყო მატერიალური საგანი, მასზე გამოსახული რაიმე ნიშნით ან ნიშანთა ჯგუფით. მათი შექმნა განპირობებული იყო როგორც იურიდიული, ასევე პრაქტიკული აუცილებლობით.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ საკუთრების აღმნიშვნელი დამადასტურებელი საგნები თუ ნიშნები სხვადასხვა იყო და საზოგადოების განვითარების, მისი სამართლებრივი ნორმების თუ იდეოლოგიური შეხედულებების ცვლის შესაბამისად ვითარდებოდა. ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფა მრავალ ამგვარ ნიშანს და საგანს იცნობს. ბევრმა მათგანმა უძველესი დროიდან ჩვენამდე მოაღწია როგორც მატერიალური კულტურის ძეგლმა. ყველა ისინი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საკუთრების ფორმათა განვითარების ზოგიერთი საკითხის დადგენისათვის.

საქართველოში, როგორც ეს ეთნოგრაფიული მონაცემებით ცნობილი ხდება, მიწის დასაკუთრების პირველ აქტად ითვლებოდა სათემო, საზოგადოებრივ მფლობელობის ტყეში შერჩეული ნაკვეთის ირგვლივ კერძო პირის მიერ ხეთა დანიშვნა, რასაც „დათარჯვა“, „დაჯვარვა“, „გამოკოდვა“ და სხვა ეწოდებოდა.

საკუთრების მაუწყებელი ნიშნები მრავალნაირია. ძირითადად ესაა: ჯვარი, წრე, ისარი, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ხაზები, წრეში ჩასმული ჯვარი ან სხვა ნიშნები, ცულის, წალდის, ადამიანის ხელის მტევნის გრაფიკული ან რელიეფური გამოსახულებანი და სხვა.

სოფლებში სარფსა და ვონიოს მიდამოებში დამოწმებულია საყურადღებო ტოპონიმები: „ბურჭული მეჭაელი“ („წალდიანი წიფელი“ ლაზ.) და „არგუნი მეჭაელი“ („ცულიანი წიფელი“, ი. სიხარულიძე), რომელთა გაჩენა აღნიშნულ წესს უნდა უკავშირდებოდეს. ქვის სვეტზე ცულის გამოსახულება დადგენილია ყირიმშიც, ე. წ. ბალჩიელში, და ბრინჯაოს ხანის ძეგლადაა მიჩნეული (ა. ფორმოზოვი).

მატერიალური საგნებიდან, როგორც წესი, გამოყენებული იყო ქვის სვეტი ხელის გამოსახულებით ანუ იგივე „ხელი“, „ქვაჯვარი“, „ქვაკაცი“, სამანი (ქვის

უბრალო სვეტი „ამხანაგით“ ანუ მისი თანმხლები მცირე ზომის ქვით), რომელიც თავისი შინაარსით იგივე „ხელი“ იყო და ა. შ. ამ საგანთაგან ჩვენ ყურადღებას ძირითადად „ხელზე“ შევაჩერებთ. ჩვენი ინტერესი გაპირობებულია იმ მოტივით, რომ „ხელის“ ინსტიტუტი ძალზე ძველია და მისი გადმონაშთური ფორმა ეთნოგრაფიულად ყოფაში აქა-იქ დამოწმდა. მეორეს მხრივ „ხელი“ როგორც, მიწის კერძო საკუთრების იურიდიული საბუთი და ამავე დროს მატერიალური ნიშანიც, ცნობილია ქართული წერილობითი წყაროებიდან. მაგრამ ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს „ხელის“ წარმომავლობის პრობლემა, რატომ იქცა იგი საქართველოში საკუთრების მანიშნებელ და დამადასტურებელ საგნად.

საკუთრების აღსანიშნავად ხელის გამოსახვის ფაქტები ეთნოგრაფიულად ჩვენთვის ხელმისაწვდომ პერიოდში იშვიათია. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ხელის ინსტიტუტი, როგორც ითქვა, მეტად ძველია და დასაბამს უძველესი რელიგიური შეხედულებებიდან იღებს, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ხელის გრაფიკული გამოხატვის ფაქტები საველე მუშაობის დროს სოფლებში ბზუბზუსა და ზუნდაგაში (ქედის რაიონი) იქნა ფიქსირებული. ჯერ კიდევ XIX ს. დასასრულამდე მას მიმართავდნენ ტყის ფუტკრის პოვნის, სამასალე ხის შერჩევისა თუ ახოს დაკავების შემთხვევაში. ერთ ან რამდენიმე ხეზე დანით შემოხაზავდნენ ხელის გაშლილ მტევანს და ამოჭრიდნენ ქერქს, ხოლო მის ქვემოთ ან გვერდზე ასევე გამოკვეთდნენ ცულის გამოსახულებას. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ აღგილს თუ ხეს უკვე ვიღაც დაპატრონებია.

ტყეში ფუტკრის მოშენება ჩვეულებრივი იყო აჭარაში, მაგრამ ყველა ხე როდი ვარგოდა საამისოდ. შერჩეული ხეები ინიშნებოდა, რომლებზედაც შემდეგ ცარიელ სკებს (როგო) შეადგამდნენ იმ განზრახვით, რომ იქ ფუტკრის ახალი ოჯახი დაიდებდა ბინას.

ხელის მტევნის გამოსახვა ტყეში თითქმის ოცდაათიან წლებშიც ერთგვარი ტრადიციის სახითაც შემონახულა. ერთ-ერთი ინფორმაციით (ა. გოგიტიძე, 80 წ., ს. ბზუბზუ, მ. ვარშანიძე 79 წ., ს. ზუნდაგა), ახალგაზრდები ტყეში ნადირობის, შეშის დამზადების თუ სხვა საქმის დროს სქელტანიან წიფლის ხეზე საკუთარი ხელის გამოსახულებას შემოხაზავდნენ, რასაც თითქოს წარმატება მოჰქონდა. მათ თუმცა არც ისე სჯეროდათ ამის, მაგრამ ძველ ტრადიციას „ყოველ შემთხვევისათვის“ და „გარანტიის“ მიზნით ასრულებდნენ. „ტყეში მოსაქმე კაცს ხელი მოემართებაო“, ასე იტყოდნენ მოხუცები.

ეს მაგალითი ძალზე ძველი და საინტერესო რიტუალის გადმონაშთი უნდა იყოს, რომელშიც „ხელის“ მაგიური ფუნქცია ვლინდება და ავი ძალებისაგან მფარველის სიმბოლოდ გამოიყურება.

„ხელიანი წიფლები“ ს. ბზუბზუს ტყეში ე. წ. ყოლყვეთში, აქა-იქ ბოლო დრომდეც არსებულა.

ზემო აჭარაში (ს. ღორჯომი) დაჩემებული ტყის ნაკვეთის (ახოს) აღსანიშნავად დამოწმებული იქნა ტერმინი „ნახელავი“. მეორე ვარიანტით, ნახელავი მიწის გაკულტურებისათვის გაწეულ შრომას აღნიშნავს, მაგრამ ეს სიტყვა ოდესღაც ხელდადებულს, ადრე დასაკუთრებულს უფრო უნდა გვაუწყებდეს, რომელზედაც ძველი უფლება რაიმე მიზეზით შეიზღუდა ან სავსებით გაუქმდა.

XIX ს. საქართველოში „ხელი“ თუ „ხელის დადება“ მიწის შითვისების შინაარსით იშვიათად იხმარებოდა. სახელმწიფო გლეხობის ეკონომიკური ყოფის ამსახველ ლიტერატურაში იგი არსად გვხვდებოდა, მაგრამ ეს ტერმინი შემორჩენილი იყო საქორწინო წესებში. აჭარაში „ხელდადებული ქალი“ ვინმეს მიერ ამორ-

ჩეულ, სიტყვამიცემულს ნიშნავდა ოფიციალურ ნიშნობამდე. ნიშნობის ამგვარი ფორმა საქართველოს სხვა კუთხეებშიც არსებობდა.

წარმოშობით „ხელის დადებას“, ანუ მიწის დაკავების აქტს უნდა უკავშირდებოდეს აჭარაშივე გავრცელებული ტერმინი „ყანის დადება“, რომელიც თანამედროვე გაგებით ახალი საყანის შექმნას აღნიშნავს.

ძველ ქართულ საადგილმამულო ურთიერთობის ამსახველ საბუთებში ხშირადაა მოხსენებული „ხელი“, „ხელის ამართვა“, „ხელის დადება“ და სხვა.

„ხელის ამართვა“ აღნიშნავდა როგორც იურიდიულ და ფაქტიურ მფლობელობას მიწაზე, მამულზე, ასევე მატერიალური საგნის დაყენებასაც, რომელზედაც „ხელი“ იყო გამოსახული. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, „ვისი უფლებაც მტკიცდებოდა (ვისაც ჯელს აუმართავდნენ), ის მამულზე (თუ სხვა) ჯელს დაიდებდა“, ხოლო ვისი უფლებაც უარყოფილი იყო, „...ის მაულზე (თუ სხვა) „ჯელს აიღებდა“.

„ხელი“ წინაფეოდალურ საქართველოში იყო უფლების მატერიალური ნიშანი. იგი წარმოადგენდა ქვის სვეტს, რომელზედაც ქრისტიანობამდე ხელი იყო გამოსახული. შემდეგ მას ერთვის ქრისტიანობის სიმტკიცის ნიშანი ჯვარი, რომელიც თანდათან არსებითი მნიშვნელობის ხდება და საბოლოოდ სავსებით აძევებს ხელის გამოსახულებას, მაგრამ საკუთრების დამადასტურებელ მატერიალურ ძეგლსაც, რომელზედაც უკვე ჯვარია, და დაწერილ დოკუმენტსაც მაინც „ხელი ეწოდება“. ერთი სიტყვით, ძველი ტერმინი განაგრძობს არსებობას და იმ ქვა-ჯვარსაც შეერქმის, რომელმაც ხელი შეცვალა (ნ. ბერძენიშვილი).

ძველი ქვაჯვრები ზოგიერთ ადგილზე დღემდეა შემორჩენილი. მაგალითად, მესხეთში არაერთი ასეთი ძეგლი არსებობს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „სასინორე ქვებს“ ე. ი. სამიჯნო ქვებსაც უწოდებს. ს. ზემო თმოგვში ქვაჯვრები განლაგებული იყო სოფლის გარშემო ქვეყნის მხარეთა მიმართულებით, ამავე ტიპის სვეტები დგას თმოგვის სამხრეთით, ნასოფლარ აგარის ტერიტორიაზე „ქვისწყაროებთან“, ნასოფლარ გიორგიწმინდის მახლობლად „ურიის სასაფლაოსთან“ და სხვ.

ქრისტიანობის ადრეულ ეტაპზე მიწის საკუთრების მაჩვენებლად აღმართული ქვაჯვრები სალოცავად იყო გამოყენებული. ეს თმოგვის ქვაჯვრებშიც ვლინდება, რომლებსაც ბოლო დრომდე პატივისცემით ეპყრობოდნენ მლოცველები და სანთლებსაც უნთებდნენ, თუმცა სოფელში დღესაც კარგადაა შემონახული ძველი ეკლესია.

შუა საუკუნეებში საქართველოში „ხელის“ მატერიალურ საგანზე ადამიანის ხელის გამოსახულებაცაა და ჯვარიც, მაგრამ ხელის გამოსახულება ჯერ კიდევ უმთავრესი ყოფილა და ინარჩუნებდა თავის ძირითად არსს, ხოლო ჯვარი მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობის მატარებელი იყო. ეს გარემოება ხელის, როგორც მატერიალური ნიშნის და მასში ჩაქსოვილი შინაარსის დიდ სიცოცხლისუნარიანობაზე მიუთითებს. როგორც ჩანს, ჯვარი ერთბაშად და ერთიანად ვერ ცვლის ხელის გამოსახულებას და ვერც მის ფუნქციონალურ მხარეს. უფრო მეტი, შემდგომ საფეხურზე, როცა ჯვარი უკვე განმტკიცებულია, როდესაც სამიჯნო და საკუთრების აღმნიშვნელ მატერიალურ საგანს ჯვარი წარმოადგენს, მასაც და საკუთრების მადასტურებელ დაწერილ საბუთსაც მაინც „ხელი“ ეწოდება. ყოველივე ეს მიუთითებს არა მარტო ტერმინის სიმტკიცეზე, ტრადიციის ძალით მისი გამოყენების ფაქტზე, არამედ ქრისტიანობამდე „ხელის“ იმ დიდ ადგილზე და

მნიშვნელობაზე, რომელიც მას იმდროინდელი საზოგადოებრივი და რელიგიური აზროვნების სფეროში ეკავა.*

ამრიგად, ხელის გამოსახულებასაც და მატერიალურ საგანსაც მხოლოდ ჯვარი ცვლის, როგორც ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლო, სიმტკიცის, თაყვანისცემის, საკულტო დანიშნულების საგანი და არა სხვა რამ. მაშასადამე, დასაბამიდანვე, უფრო სწორად, წარმართთა მსოფლმხედველობაში „ხელი" ძლიერების, შეძლების, თაყვანისცემის შინაარსის მატარებელი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ იქცეოდა საკუთრებაზე ხელშეუვალობის სიმბოლოდ. გარდა ამისა, თუ კი ხელი შუასაუკუნეების საქართველოში სავსებით გარკვეული სახით ჩამოყალიბებულია, როგორც მიწაზე კერძო საკუთრების მამტკიცებელი მატერიალური საგანი, ხოლო რამდენადმე — შემდეგ დაწერილი საბუთიც, ცხადია, მისი ეს შინაარსი საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლიდან კი არ ჩნდება, არამედ ბევრად უფრო ადრე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯვარის ბრძოლა მასთან ყოველგვარ საფუძველს იქნებოდა მოკლებული.

არა თუ საქართველოში, არამედ საზოგადოდ, ხელის გამოსახულება უძველეს დროიდან დასტურდება, ბევრი მონაცემი მიგვანიშნებს რომ იგი შესაძლოა პირველყოფილი რელიგიური შეხედულებებიდან იღებდეს საწყისს.

ხელის გრაფიკული და რელიეფური აღბეჭდვა სხვადასხვა საგანზე საკმაოდ გავრცელებული იყო საქართველოსა და კავკასიაში. იგი გვხვდება მატერიალური კულტურის ძეგლებზე, დარბაზული ტიპის სახლის დედაბოძზე. ხელის გამოსახულება ასახულია აგრეთვე ხევსურულ ორნამენტში (ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია). ხევსურთა ყოფაში სისხლის აღების შემთხვევაში იგი საწესჩვეულებო შინაარსის მატარებელიც იყო. მოკლულ მტერს მარჯვენა ხელის მტევანს მოკვეთდნენ და საკუთარი სახლის წინა კედელს მიაკრავდნენ. იგივე წესი იყო თუშეთშიც.

სხვა შინაარსის მატარებელი იყო ხელის გამოსახულება ხევში. ოჯახის უფროსი ლამ-კირით ან ნეხვ-მიწით შელესილ სახლის კედელს თითებგაშლილ ხელს მიარტყამდა და მის გამოსახულებას აღბეჭდავდა. ეს გულისხმობდა მისი დამსმელის სახელის უკვდავებას ოჯახის შემადგენლობათა შორის (ვ. ითონიშვილი). ხელის მტევნის გამოსახვა შენობებზე და სხვადასხვა საგნებზე ტრადიციული იყო კავკასიის ხალხებშიც: დაღესტანში, ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და სხვ. როგორც მაგიური ძალის შემცველი და ავი სულებისაგან მფარველი, იგი კავკასიაში გავრცელებული იყო ამულეტის სახითაც.

ხელის გამოსახულებანი პეტროგლიფებზე სხვა ნიშნებთან კომპლექსში რუსეთში არაერთგანაა დადგენილი (ა. ფორმოზოვი), თუმცა მათი მნიშვნელობა ჯერჯერობით მთლიანად გარკვეული არაა.

„ხელთან" დაკავშირებით საყურადღებოა აგრეთვე სხვა სახის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები საქართველოსა და კავკასიის მთიანეთიდან.

---

* ნ. მარს შავშეთში მოგზაურობისას სოფ. ნორგიელის მახლობლად ერთ ადგილზე, რომელსაც „კოლტაში" რქმევია, უნახავს დიდი ზომის ქვაჯვარი და მისი სურათიც გადაუღია. „კოლ" თურქულად ხელს ნიშნავს, „ტაშ" — ქვას. თურქებს, როგორც ჩანს, ძველი ქართული ტოპონიმი კოლტაშად გადაუკეთებიათ, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ამ კოლტაშზე უკვე ქვაჯვარი იდგა. ჩანს „ხელიანი ქვა" ქვაჯვარს შეუცვლია, რაც თურქების მიერ სამხრეთ საქართველოს დაპყრობამდე უნდა მომხდარიყო, მაგრამ ადგილის სახელად მაინც ხელიანი ქვა (კოლტაში) დარჩენილა.

თუშეთში „ხელი“ გამოხატავდა ადათობრივი სამართლის ნორმას, ხოლო ამ სიტყვიდან ნაწარმოები „ხელხომი“ — იმ პირებს, რომლებიც ერკვეოდნენ ადათობრივი სამართლის ნორმებში. ხელთან და ხელხომთან დაკავშირებულად მიჩნეულია ინგუშური „კხელამი“ და „კხელი“ (რ. ხარაძე). „კხელი“ უხუცესია ჯგუფის აღმნიშვნელი ტერმინი იყო დაღესტანშიც. ხევსურეთსა და სვანეთში არსებობდა ხელის მოკიდებით დაფიცების წესი. ხელის მიცემა სიტყვის, პირობის მიცემას, დაფიცებას უტოლდებოდა.

ხელის გამოსახულება და ხელის კულტი ჩვენი ქვეყნის ფარგლებსაც სცილდება. მისი არსებობა უძველეს ხანაში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოწმდება, მეტწილად ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების კულტურაში. ძველ ეგვიპტეში, ალბანეთში, ხეთურ დამწერლობაში, ირანში და სხვ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი მნიშვნელობა ყველგან ზუსტად ერთნაირი იყო.

ახლა ზოგადი და ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალის შუქზე, განვიხილოთ „ხელის“ ესოდენ პოპულარობისა და მისი წარმომავლობის ზოგიერთი მხარე.

როგორც ცნობილია, უძველესი დროის ადამიანისათვის გაუგებარი იყო ბუნების მარტივი თუ რთული მოვლენები. მუდმივი შიშით შეპყრობილი, იგი თავისი წარმოდგენებით ხსნიდა ამა თუ იმ მოვლენას. მათზე დაკვირვების პროცესში ადამიანი თავის თავსაც მიაწერდა ანალოგიური მოვლენების წარმოშობისა თუ გამოწვევის უნარს, ხოლო, მეორეს მხრივ, ბუნების ძალებსა და ცალკეულ საგნებს ისეთ უნარსა და შესაძლებლობას ანიჭებდა, რაც ადამიანს მოეპოვებოდა. საზოგადოების განვითარების ამ უძველეს ეტაპზე ადამიანის წარმოდგენით, რომელსაც ბუნებასთან მეტად ახლო კონტაქტში უხდებოდა ცხოვრება, მის ირგვლივ მყოფ ყველა არსებასა და საგანს გააჩნდა სული. მეცნიერებაში პირველყოფილი რელიგიის ეს საფეხური ანიმიზმის სახელითაა ცნობილი.

ამ შეხედულებებიდან მომდინარეობს ბუნების კულტი და იმქვეყნიური ცხოვრებისა და სულის მარადიულობის იდეაც, მაგრამ უძველესი დროის ადამიანის შეხედულებანი სულის არსებობასა და სიკვდილ-სიცოცხლეზე ძალზე პრიმიტიული იყო. ასეთი წარმოდგენით, სული სხეულის სიკვდილის შემდეგ არ ქრებოდა. იგი სხვა საგანში პოულობდა სამყოფელს და ასე განაგრძობდა არსებობას. თავდაპირველად სული ფიზიკურადაც იყო გააზრებული. არაცოცხალ საგანსაც ჰქონდა სული, თუმცა სულს შეეძლო ისიც მიეტოვებინა. ამ წარმოდგენათა შესაბამისად, როგორც ამას ზოგადეთნოგრაფიული მონაცემები მოწმობენ, სულს ადამიანის სხეულში გარკვეული სამყოფელი ჰქონდა. ეს იყო: ღვიძლი, გული, თვალები და სხვა.

სიზმარი სულის მიერ სხეულის დროებით მიტოვებად ითვლებოდა. გარდაცვლილი ადამიანის დასიზმრება ეს მისი სულის გამოცხადებას ნიშნავდა. ავადმყოფობა ავი სულის დამკვიდრება იყო სხეულში. განსვენებული ადამიანის სულსაც შეეძლო უბედურების მოტანა, თუ კი მის საპატივცემულოდ დაწესებულ წესს დაარღვევდნენ.

განსაკუთრებული ინტერესის შემცველია სულისა და ხელის ურთიერთკავშირი. აზერბაიჯანული ეთნოგრაფიული მასალის შოშველიება საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ მასზე. როცა ვინმეს მიცვალებული დაესიზმრებოდა, იგი მოლასთან მივიდოდა. მოლა მას მკლავს გაუზომავდა იდაყვიდან თითების წვერამდე. ამით იზომებოდა მიცვალებულის სულის სიდიდე და ამის შესაბამისად ისაზღვრებოდა სულის შესაწირავის ოდენობაც (ა. ალექფეროვი). ამ წესჩვეულებაში აშკარად ვლინდება სულისა და ხელის კავშირი. ის უძველესი რე-

ლიგიური წარმოდგენაა, რომლის თანახმად ადამიანის სულის სამყოფლად ხელი იყო მიჩნეული.

აზერბაიჯანელთა ეთნოგრაფიულ ყოფაში ასევე შემონახული აღმოჩნდა რწმენა იმის შესახებ, რომ ხელში არსებული სული ადამიანის სიკვდილის შემდეგ ქვაში სახლდებოდა. შესაძლებელია, აქედან დაიბადა ხელის, როგორც უკვდავი სულის სამყოფლის, ქვაზე გამოსახვის იდეა.

საზოგადოების განვითარების იმ ეტაპზე, როცა ადამიანის თავდაცვისა და სანადირო იარაღს ჯერ კიდევ ქვა, უფრო ზუსტად, ქვის ცული წარმოადგენდა, იგი შეიძლებოდა გააზრებულიყო როგორც გაძლიერებული ხელი, ხელის თავისებური ორეული, რომელშიც ასევე სახლდებოდა მისი მსხვერპლის სულიც. თუმცა ძნელია დაბეჯითებით თქმა, მაგრამ საფიქრებელია, რომ ხელის, სულისა და ქვის კავშირი სწორედ იმ პერიოდიდან უნდა იღებდეს სათავეს, როცა ქვის იარაღს და ნადირობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის არსებობისათვის. ეს მოსაზრება ემყარება არა მარტო განხილულ მასალას, არამედ ზოგიერთ არქეოლოგიურ წანამძღვარსაც. მხედველობაში გვაქვს ქ. კონიის (თურქეთი) მახლობლად ე. წ. ჩათალ-ჰეიუქის სადგომი, რომელიც ჩვ. წ. აღრიცხვამდე VII ათასწლეულს განეკუთვნება. ამ სადგომში საცხოვრებელი სახლის კედლებზე ხელის ანაბეჭდები აღმოჩნდა (დ. ერემეევი). როგორც ჩანს, იგი უკვე საკულტო საგანს წარმოადგენდა იმ დროს. ხელის გამოსახულება კედელზე სხვა არაფერია, თუ არა ოჯახის კეთილდღეობის მფარველობა. იგი როგორც მაგიური ძალის, შეუხებლობის სიმბოლო, ავი თვალისა თუ სულისაგან ადამიანისა და ქონების დამცველიცაა.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეს ძველი ტრადიცია ანატოლიაში ჩვენს დრომდე აღმოჩნდა შემონახული. ცენტრალური ანატოლიის სოფლის სახლებში, — აღნიშნავს ეთნოგრაფი დ. ერემეევი, — კერიის მახლობლად მიწალესილი კედლები გაშლილი ხელის ანაბეჭდებითაა შემკული. „ხელის“ გამოსახულება საქორწინო წეს-ჩვეულებებშიც ღებულობს მონაწილეობას. ქორწილის დღეს სასიძოს სახლის თავზე აფრიალებულ დროშაზე გამოსახულია არა მარტო მთვარე და ვარსკვლავი, არამედ საღებავით აღბეჭდილია გაშლილი ხელი და ზოგჯერ კი ჯვარიც.

აზერბაიჯანელთა ყოფაში დამოწმებულია ასეთი ფაქტიც. სიკვდილის დროს თუ ადამიანი წვალობდა, მას ხელში ქვას ჩაუდებდნენ, რომ სული ჩქარა გასცლოდა მომაკვდავს და ქვაში გადასულიყო. ან კიდევ, იმ ადგილზე, სადაც ადამიანი გარდაიცვლებოდა, დაადებდნენ ქვას, რომელშიც სული უნდა დამკვიდრებულიყო, შემდეგ კი მას საფლავზე ტოვებდნენ. ქვისა და სულის ურთიერთობაზე მეტყველებს შემდეგიც: აზერბაიჯანშიც იმის მაგივრად, რომ თქვან, „შენ მე დამივიწყე“, ხალხში შემორჩენილია გამოთქმა „შენ ჩემი ქვა დაივიწყეო“.

გამორიცხული არაა, რომ საქართველოშიც წარმართობის დროს ხელისა და ქვის კულტზე ანალოგიური შეხედულებანი არსებულიყო.

საქართველოში ხელის შემდგომი ევოლუცია მჭიდროდ უკავშირდება კერძო საკუთრების აღმოცენებას. როგორც დასაწყისში იყო აღნიშნული, მიწის საკვეთის გამოცალკევება საერთო მოხმარებიდან და კერძო პირთა მიერ მასზე საკუთრული ტენდენციის გაძლიერება მოითხოვდა ასეთი საკვეთის გამიჯვნას და მის შემოზღუდვას არა ნებისმიერი, უშინაარსო საგნით, არამედ ისეთით, რომელიც ღვთაებრივი ძალის, ხელშეუვალობის, ავი სულებისაგან მფარველობის მატარებელი და ამავე დროს ყველას მიერ აღიარებული იყო. თუ ასეთ ნიშანს ქრისტიანობის პერიოდში ჯვარი წარმოადგენდა, ქრისტიანობამდე საქართველოში უდაოდ „ხელი“ ითვლებოდა.

„ხელის“ ევოლუციის პროცესში ფართო ლინგვისტური განვითარება განიცადა და თვით სიტყვამაც. ქართულში ხელიდან მრავალი სიტყვაა ნაწარმოები: ხელმწიფე, სახელმწიფო, ხელწერილი, ხელოსანი, ხელქვეითი, ხელდებული, ხელყოფა, ხელის გამართვა, ხელის ჩამორთმევა (უფლების აყრა, მისალმება), ხელშეუვალობა, ხელთგდება და სხვა. სიტყვებში: ხელმწიფე, სახელმწიფო მეორე კომპონენტს წარმოადგენს „მწიფ“, რომელიც სიტყვა „წიფვა“, „წიფებიდან“ მომდინარეობს და. საბას განმარტებით შეძლებას, ძლიერებას ნიშნავს. „ხელის წიფება“, ხელის შეძლებას, ხელის ძლიერებას აღნიშნავდა ძველად, რომელთა შერწყმამ (ხელმწიფე) ახალი შინაარსი მიიღო. ნ. ჩუბინიშვილი განმარტავს, რომ „წიფვა, წიფება, არა იხმარების მარტივად, არამედ რთულად ვითარ მიწიფვა (მოსწიფავ), ხელმწიფება (ხელმეწიფების)“.

სიტყვა ხელთან ასევე სიახლოვეშია „სახლი“ და შესაძლებელია, „სახელიც“. გამორიცხული არც ისაა, რომ ქართული ხელი, სანამ იგი კერძო საკუთრების სიმბოლოდ იქცეოდა, ქართველთა ტომის საგვარეულო ნიშანი ყოფილიყო.*

„სახლი“ ვიწრო ცნების გამომხატველი სიტყვაა, მაგრამ ძველ ქართულში იგი კიდევ სხვა შინაარსის გამომხატველი იყო. წერილობითი წყაროების შესწავლის შედეგად, ივ. ჯავახიშვილს შესაძლოდ მიაჩნდა გამოეთქვა მოსაზრება, რომლის თანახმად ტერმინი სახლი თავდაპირველად აღნიშნავდა არა მარტო საოჯახო თემს, არამედ საგვარეულო თემსაც.

დიდი პატრონიმიული ოჯახი თუ მცირე ოჯახი, როგორც ეთნოგრაფიული მასალებითაა ცნობილი, ფართოდ იყენებს თავისი ვინაობის, გვარის ნიშანს, რომელიც ასევე საკუთრების აღმნიშვნელიცაა ხოლმე. განაყოფი ოჯახიც მიმართავს მისი გვარისათვის დამახასიათებელი, ადრინდელი ნიშნის გამოყენებას, მაგრამ იგი რაიმე სახით განსხვავებული უნდა ყოფილიყო სხვა ოჯახის ანალოგიური ნიშნისაგან. ამის ილუსტრაცია შეიძლება სვანურ მაგალითზე. როგორც რ. ხარაძის გამოკვლევით დადგინდა, საოჯახო თემის სეგმენტაციის პროცესში ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდებოდა ნათესაური გაერთიანებანი, ე. წ. სამხუბები (ლამხუბ.) იგი ინარჩუნებდა საერთო საკუთრების ზოგიერთ მხარეს, ეგზომაიას და გვაროვნული ურთიერთობის სხვა ნორმებს. ყოველი სამხუბი ინახავდა თავის პატრონიმიულ სახელწოდებას. ყოველ სამხუბს, ხოლო ზოგჯერ, მის შემადგენელ ცალკეულ ჯგუფსაც ჰქონდა საკუთარი ნიშანი, თარჯი ე. წ. „დალარ“-ი, რომელიც სვანეთის ზოგიერთ საზოგადოებაში შემონახული იქნა ბოლო დრომდე. ამასთან ყველა ასეთ ოჯახს ჰქონდა განსაკუთრებული საკუთარი ნიშანი, რომელსაც ოჯახის უფროსი ადგენდა (რ. ხარაძე).

გვარისა და ოჯახების მიერ დამლის (თარჯის) გამოყენების ანალოგიური მა-

---

* ამ მხრივ საყურადღებოა ბასკური ეთნონიმის „ესკუალდუნის“ წარმომავლობა. როგორც ა. ტაბაღუა აღნიშნავს, ბასკურში ე, ეგა იქით, წასვლას, ნახვას ნიშნავს, სკუკი — ხელს. დუნ მიღებული ყოფილა დუნაკ-იდან, რაც ნიშნავს — მას აქვს. ესკუარტე აღნიშნავს დაუფლებას, ესკუნდუნ — იმას, ვისაც ძალაუფლება აქვს (შდრ. ხელმწიფე) და სხვა. (ა. ტაბაღუა), ბასკები, ლეგენდები და ფაქტები, თბ., 1979, გვ. 62-63). ამრიგად, ესკუალდუნ, სქემატურად, რომ განვიხილოთ, შეიცავს მიმართულების, ხელისა და ქონების აღმნიშვნელ სიტყვებს. ქართული „ხელისა“ და მისგან ნაწარმოები ზოგიერთი სიტყვის შედარებითი ანალიზი ესკუალდუნთან მეტად საგულისხმო იქნება ქართულ-ბასკურ ურთიერთობის თვალსაზრისით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალითები დადგენილია ჩრდილო კავკასიის სალხებში, განსაკუთრებით იქ, სადაც მეცხაქლნლეობას დიდი ადგილი ეკავა.

ლ. ლავროვი კავკასიურ დამღებს ეჭვმიუტანლად საკუთრების მანიშნებელ საგნად სთვლის, რომელსაც ჯოგური მეცხოველეობის განვითარების პირობებში უალრესად დიდი როლი ენიჭებოდა. დამღა, თარჯი გვარისა და ოჯახის ვინაობის მაუწყებელიც იყო და ერთი გვარის მატარებელ ოჯახთა ჯგუფის ღერბიც. იმავე ავტორის კომენტარით ქართულ (მეგრულ) დამღებში, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან კავკასიურისაგან, ჭარბობს ჯვარი, რომელსაც იგი ქართველობის ქრისტიანულ რელიგიასთან კავშირით ხსნის. ამასთან, ლ. ლავროვი აღნიშნავს აჭარული დამღების ფორმათა თავისებურებას. მას მხედველობაში აქვს „ნაროდი კავკაზაში“ გამოქვეყნებული ილუსტრაცია, თუმცა იქ არსადაა მითითება, რომ დამღები აჭარიდანაა. აღსანიშნავია, ისიც, რომ ილუსტრაციაში მოცემულ დამღათა შორის, ერთი გაშლილი ხელის აშკარა გრაფიკულ გამოსახულებას წარმოადგენს.*

ფეოდალურ საქართველოში მიწის გამიჯვნისას საზღვრის მანიშნებელ საგნად ზოგჯერ „ქვაკაცებიც“ იყო გამოყენებული. ამ ძეგლის სასაზღვრო დანიშნულება „დასტურლამალის“ ერთ-ერთ თავშია მოხსენებული. ქვაკაცა, როგორც საკულტო და სასაზღვრო დანიშნულების საგნის დასაბამი, ისეთივე ძველია, როგორც ხელი და სხვა (ნ. ბერძენიშვილი).

ამრიგად, განხილული მასალა გვიჩვენებს, რომ საზღვრისა და საკუთრების აღმნიშვნელი საგნები და ნიშნები საკმაოდ მრავალფეროვანია. ესაა „ხელი“, შემდეგ ხელი და ჯვარი, ქრისტიანობის განმტკიცებიდან კი ჯვარი. ზოგ შემთხვევაში ქვაკაციც. ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ გამოსახულებებთან, რომელთა თავდაპირველი წარმოშობა და მათში ჩაქსოვილი შინაარსი რელიგიურ-მაგიურ რწმენებს უკავშირდება. მათი ძირძველი ფუნქცია საკულტო ღანიშნულება იყო, ხოლო მფლობელობის შინაარსი მეორადი შენაძენი.

ხელიც, ჯვარიც და სხვა მაგიურ-აპოთროპიული ძალის შემცველია და თაყვანისცემის, ხელშეუვალობის სიმბოლოდ ითვლებოდა. ამ გამოსახულებათა გამოყენების წესს ვხედავთ საქართველოში საკუთრების ფორმათა განვითარების მთელ მანძილზე, ცალკე ხეთა დაპატრონებიდან ვიდრე მიწაზე კერძო საკუთრების აღმოცენებისა და მისი შემდგომი განვითარების სანამდე.

* ob. В. В. Бардавелидзе, Р. Л. Харадзе. Общественный и семейный быт Грузии. Народы Кавказа, II. М., 1962, стр. 313.

ვახტანგ ახვლედიანი

ახალგაზრდული ხმები

ბოლო ორი წლის განმავლობაში გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ რამდენიმე ახალგაზრდა დამწყები პოეტის პირველი კრებულები გამოსცა. სწორედ მათ ავკარგ'ხე გვექნება საუბარი ამ წერილში.

ზურაბ ფირცხალაიშვილის სახელს უკვე რამდენიმე წელია ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან იცნობენ პოეზიის მოყვარულები. მისი ლექსების კრებულის სათაური „ქვიშის ქალაქი“ არც თუ ისე დიდი ხნის წინ მიტოვებული ბავშვობის ასოციაციებს იწვევს და დასაწყისიდანვე ერთგვარად ნაღვლიან განწყობილებაზე გაყენებს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. **„არ დაგიკარგავს თუნდაც მცირედი სისხლი, რომელიც შენთვის დაიქცა და მისხალ-მისხალ ყოველი წვეთი ყაყაჩოებად ჰყვავის კრწანისთან“**, — მიმართავს პოეტი საქართველოს. წარსულის, დღეისა და ხვალის განუყოფელი მთლიანობა მონუმენტურ სახეს იძენს: დროის სივრცეში: **„მე ამ ხელებით მოვმკე და ვთესავ სიყვარულს, შენი იმედის მერე, ადამიანთა თვალებში ვხედავ ხვალისთვის მზისკენ გაშვერილ ხელებს“.**

საოცარი ექსპრესიით, ლირიკული და დრამატული ტონების მონაცვლეობით და ფორმის თავისებური სიახლით გამოირჩევა ლექსი „რევოლუცია“.

ზურაბ ფირცხალაიშვილის ლექსებში იშვიათად შეხვდებით წყნარ, იდილიურ განწყობილებას. აქ ყოველი სტრიქონის ნერვი თრთის რაღაცის მოლოდინში. ზოგჯერ, თითქოსდა, მელოდრამის საშიშროებაც იქმნება, მაგრამ პოეტის გულწრფელობა გხიბლავთ: **„თუმცა არავინ არ მელოდება, წინ მეზიდება სული მთრთოლვარე, ვიხსენებ ღამის უტყვ მელოდიას და ხალხში ვმალავ ფიქრიან თვალებს“.**

ახალგაზრდა პოეტის თითქმის ყოველი ლექსი აზრობრივად დასრულებული ცალკეული სურათები თუ ჩანახატებია. აი, თუნდაც, ერთი მათგანი: **„ხეებს მაინც დაეშართა მისი, ძირს ფოთლები მიმოყარა ქარმა, შემოდგომამ ჩაიარა ისე, როგორც ასაკგადასულმა ქალმა. მერე ქარი გადიკარგა სადღაც, ფოთლებს მიწა სასაფლაოდ ექცათ... და ხელთ შერჩა გაოცებულ ქალაქს ხის ტოტებზე დაკიდული ზეცა“.** საინტერესოა მედიტაციური ლექსი „მეფე ერეკლეს სიკვდილი“, განსაკუთრებით — „როცა პირველად აწვიმს საფლავებს“. პოეტს შეუძლია ცალკეული, თითქოსდა განყენებული, ტონებით განწყობილებისათვის ფონის შექმნა: **„ხეებს წვეთები ეკიდა წვიმის, ხეებს წვეთები უხმოდ წყდებოდა. სარდაფში იდგა სურნელი ღვინის, ნაცნობ ანეკდოტს ვიღაც ყვებოდა...“**

ღვინის სარდაფში განმარტოებით მსხდარი ყმაწვილების თვალებში თანდათან შიშვლდება სამყარო: **„და იდგა ერთი ორომტრიალი, ღვინო სუყველას ჩუმად ათ-**

რობდა...-გული ყველაფერს ამბობს, ტიალი, რაც ყვავს არ ჰქონდა, ის ბუს გაჰქონდა".

მაგრამ ცოტა გაცვეთილია: „ვილაც სქელუა მამულს ლოცავდა, და ვილაც ცალყბად ამბობდა — „საღოლ!" (ბევრი მამულზე ფიქრით მოთავდა, ზოგს კი მამული სუფრასთან ახსოვს)".

პოეტის მიერ განცდილი სევდა შენს სულშიც იწყებს უნებურ თრთოლვას. ამაშია, ალბათ, ამ სტრიქონების ასეთი შინაარსი ძალაც: „ჩვენ ზრდილობისთვის ვუსმენდით ლოთებს და ქუჩისაკენ გვეჭირა თვალი, სად სევდიანი დღეების ქარი ერეკებოდა სევდიან ფოთლებს... ასე, მდუმარედ ვისხედით ჩვენთვის, დედ-მამის საფლავს აწვიმსო, შენ თქვი".

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ლექსები „ვედრება", „სიყვარული", „ქვიშის ქალაქი", პოეტური ხილვებითა და ფორმის შესაბამისი არქიტექტონიკით. ყოველ მხატვრულ სახეს აქ საკუთარი კონტურები გააჩნია. ზ. ფირცხალაიშვილის პოეტური აზროვნებისათვის უცნობია ბუნდოვანება, სუსტად მეჩვენება სამსტროფიანი უსათაურო ლექსი. „სიყვარულივით ლამაზი სახლი ღამეულ ბინდში ჩუმად დავტოვეო", — გვეუბნება საკუთარი სახლისაკენ მიმავალი პოეტი. აი, ამ პირველ სტრიქონზე და ბოლო სტროფზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება: „ოთახის კარებს შევაღებ ხვნეშით, მოწვეულივით მხვდება სიბნელე, ვილაც მკარსახობს სიმარტოვეში, თუ შეგიძლია, ახლა იმღერე".

აკი დასაწყისშივე გვითხრა ავტორმა, სიყვარულივით ლამაზი სახლი ღამეულ ბინდში დავტოვეო. საკუთარ სახლში სიბნელის დახვედრა ასე აღარ უნდა გაჰკვირვებოდა მარტოხელა კაცს, მით უმეტეს, თუ წასვლის წინ სინათლე თვითონ გამორთო. სტროფის ბოლო ორი სტრიქონი მხატვრულადაც არ ვარგა.

ახალგაზრდა ავტორის ლექსების საერთო განწყობილებაში ერთგვარი მელოდრამული ნიუანსები შეაქვს უკვე გაცვეთილ სტრიქონებს: „და ბედის ჩემის მნათი ვარსკვლავი მონეტასავით გდია გუბეში!. („სულ ერთი არის...") ამ სახეს სხვა პოეტის ლექსშიც ეხილავთ.

ჟუჟუნა ხაჯიშვილის ლირიკული ლექსების პირველი კრებული „ფოთლების ქოხი" გამოირჩევა გულწრფელობითა და სისადავით. ლექსები მუსიკალურია და ფერადი. ავტორს გამოძებნილი აქვს შესატყვისი ფორმაც. მისი ლექსები ადასტურებს, რომ ესთეტიკური მხარე მთავარია ახალგაზრდა პოეტი ქალისათვის. მოსიბვლელია ლექსი „გემუდარები": „შენს მსხვერპლად გაქრეს, შენ შემოგევლოს ღიმილიანი ჩემი თვალები... რაც სიბარული მაჩუქე ქვეყნად, არ დამავიწყო, გემუდარები! ეს ყვავილები — მზით დანამული, წყნარი სოფელი, მწვანე ჭალები, ჩემი ქვეყანა, ჩემი მამული, არ დამავიწყო, გემუდარები!.." ჟ. ხაჯიშვილის ლექსებში არ არის ზედაპირული ეფექტები, პათეტიკური ინტონაციები, პოეტური აზროვნების ბუნდოვანება და ვერსიფიკაციული კეკლუცობანი. ზოგჯერ აქ ნათქვამის პირველყოფილი გულუბრყვილობაც მოგხიბლავთ უბრალოებით, პოეტური უშუალობითა და მორცხვი განდობით: „რა ვქნა, შენ ვერ გათხოვდები, შენ ვერ გათხოვდები, ვერა!.. ერთად არ იქნება, ნენი, ოჯახი და ლექსის წერა... იქ სხვა გული გინდა, შვილო, იქით ბალჩა, აქით წველა... სიღინჯე და დაფიქრება..." („ნენი, თუ გიყვარდე...")

კარგია ლექსები „მე და შენ", „ფოთლების ქოხი", „თუ ღიმილი გაგიბედე", „ბალადა ანგელოსსა და მზეჭაბუკზე"

პოეტი გვერდს უსვევს „მარადიულ თემებს". ეს მისი საქმეა და ჩვენც არ შევედავებით, მაგრამ ამ ციცქნა კრებულში მოთავსებულ ლირიკულ ლექსებში აპრილის ასე მოჭარბება, ტყემლის, ატმისა და ალუბლის ყვავილების კორიანტელი,

ახალს ვერაფერს ეტყვის მკითხველს: „აპრილის თვეში, აპრილის თვეში, აპრილის თვეში სოფლიდან გასელა?“, „აპრილის თვეში ატმის ტოტებში ატმის ყვავილის ძალა და ეშხი!“, „გამოაღვიძეს აპრილის დილა...“ „ათიათასჯერ მოვა აპრილი“ და ა. შ..

საინტერესოდ მომეჩვენა **ბადრი თევზაძის** წიგნის გარეკანის მხატვრობა (მხატვარი ვ. ბესელია), მაგრამ არაფრით არ შეეპასუხება იგი სათაურს „ქარი უკვე ჩადგა“. რატომ „უკვე ჩადგა“, როდესაც ახალბედა პოეტი მხოლოდ იწყებს შემოქმედის ძიებითა და ბრძოლით სავსე ცხოვრებას? — ვფიქრობდი და თანდათან მივიწევდი ახალგაზრდა ავტორის პოეტურ სამყაროში, მივიწევდი და ვგრძნობდი პოეტური ასოციაციების მხატვრისეული გააზრების სიმბოლიკურ ხაზებს.

მართლაცდა, დაჭიმულია ამ კრებულში სულის ყველა ნერვი: **„არ დავიჩივლებ არასდროს ბედზე, დღეს სული ქართლის მსხვერპლად ღირსვყავი“.**

ან კიდევ: **„სულში კარგა ხნის გარდაცვლილი მზე ჩამესახლა, სიცოცხლეში რომ სამარცხვინო დალივით ვფარეთ... შენ რომ გიყვარდა, იმ სიმღერებს მღერიან ახლა, მე რომ მიყვარდა, იმნაირი დარია გარეთ“.**

ამ სტრიქონების ავტორის სულში არ შეიძლება ჩადგეს ქარი (წიგნის გარეკანზე, უბრალოდ, ერთ-ერთი ლექსის სათაურია გადმოტანილი). მე მომწონს პოეტის ლირიკული გმირის პირდაპირობა, ქედუხრელობა, პრინციპულობა, და, რაც მთავარია, სამშობლოს სიყვარული. საინტერესოდაა მიგნებული ხალხური „მაშინ სად იყავ, შავ ბადროს“ მოტივზე დაწერილი ლექსი. ტექსტის რიტმულობა და კარეგნული სილაღე სრულიადაც არ უშლის ხელს შინაგან დაძაბულობასა და კატეგორიულობას. საერთოდ, ამ წიგნში წარმოდგენილი ლექსები უმთავრესად ზნეობრივი და პატრიოტული ხასიათისაა. ისევ ანოტაციას ვუბრუნდები უნებურად. „მშობლიური ცისა და მიწის სურნელია მიმობნეული ამ პატარა კრებულშიო“, — გვარწმუნებს იგი. მაგრამ წიგნში ვერ შეხვდებით ბუნების პოეტურ ეტიუდებს, ჩანახატებს, სურათებს, გაზაფხულის ცისა და მიწის ფერებს, ტყემლისა და ატმის ყვავილების თოვას, ვერც შემოდგომა მოგხიბლავთ. პოეტს ადამიანის შინაგანი სამყაროდან დანახული სამშობლოსა და ადამიანის თემა აინტერესებს. ამ მხრივ განსაკუთრებით შთამბეჭდავია ლექსები: „წუხელ იმედად მოვიდნენ ჩემთან“. „შეშფოთება“, „დროის ტორტმანებს რაში“, „მე დავბრუნდები სულ სხვანაირი“. „ვადარჩენა“, „უზენაესო, საცნაურ არს, აღგვაღე ხელი“, „რა ფრთხილი იყო ‹ ‹ ნაბიჯები“.

აქვე შევნიშნავთ, რომ ამ პატარა წიგნში რითმიანი ლექსების გვერდით ვხვდებით ვერლიბრსაც. საერთოდ, ბ. თევზაძე ლექსის ტრადიციულ კლასიკურ ფორმას ცნობს. ვერლიბრით წერა კი სულაც არ ნიშნავს ტრადიციის უარყოფას რადგან მთავარია არა გარეგნული ფორმა, არამედ პოეტური აზროვნების ორიგინალობა, მკითხველისათვის საგნებისა და მოვლენების თავისებური კუთხიდან ჩვენება, ახლებური ჭვრეტა, მხატვრული სახეების ინდივიდუალურობა. აი, თუნდაც **„ფოსტიდან დაბრუნდა, შეალო ჭიშკარი და თავის თმებისფერ, ქათქათა კიბეზე ტალახიანი ნაკვალევი ინატრა უცებ. საოცარია: ამ ქალს ალბად უყვარდა სისუფთავე“.**

მაგრამ ზოგიერთ ლექსს ხელოვნური ეფექტურობისა და ბუნდოვანების ნიშანი აზის. მოვიყვან „ერთი მდინარე მეორეს ერთვის“ ბოლო სტროფს: **„უეცრად ვიგრძენ ჩემივე ჩრდილი — მზე ზენიტიდან ჩამოხტა თითქოს და ჩუმად ეტოვებ მორყეულ ღიმილს, იმ ცოფიანი სტრიქონის სითბოს“.** ამ ლექსში, ზემოთ, არავითარ სტრიქონზე ლაპარაკი არ ყოფილა, ამიტომ გაუგებარია, რომელი „იმ ცოფი-

ანი სტრიქონის სითბოზე" მიგვანიშნებს ავტორი. გარდა ამისა. არა მგონია, რომ „ცოფიანს" რაიმე სითბო გააჩნდეს.

ზემოთ ვთქვი და კვლავაც ვიმეორებ: ბადრი თევზაძე მოაზროვნე, ქვეყნისა და კაცის ავ-კარგზე ჩაფიქრებული პოეტია. ეს ძნელადსავალი გზაა შემოქმედებაში. პოეტი კი მხოლოდ იწყებს...

დავით ტაკიძეს კრებულისათვის „სიმაღლე" უწოდებია. „სამშობლოს სიყვარული და დღევანდელობა, ძვირფას ადამიანთა სახეები, სიყვრული — აი, თემები, რომლებითაც საზრდოობს ახალგაზრდა პოეტის ეს პირველი წიგნი" — გვამცნობს ანოტაცია.

მარადიული თემებია! ამ მხრივ ბადრი თევზაძესა და დავით ტაკიძეს აქვთ საერთო. თუმცა, ამ უკანასკნელს სოფლის სურათებიც გააჩნია („სოფელში", „ამოიმართა, ამობრწყინდა ზეცა ნათელი"). კარგი ლექსია „პოეზიას". იგი ამაღლებულია და ფერადი, მოგხიბლავთ გულწრფელობითა და უშუალობით. ადამიანის სულიერი სიდიადის შინაგანი გამოსხივებით საოცრად ტევადია ციცქნა ლექსი „სიმაღლე". აი, ისიც: **„თვალშეუდგამი სიმაღლე ჰქონდა ოსტატს, ხალხში კი მაინც ბეწვისოდენა ჩანდა. ყოჩივარდები ალამაზებდნენ ოთახს, ის კიდევ ახალ, ფერად ყვავილებს რგავდა. როცა სიკვდილი ადრე ეწვია ოსტატს და ძველ კედლებში როცა ჩამოწვა ნისლი, მარადისობის სხივი დაეცა ოთახს, და ღმერთზე მაღლა წამოიმართა იგი!"** ალბათ, შეამჩნევდით, რომ დავით ტაკიძე უფრო ფერებითა და გამებით ქმნის განწყობილებას, ხასიათს, სახეს, ბადრი თევზაძე კი ფსიქოლოგიური ნიუანსებით ძერწავს მათ. ორივე გზა კარგია, თუ პოეტური აზრის ორიგინალობა გაგაჩნია.

„მივყვები ალმართს, გზა წვება მხრებზე, გალმა ღრუბლების ლიბო ციალობს". აი, ეს — ღრუბლების „გალმა ციალის" ნიუანსი ქმნის სწორედ ერთად ყოფნის დროს მაინც მარტოობის განცდას, რომელიც შემდგომ, ლექსის ბოლოში გამოიკვეთება: **„ჩემთან ხარ ახლა, თითქოს მეხები, და მენატრები მაინც ძალიან".** („მივყვებით ალმართს").

დავით ტაკიძის ლექსებში იგრძნობა მუქი ფერების მოჭარბება. **„მე სულ ერთია, მივალ, ვმიწდები და შენზე მეტად ვერ ავმაღლდები". „შემოვა ნისლი და მე, დაღლილი, ძლივს გამოვაღებ ჩარაზულ კარებს, სადღაც შეძახის უხმო ძახილი და ვიცი, უნდა მივიდე მალე". „ზოგჯერ იჭვი მიღრღნის სხეულს". „შენ კი მოდიოდი დაღლილი, თითქოსდა სამარის პირთან". „დაასაფლავეს, მორჩა, გათავდა". „ვინ ამაშორებს სეტყვას სახეში, ვინ მოჰკლავს ჭორებს, ვინ მოჰკლავს იჭვებს, ვუცქერი ღამეს ჩამქრალ თვალებში და სტრიქონს ვანდობ ცრემლიან ფიქრებს".** აქ მოყვანილი სტრიქონები სხვადასხვა ლექსიდანაა ამოწერილი და უეჭველად ბევრია კრებულისთვის, რომლის მოცულობა სულ რაღაც ნახევარი საავტორო თაბახია.

ამირან საბაზმა აჭარული სოფლის პირველქმნილი სურნელი შემოიტანა პოეზიაში. კრებულში („შვიდფერი") დაბეჭდილი ლექსები გამოირჩევა თავისთავადობით, მათი უმრავლესობა იდილიური ხასიათისაა. ფერებისა და გამების საკუთარი ორიგინალური პალიტრა გააჩნია ავტორს. უხილავი ფუნჯის რამდენიმე მოქნევით ხატავს იგი ასოცირებულ სურათებს, ესკიზებს, სახეებს, განწყობილებებს... არც მარადიულ თემებს გაურბის პოეტი. ერთი შეხედვით, თითქოსდა სხვა ხასიათის ლექსებიდანაც გესმის სამშობლოს სანახების ყველა ფერისა და ბგერის სუნთქვა: **„სად ვყოფილვარ, რა მინახავს? მთიდან ნისლი დამინახავს, დამინახავს და**

იმგვარი მე მშვენება არ მინახავს... სად ვყოფილვარ, რა მინახავს? მუხის ძირში ძძახებია, ლექსის სტრიქონს რომ მიმაგრებს, იმ ბერმუხის ძირებია“.

ა. ხაბაზის ლექსების სინტაქსი ბუნებრივია. ერთი შეხედვით, თითქოსდა უბრალო ფაქტები და მოვლენებია აქ, მაგრამ შთამბეჭდავია მათი მხატვრული გადაწყვეტა, ხოლო ხმათა, ფერთა და სურნელთა კოლორიტი საინტერესო მოზაიკას ჰქმნის: „დღე იმზირება საწყალივით, ყანაში ფორჩხი წაქცეულა ორსულ ქალივით... წვიმები ცრემლებს ჰგავს, თვალთაგან მოთოვილს, ამოვა მეზობლის ქალი კაბის კალთაზე ლობიოს ფოთოლით... მამაშენს გავხარო და, სიტყვას ვერ დაამთავრებს, ხველებ-ხველებით მომეფერება ქინძისსუნიანი ხელებით...“

პოეტური ხილვების ფანტაზია ოდენ გრაფიკულ სახეებად და ფიგურებად ჩამოიქნება: „და მთვარის შუქზე შავი ბუხარი — დაყუდებული ბერი სულმნათი“.

ან კიდევ: „სუსტი მაჟორი ქარის შავ კლავიშებზე ლადის, და თეთრ კედელზე უცებ წელში გადატყდა ლანდი“.

კარგია ხალხურ კილოზე დაწერილი „ელიაობა“, უშუალობით მოგხიბლავთ „მცივაო, გოგომ...“, ერთი შეხედვით მისტიკური ასოციაციების ფილოსოფიურ-მხატვრული გაფიქრებით — „ლანდების პანტომიმა“, კოლორიტულობით „აჭარული დიალოგი“, „ავვისტო“ და სხვ. მუსიკალურია ლექსი „რა ხმებია ან ვინ კვნესის, რაზედ თრთიან სიმები“, მაგრამ მოძველებულად და უკვე ტრაფარეტულად იქცა წყალში, გუბეში, მღვრიე ტბორში და ა. შ. მონეტასავით თუ დინარივით ჩაგდებული მთვარის სახე. თუმცა ამირან ხაბაზისეული „გაბზარული დინარი“ ოდნავ მოქანავე წყალში არეკლილი მნათობის ერთობ საინტერესო მონახაზს გვაძლევს.

„ახალგაზრდული ხმები“ ვუწოდე მე ამ წერილს. და რადგან ასეა, არც შეიძლება, რომ ერთნაირ რეგისტრში და ერთნაირი სიძლიერით ეღერდეს ისინი. მაგრამ უკვე იგრძნობა რაღაც ახალი, ალბათ, ჯერ კიდევ მათთვისაც შეუცნობელი, ერთმანეთისაგან საოცრად განმასხვავებელი თვითმყოფადობა, საკუთარი ხედვა, ,სიხარული, ტკივილები...

სალაღობოდ მსახიობ
ნინო საკანდელიძეს

კი ყოფილა დიდი ღმერთი,
არტისტი და ლირიკოსი, —
თეატრის დღეს დაანესა
ნინოობა ნინიკოსი.
ხან სიცილი, ხან ვოდება,
არ აქვს როლის დანაკლისი,
ოჯახში კი ელოდება
მანუჩარ-მამასახლისი.

ნუგზარ ჯაფარიძე

გია გალოშვილის
მეგობრული შარჟი

შაქარ-მარილი

ჩემი სიდედრის ავადმყოფობამ მთელი ოჯახი ააწრიალა. ხან წელკავი მჭირსო, ხან ფილენჯი, შაკიკი, გრიპი, სურდოო, ერთი სიტყვით, რა ავადმყოფობასაც გაიგონებს, ყველა, თურმე, მას სჭირს. ბოლოს გაიკო, მეზობლის ქალს შაქრის ავადმყოფობა აწუხებსო, მის ქმარს კი მარილებიო. აიჩემა, მეც შაქარი და მარილი მაქვსო. ბევრი წუწუნის შემდეგ თავისი ეაიტანა და ექიმთან წავიყვანეთ.

— რა გჭირს, დედაბერო? — ჰკითხა ექიმმა.

— ყველაფერი, — უპასუხა პაციენტმა.

— ყველაფრის მკურნალი მე არა ვარ, მამაზეციერს მიმართე... მაინც გარკვევით მითხარი, რა გჭირს.

— შაქარ-მარილი მაქვს.

— მაგი თუ გაქვს, ჩემთან რა გინდა, მალაზია გახსენი და ივაჭრე — უთხრა ექიმმა.

ვალერიან შავიშვილი

ბასულ ორთვეში

დიდი წარმატება

ბათუმში საგასტროლოდ იყო ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი. ამ შესანიშნავი კოლექტივის სპექტაკლებმა საზოგადოებრიობის შეუნელებელი ინტერესი და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. სტუმრებმა ბათუმელებს თავიანთი საუკეთესო სპექტაკლები უჩვენეს.

დასკვნით საღამოზე ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამა წარმოადგინეს ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობებმა. კონცერტს დიდი წარმატება ხვდა.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელით ძვირფას სტუმრებს გასტროლების მაღალ დონეზე წარმართვის, ამასთან შესანიშნავი ხელოვნებისათვის მადლობა გადაუხადა აჭარის ასსრ კულტურის მინისტრმა ბ. მახარაძემ.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის დირექტორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ზ. ანჯაფარიძემ საპასუხო სიტყვაში აღნიშნა, რომ ბათუმელებსა და ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელებთან გულითადი შეხვედრები დაუვიწყარი დარჩება კოლექტივის თითოეული წევრისათვის, როგორც ჭეშმარიტი მეგობრობის გამოხატულება, ოსტატობის შემდგომი ამაღლების მძლავრი სტიმული.

დასკვნითს კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები ვ. პაპუნიძე, მ. ბერიძე, დ. დიასამიძე, დ. მანჯგალაძე, ვ. ცინცაძე, შ. ოქროპირიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ასათიანი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ტაკიძე.

* * *

ასევე წარმატებით ჩაიარა ბათუმში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინომსახიობთა თეატრის გასტროლებმა, რომელიც საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის სახელობის საქალაქო კულტურის სახლში გაიმართა.

ცენტრალური ტელევიზია

აჭარის ასს რესპუბლიკის 60 წლისთავს მიეძღვნა ცენტრალური ტელევიზიის გადაცემები. მოსკოვიდან გადმოიცა ფერადი დოკუმენტური ტელეფილმი „აჭარაში“. იგი გვაცნობს მზიური მხარის მიღწევებს ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. მილიონობით მაყურებელმა ნახა აჭარის ბარისა და მთის რაიონების ცხოვრება — ნავსადგური, ზღვისპირა პარკი, სავერდოვანი ჩაის პლანტაციები, ისტორიული ძეგლები, მთის ყოფის დამახასიათებელი სიუჟეტები...

შემდეგ ცისფერი ეკრანი დაეთმო ძ. კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის დამსახურებულ ან-

ამბლს, რომელმაც ოსტატურად შეასრულა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები და ცეკვები.

აჭარის ასს რესპუბლიკის შექმნის 60 წლისთავს საკავშირო რადიომ მიუძღვნა ერთსაათიანი პროგრამა, რომელიც აჭარის ასსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა მოამზადა.

შეხვედრა კინორეჟისორთან

ჩვენს ქალაქში სტუმრად იმყოფებოდა ცნობილი ქართველი კინორეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი სიკო დოლიძე, რომელსაც ქალაქის საზოგადოებრიობამ ბათუმის საქალაქო კულტურის სახლში შეხვედრა მოუწყო.

შეხვედრა გახსნა აჭარის ასსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ბოლქვაძემ.

სიკო დოლიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა კინომცოდნე გ. ბარამიძემ.

სტუმარს მიესალმნენ ბათუმის ხიდასამუშაებელი კომბინატის მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. მაჭარაძე, პარტიის ქობულეთის რაიკომის მდივანი ნ. დუმბაძე, სულოს რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე გ. რიჟვაძე, ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის დირექტორი ლ. ღლონტი, ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის დირექტორი ვ. ჭანტურია, პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის მდივანი შ. თურმანიძე, მხატვარი რ. ჟღენტი, ქედელი კოლმეურნე ქ. ტარიელაძე, შუახევის რაიონის ბარათაულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ჯაყელი, საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი მ. ბეჟანიძე, პოეტი ჯ. ქათამაძე.

კინოეკრანზე ერთმანეთს ცვლიდნენ სიკო დოლიძის ფილმების გმირები. რეჟისორი ეკრანიდან თავად ესაუბრებოდა დამსწრეთ თავისი ფილმების შესახებ.

საინტერესო იყო აჭარის თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების გაძოსვლა.

შეხვედრას დაესწრნენ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. გუგუნავა, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ტაკიძე.

შემოქმედებითი ახალგაზრდობის საღამო

„მაცოცხლე შენთვის, მაძყოფე შენთან!“ — პოეტის ეს სიტყვები თავიანებურ დევიზად იქცა აჭარის ახალგაზრდა შემოქმედთათვის, რომლებიც საქართველოსა და აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურსში მონაწილეობდნენ.

ვ. ი. ლენინის სახელობის ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის ძწვანე თეატრში გაიმართა შემოქმედებითი ახალგაზრდობის საღამო, რომელშიც საიუბილეო კონკურსში გამარჯვებული ავტორები მონაწილეობდნენ.

კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ც. ტაბიძემ და კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. გოგიტიძემ საპატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცეს კონკურსში გამარჯვებულ ავტორებს — დ. თედორაძეს, ზ. ხაბაძეს, ა. ტროფიმოვს, ზ. ფირცხალაიშვილს, ნ. დუმბაძეს, ს. აბაშიძეს, დ. ტაკიძეს, ა. ხაბაზს, რ. მსხილაძეს.

საპატიო სიგელი გადაეცა ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებითს კო-

ლექტივს, რომელსაც ახალგაზრდული სპექტაკლის „მესამე თაობის“ დადგმისათვის პირველი პრემია მიენიჭა.

საღამოზე გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანი პოეტი ჯ. ქათამაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ი. სიხარულიძე, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ბ. ინწკირველი, ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა მსახიობებმა დ. აბულაძემ, მ. ბეჟანიძემ და ა. ქარჩავამ წაიკითხეს კონკურსში გამარჯვებული პოეტების ლექსები.

შემდეგ სცენა თვით ახალგაზრდა პოეტებს დაეთმო. დასასრულ ახალგაზრდა მსახიობებმა წარმოადგინეს სცენები სპექტაკლიდან „მესამე თაობა“.

საღამო მიჰყავდა აჭარის შემოქმედებითი ახალგაზრდობის საოლქო ცენტრის პრეზიდენტს ნ. ჯაფარიძეს.

„ისკუსტვოს“ ფურცლებზე

საქართველოს სსრ მე-60 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, საკავშირო ჟურნალ „ისკუსტვოში“ დაისტამბა ცნობილი ხელოვნებათმცოდნის ი. ოსმოლევსკის ვრცელი და შინაარსიანი წერილი. ავტორი აანალიზებს აჭარის მხატვრების ხ. ინაიშვილის, დ. გურგენიძის, მ. ხალვაშის, შ. ხოლუაშვილის, ა. ბაკურიძის, ნ. ნიჟარაძის, ო. დარჩიას, ა. ტროფიმოვის, გ. მეგრელიძის, ლ. სეიდიშვილის ნამუშევრებს, განიხილავს მათ სტილს, მხატვრულ ღირსებებს, სიუჟეტის აქტუალობას. ი. ოსმოლევსკი ხაზს უსვამს, რომ აჭარის მხატვრების ნამუშევრები, მათი მანერა საბჭოთა კავშირის მოწინავე მხატვართა რეალისტური სკოლის ერთ-ერთ საინტერესო ნაკალს წარმოადგენს.

ჟურნალის ფურცლებზე წარმოდგენილია აჭარის მხატვართა ნამუშევრების ფერადი რეპროდუქციები.

ჟურნალისტთა სტუმარი

ისტორიკოსისა და მწერლის ლევან სანიკიძის ტეტრალოგია „უქარქაშო ხმლები“, რომლის გამოცემაც ახლახან დაბეჭდა, ჩვენი ხალხის ძრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-მხატვრული ქრონიკაა.

ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და მწერალი ლ. სანიკიძე ბათუმელ ჟურნალისტებს ეწვია.

შეხვედრა გახსნა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორმა აჭარის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ შ. ქურიძემ.

ლ. სანიკიძემ დამსწრეთ მოუთხრო „უქარქაშო ხმლებზე“ მუშაობის ზოგიერთი მომენტი, განმარტა ის წანამძღვრები, რომლებმაც განაპირობეს „უქარქაშო ხმლების“ შექმნა.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ი. სიხარულიძე, დოცენტი ა. სურგულაძე, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორის მოადგილე ა. დიასამიძე, ჟურნალისტები ნ. ჯაფარიძე და ა. პატეიშვილი.

დასასრულ, ლ. სანიკიძემ ისაუბრა თავის უახლოეს შემოქმედებითს გეგმებზე, უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებზე.

სცენისმოყვარულთა ძალებით

ნამდვილი ზეიმი ჰქონდათ ხელვაჩაურის მშრომელებს. ახალგახსნილ კულტურის სახლთან შეიქმნა სცენისმოყვარულთა დრამატული დასი, რომელმაც გამართა პირველი წარმოდგენა — მაყურებელს უჩვენა ფ. ხალვაშის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიესა „ვაზის ტირილი“. იგი დადგა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. ცანავამ, მწატვრულად გააფორმა აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ფილიპოვმა, მუსიკალურად — ვ. ოქუაშვილმა.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ ე. შაბილაძე, ნ. ბერიძე, რ. თავართქილაძე, ზ. გვიანიძე, ნ. დევაძე, ბ. სურმანიძე, თ. კეჟერაძე, ვ. ველიაძე და სხვები.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ შემოქმედებითს კოლექტივს ახალი წარმატებები უსურვეს პარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. ინაიშვილმა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დრამატურგმა ა. ჩხაიძემ, ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. აბესაძემ, სპექტაკლის დამდგმელმა ი. ცანავამ, პიესის ავტორმა ფ. ხალვაშმა.

ვ. ფალიაშვილის ხსოვნის საღამო

ზ. ფალიაშვილის სახელობის ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის პროფესორ ვახტანგ ფალიაშვილის ხსოვნის საღამო.

სიტყვით გამოსულებმა აღნიშნეს ვ. ფალიაშვილის დიდი დამსახურება ქართული საგუნდო ხელოვნების განვითარებაში.

კონცერტის პირველი განყოფილება დაიწყო ანსამბლმა „ორნანომ“. მან იმღერა „შენ ხარ ვენახი“ და რ. ლალიძის „ლაშქრული“. ხალხური და ქართველი კომპოზიტორების სიმღერები შეასრულეს შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის № 2 საშუალო სკოლის გუნდმა, ქობულეთის რაიონის ვოკალურმა ანსამბლმა „ნარინჯმა“, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო განყოფილების ვაჟთა გუნდმა, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის ვაჟთა ჯგუფმა, განათლების მუშაკთა საოლქო სახლის გუნდმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო მკითხველებო!

გრძელდება ხელმოწერა ჟურნალ „ჭოროხზე“ 1982 წლისათვის.

შეგახსენებთ: ხელმოწერა მიიღება შეუზღუდავად და ერთი წლით იგი ღირს 2 მან. და 40 კაპ.

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი, გიორგი გაჩეჩილაძე, ზურაბ გორგილაძე, მამია ვარშანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შოთა ზოიძე, დავით თედორაძე, გიორგი სალუქვაძე, ჯემალ ქათამაძე, ალექსანდრე ჩხაიძე, ფრიდონ ხალვაში, დავით ხახუტაიშვილი, ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 1.9.81, ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.9.81, საბეჭდი თაბახი 6, სგამომცემლო 5, შეკვეთის № 2781, ემ 02006, ქაღალდის ზომა 60×90 1/16, ტირაჟი 5.000

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое производственное объединение Аджарской АССР. Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

6 68/749

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 78118